# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 9 ივლისი 1999 №128 (901) | ფასი 50 თეთრი

3 შეფამ კოლხეთს ვალი გაუსტუმრა

ედუარდ შევარდნაძის ფოთში სტუმრობამ კოლხების შეკრება ჩაშალა

4 საზაფხულო მიდი-მოდი

შიდაქართულ სატრანსფერო ბაზარზე ტოტალური ფასდაკლებაა

5 ლოკომოტივი დინამო არაა

ბელფასტელებს თბილისელებთან გამარჯვების იმედი აქვთ

12 ევერესტელები



ბიძინა გუჯაბიძე

დიდი დიღმის კედლებიდან ჰიმალაის მწვერვალებამდე

14 ტურ დე ფრანსი

სუფთა სისხლი და სუფთა სინდისი

39a. Copa América Paraguay '99

# პალერმომ არგენტინელებს სიგარეტი შეაძულა

## არგენტინა ბრაზილიას ნაადრევად შეეყარა



REUTERS არქივიდან

მარტინ პალერმო ურუგვაელთა კარში გატანილმა გოლმა აალრიალა

ბოლო დღეებია, არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი მარტინ პალერმო ბედისა თუ უბედობის გამო საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. ჯერ იყო და, პარაგვაიში მიმდინარე „კოპა ამერიკაზე" კოლუმბიელებთან მატჩში მსოფლიოს ანტირეკორდი დაამყარა, სამი პენალტი ვერ გაიტანა და თანამემამულეთა განხეთქილების მიზეზად იქცა. ბუენოს აირესის ერთი ნაწილი, ლეგენდარული დიეგო მარადონას ჩათვლით, მისი მომხრეა, მეორე კი პალერმოს ნაკრებიდან გაძევებას მოითხოვს. ქალაქის ქუჩებში ხალხმა პალერმოს ფოტოები გამოიტანა და ცეცხლს მისცა, ხოლო სიგარეტი, რომლის სახელწოდებაც უიღბლო თავდამსხმელის გვარს ემთხვევა, რამდენიმე დღის განმავლობაში საერთოდ არ გაყიდულა.

რა უნდა ექნა პალერმოს? რა და, გუშინ ურუგვაის ისეთი ბურთი გაუტანა, მისი ღრიალი პარაგვაიდან ლამის თბილისში გაისმა...

ახლა პალერმოს არგენტინა მეოთხედფინალში ბრაზილიას ხვდება და სამხრეთ ამერიკის შარშანდელი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთანაც ეცდება შელახული ღირსების აღდგენას.

„კოპა ამერიკის" შედეგები და მეოთხედფინალის წყვილები იხილეთ მეშვიდე გვერდზე

# ფერგი დისიდენტობას არ იშლის

## შოტლანდიელი ინგლისელებს პრემიერლიგის კონტინენტურად გადაწყობას ურჩევს



ალექს ფერგიუსონი

*ჩემპიონთა თასის მფლობელ „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა გუშინ განაცხადა, რომ ინგლისის ჩემპიონატის წრეებს შორის გუნდებს აუცილებლად სჭირდებათ დასვენება. თუ არა და, ისინი ევროპულ სარბიელზე კონკურენტებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ. „შინაური კალენდარი, სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად, კარგად გააზრებული და დახვეწილი უნდა იყოს. სხვაგვარად, არაფერი გამოვა" — თქვა ფერგიუსონმა.*

*მართლაცდა, პრემიერლიგის პირველსა და მეორე წრეებს შორის შესვენება, ფაქტობრივად, არ არსებობს, რაც ინგლისური კლუბების გადაღლასა და ევროთასებზე წარუმატებლობას იწვევს.*

*და კიდევ: „მანჩესტერ იუნაიტედი" დღეს ყოველმხრივ პრივილეგირებული კლუბია, მანჩესტერელებმა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ამჯობინეს შინაურ ასოციაციის თასს და, როგორც წუხელ გაირკვა, ამიტომაც მათი აქციები ბირჟაზე 2,5 პუნქტით გაიზარდა. ისიც ცნობილი გახდა, რომ ბაჰამის კუნძულელი მილიარდერი ლუისი, სადოლე ცხენების მფლობელი მანიერი და განთქმული მოსამართლე და აზარტული მოთამაშე მაკმანუსი „მანჩესტერის" 36 მილიონის ღირებულების აქციათა პაკეტის მფლობელ ედუარდსთან რამდენიმე მილიონის აქციებზე შევაჭრებას აპირებენ.*

# ჩრდილოეთი გიორგი კილასონიას გზაზე



გიორგი კილასონია

*1995 წლის ოქტომბერი იდგა. თბილისს მსოფლიოს მეოთხე გუნდი, ბულგარეთის ნაკრები სტუმრობდა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იყო. იმ ტაბლოს ქვეშ ვისხედით, ჩვენში ახალს რომ ეძახიან, ჩრდილოეთით. თამაშის მეორე ტაიმი მიმდინარეობდა: მოედანზე გიორგი კილასონია გამოჩნდა. ვითომც არაფერიო, თამამად ჩაერთო თამაშში.*

*ახლაც თვალწინ მიდგას ის წუთი: კილასონიამ ბურთი ცენტრთან ახლოს მიიღო, დაახლოებით 10 მეტრი გაიარა და... მაშინ ბულგარელთა მეკარე ბორის მიხაილოვმა მითხრა, ისე, უბრალოდ, ყოველ შემთხვევისთვის, გადავხტი, ბურთის მოგერიების იმედი არც მქონდაო... ის მატჩი საქართველოს ნაკრებმა 2:1 მოიგო. ხრისტო სტოიჩკოვმა ერთი გოლის გაქვითვა თამაშის მიწურულს მოახერხა. მანამდე კი გია კილასონიას ის დარტყმა იყო, რომელზეც ქომაგნი დღესაც ლაპარაკობენ. ბურთის ტრაექტორია სხვაგვარი, მოძრაობის სიჩქარე სხვაგვარი, სიტუაციაც სხვა... არც გაემტყუნება მიხაილოვს... ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინ ბურთი ძელს მოხვდა. კილასონიას რომ ვკითხე, რამ გადაგაწყვეტინა ამ სიშორიდან დარტყმა-მეთქი, რა ვიცი, მომენტი ჩამივარდაო, მიპასუხა.*

*მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა. გია კილასონიას სახელს ახლაც ახსენებენ. ბოლო ხანს წყალტუბოს „სამგურალში“ თამაშობდა, მაგრამ...*

*ჯერ რუსთავის „გორდა“, მერე გივი ნოდია და სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივი“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და ისევ საქართველო...*

*ახლა იგი უგუნდოდაა, მრავალი წინადადება აქვს, თუმცა არ ჩქარობს, თავისთვის, ინდივიდუალურად ემზადება და...*

*გიას რუსთავში ჩავაკითხეთ, უკრაინიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ მასთან დიდხანს არ გვესაუბრა.*

**— გია, ცოტა მოულოდნელიც კი იყო, წყალტუბოს „სამგურალში“ როგორ აღმოჩნდი?**

— წყალტუბოში? მაშინაც უგუნდოდ ვიყავი, როცა „სამგურალის“ მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ, დამირეკა და თავის გუნდში თამაში შემომთავაზა. ბევრი ვიფიქრე, ყველაფერი ავწონ-დავწონე, წყალტუბოელთა გეგმებს გავეცანი, თანაც პირობები მომეწონა და დარსაძის წინადადებასაც დავთანხმდი.

**— რუსეთში უარეს კონტრაქტს გთავაზობდნენ?**

— არა, მაგრამ საქართველოში თამაში მსურდა.

**— რატომ?**

— იცი, ჩემი კარიერა დიდხანსაც არ გაგრძელდება, უკვე 31 წლისა ვარ და დიდი სურვილი მაქვს ჩემებურებს საქართველოში თამაშით დავამახსოვრო თავი.

**— კი მაგრამ, „სამგურალიდან“ რომ წამოხვედი? რას აპირებ?**

— ჯერ ვფიქრობ. იგივე რუსეთიდანაც ბევრი წინადადება მაქვს, ქართული კლუბებიც აქტიურობენ, მაგრამ ხომ გაგიგიათ, რაც კარგი, მით უკეთესიო. არ ვჩქარობ. სხვა თუ არაფერი, არის რამდენიმე კლუბი, სადაც ყოველთვის მელიან.

**— მერე? პირობები არ გაკმაყოფილებს?**

— არა, უბრალოდ, ამბიციურ გუნდში მსურს თამაში, გუნდში, რომელსაც მიზანი აქვს, რომელიც ჩემპიონატის პრიზიორთა შორის მოსახვედრად იბრძვის.

**— მაშ, „სამგურალში“ თამაშს რატომ დათანხმდი?**

— პერსპექტივაც იყო იმისა, რომ ევროტურნირებში მონაწილეობის უფლება მოგვეპოვებინა. გაიოზ დარსაძემ ისეთი ფეხბურთელები მიიწვია, მათი ნამდვილად მჯეროდა...

**— საქართველოს თასის ფინალშიც ხომ გახვედით...**

— ნუ გამახსენებ. იმ თამაშთან ძალიან ცუდი მოგონებანი მაკავშირებს. რამდენი მომენტი გვქონდა, მეგონა, თასი უეჭველად ჩვენ დაგვრჩებოდა, მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება. მაშინ არ უნდა წაგვეგო, მოგებას ვიმსახურებდით.

**— იქნებ შენი დარტყმული პენალტიც გაიხსენო?**

— პენალტი სულ ოთხჯერ გავაცუდე. სამწუხაროდ, ერთ-ერთი სწორედ მაისში იყო, ფინალში ძელს მოვარტყი ბურთი. არადა, დარტყმას საერთოდ არ ვაპირებდი...

**— მაშ, რატომ დაარტყი?**

— სხვა გზა არ იყო.

**— ნერვებმა გიმტყუნა?**

— არა, ყველა ფეხბურთელის ცხოვრებაშია ასეთი მომენტი. თუ გახსოვს, თავის დროზე „გორდაში“ სულ მე ვურტყამდი თერთმეტმეტრიანებს. ათასში ერთხელ მოხდებოდა, რომ ვერ გამეტანა.

**— ის კარი ცუდად გაქვს დაცდილი.**

— რომელი?

**— რომელშიც თასის ფინალში პენალტი ვერ გაიტანე.**

— ოოო... ისე, ეროვნული სტადიონის ჩრდილოეთ მხარეს ჩემპიონატის თამაშებისას კი მაქვს გოლი შეგდებული.

**— ახლა ორიოდ სიტყვა იმაზეც თქვი, ისევ უცხოეთში წასვლას რომ აპირებდი.**

— საფრანგეთის მეოთხე დივიზიონის გუნდი მთავაზობდა, მათთან გადავსულიყავი. მე ამბიციური კაცი ვარ, საფრანგეთის უმდაბლეს ლიგაში წასვლას კი ყოველთვის მოვასწრებ. საქმე ისაა, რომ ჩემი შესაძლებლობები კარგად ვიცი, მოყვარულებში არაფერი მესაქმება. უფრო მაღალ დონეზე შემიძლია თამაში.

**— კეთილი. თუმცა, ეს მაინც უნდა გკითხო — 1997-98 წლების სეზონი რატომ გააცდინე? ნუთუ, არავინ გეპატიჟებოდა?**

— რუსეთის უმაღლესი ლიგის გუნდებს სურდათ ჩემი გადაბირება, აქტიურობდნენ კიდეც, საკმაოდ კარგ პირობებს მთავაზობდნენ, მაგრამ... საზარდული... ოპერაცია გავიკეთე.

**— დაბოლოს, რაკი ასეა, მსაჯებთან შენს დამოკიდებულებაზე გკითხავ. თითქმის ყოველ თამაშში ყვითელ ბარათს რატომ გიფრიალებენ? წითლებსაც არცთუ იშვიათად...**

— უსამართლობას ვერ ვიტან. ფეთქებადი ხასიათი მაქვს. რა ვქნა? მაქსიმალურად თავს ვიკავებ, მაგრამ ხანხადან... სხვათა შორის, უხეში თამაშისთვის მსაჯებს იშვიათად გავუფრთხილებივარ, თუმცა რას ვიზამ, ამის შემდეგ მაინც ვეცდები, ემოციები დავიოკო.

კობა ინასარიძე



მურთაზ შელია თბილისშია და სარფიან წინადადებას ელოდება

# შელია ლოკომოტივშია, მურთაზ ხურცილავა კი მილიონნახევარზე ფიქრობს

თბილისის „ლოკომოტივი“ გამალებულ სამზადისშია. გუნდს წინ უეფას თასის შესარჩევი ეტაპის ორრაუნდიანი მძიმე მატჩი აქვს ჩვენთვის კარგად ნაცნობ ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდთან“. ჰოდა, მურთაზ ხურცილავაც გუნდის ფორმირების პროცესშია.

დღესდღეობით „ლოკომოტივში“ რომ სამათეულზე მეტი ფეხბურთელი ვარჯიშობს, აქედან ვის დაიტოვებს მწვრთნელი, მისი გადასაწყვეტი თან არის და თან არა. არ არის იმიტომ, რომ მხოლოდ სურვილი არ კმარა, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ჰოდა, რამდენად მარიფათიანი აღმოჩნდება რკინიგზელთა უფროსობა, ამას მაშინ შევიტყობთ, როცა ხურცილავას განკარგულებაში 18-20 ფეხბურთელი დარჩება. ვინ წავიდა „ლოკომოტივიდან“, ამაზე უკვე გაუწყეთ. გუნდი 10-მა კაცმა დატოვა.

კლუბში საკუთარი სურვილით მოსულთა სია შთამბეჭდავია, თუმცა გადასაწყვეტი როგორც გითხარით, ჯერ ბევრია. მაინც ვისთან უწევს მურთაზ ხურცილავას ვარჯიშის ჩატარება?

ტრაპაიძე, ჩომახიძე, ქობულაძე და კალანდაძე — ფოთის „კოლხეთიდან“, ბარამიძე და გოლეთიანი — „ლარწყალიდან“, მეკარე ასლანაძე — წყალტუბოს „სამგურალიდან“, ვახტანგ გველესიანი — „არსენალიდან“ და სხვები, სწორედ რომ საკუთარი სურვილით ვარჯიშობენ ხურცილავას მეთვალყურეობით.

სხვათა შორის, „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს მურთაზ შელიაც, ეროვნული ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს ხურცილავასთვის უთხოვია, კალისტრატოვიჩ, თუ წინააღმდეგი არ იქნები, ფორმის აღსადგენად „ლოკომოტივში“ ვივარჯიშებო. ბატონმა მურთაზმაც უარი არ უთხრა და ხუმრობითაც თქვა, ეეჰ, მილიონნახევარი დოლარი მომცა, დაცვაში მშვიდად ვიქნებოდიო.

ხურცილავა გუნდს დღეში ორჯერ ავარჯიშებს დიღომში მდებარე „ლოკომოტივის“ ბაზაზე. დაკომპლექტებას რაც შეიძლება ბევრი სპარინგ-მატჩების გამართვა სჭირდება და „ლოკომოტივმაც“ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა. გუშინწინ, რკინიგზელები საკუთარ ბაზაზე სოხუმის „ცხუმს“ გაეჯიბრნენ და 5:0 დაამარცხეს. მანამდე მათ ორი საკონტროლო მატჩიც ჩაატარეს, გორის „დილასთან“ 0:3 წააგეს, პირველ ლიგაში წამოჩიტულ „თბილისთან“ კი 2:1 მოიგეს. ხურცილავას კიდევ ერთი ამხანაგური აქვს დაგეგმილი. ისინი ოთარ კორღალიძის „თბილისს“ ხვალ ხელმეორედ გაეჯიბრებიან.

გამართავენ თუ არა რკინიგზელები ამხანაგურებს? რა თქმა უნდა, მაგრამ ვისთან, ჯერ ცნობილი არ არის. ვისაც სურვილი ექნება, შევხვდებითო — გვითხრა ხურცილავამ.

გიორგი ვაშაძიძე

# რასა იქმს ზიმბრუ

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ შესაძლო მეტოქის მოლდოვური „ზიმბრუს“ სასელექციო საქმიანობაზე შაბათის „სარბიელში“ ვწერდით. გუნდმა ორი ახალი ფეხბურთელი დაიმატა — კიშინიოვის „აგროდან“ ოლეგ შაოიუმუ და სარატოვის „სოკოლიდან“ ვეტერანი ბორის ტროპანეტი.

მთავარ მწვრთნელ სემიონ ალტმანს სანკტ პეტერბურგის „ზენიტიდან“ დაბრუნებული სერგეი კლეშჩენკოს დახმარების იმედიც ჰქონდა, რადგან ამ ფეხბურთელის ტრანსფერი ჰაიფას „მაკაბისთან“ ერთობ ჭიანურდება. თუმცა, როგორც მოლდოვური პრესა იუწყება, კლეშჩენკომ უკვე გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი ისრაელურ კლუბთან, რომელიც ინტერტოტოს თასის მიმდინარე გათამაშების პირველ ეტაპზე აზერბაიჯანის „ყარაბახმა“ იმსხვერპლა. თავდამსხმელის სანაცვლოდ „ზიმბრუმ“ 400 ათასი დოლარი მიიღო. თავად ფეხბურთელს კი „მაკაბის“ ხელმძღვანელობამ 100 ათასი დოლარი უფეშქაშა.

რაც შეეხება მოლდოვის ჩემპიონის ამხანაგურ შეხვედრებს, ადრეც გაუწყეთ, რომ კიშინიოველები ჩეხეთის მიწაზე გადიან შეკრებას. უკრაინის ვიცე-ჩემპიონ „შახტიორთან“ 2:0-ით გამარჯვების შემდეგ „ზიმბრუმ“ კიდევ სამი საკონტროლო მატჩი გამართა. ორი— ჩეხურ გუნდებთან — მეორეადგილოსან „ტეპლიცესთან“ და თასის ფინალისტ „სლოვანთან“. პირველთან შეხვედრა მოლდოველებმა პირწმინდად დათმეს — 0:3. ქალაქ ლიბერეცის კლუბს კი ფრედ 1:1 ეთამაშეს. „ზიმბრუს“ გატანილი გოლი ეპურეანუს ანგარიშზე მოდის.

მესამე მეტოქედ კი კიშინიოველებმა კვლავ „შახტიორი“ არჩიეს. ამჯერად უკრაინელებმა რევანშის აღება შეძლეს და პირველ წუთზე გატანილი პოპოვის გოლის წყალობით 1:0 გაიმარჯვეს.

სამწუხაროდ, „შახტიორის“ შემადგენლობაში ისევ ვერ ვიხილეთ მიხეილ ფოცხვერიას გვარი.

ხვიჩა სანიძიძე



1999 წლის 26 მაისი. „ტორპედო“ — „სამგურალი“. გიორგი კილასონიას შორიდან დარტყმული გრიგოლ ჭანტურიამ (№1) მოიგერია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კოვერჩანოდან მანჩესტერში

ფიფა-უეფა რომ მსოფლიოს ფეხბურთის განვითარებისთვის დიდად ზრუნავენ და საამისოდ ბევრსაც იღწვიან, ახალი ამბავი არ არის. ამ მხრივ განსაკუთრებით მაინც უეფა აქტიურობს. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია მრავალ ლექცია-სემინარს ატარებს, რომლებზეც თავისი წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს იწვევს. ბოლო ასეთი სემინარი, სადაც ქართველებიც იყვნენ წარდგენილნი, ივლისის მეორე ნახევარში იტალიურ კოვერჩანოში ჩატარდა. ქალაქ ფლორენციის მახლობლად მდებარე ამ ბაზაზე საміოდე კვირის წინ ორი ქართველი მწვრთნელი — დავით ყიფიანი და გაიოზ დარსაძე იყვნენ მივლენილნი და იქიდან კმაყოფილნიც დაბრუნდნენ.





დავით პეტრიაშვილი

ამ დღეებში უეფამ ლექცია-სემინარების კიდევ ერთი კურსი ჩაატარა. 4-8 ივლისს ინგლისში, ქალაქ მანჩესტერში გამართული სემინარები მასობრივი და სამოყვარულო ფეხბურთის განვითარების საკითხებს მიეძღვნა. მასში მონაწილეობის მისაღებად ევროპის ყველა ქვეყნისა და არგენტინის წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი. საქართველოდან ეს პატივი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ამავდროულად უეფას სამოყვარულო ფეხბურთის კომიტეტის წევრს, დავით პეტრიაშვილს ერგო, რომელსაც გუშინ მანჩესტერში შევეხმიანეთ.

— სემინარის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს სამოყვარულო ფეხბურთის აღორძინებას. უეფას აზრით, სრულყოფილ პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია სამოყვარულო ეტაპის გავლა. ამას დღესდღეობით უკვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ეს რომ ასეა, მოყვარულთა შორის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაც ცხადყოფს. მისი შესარჩევი ერთ-ერთი ეტაპი ხომ ახლახან თბილისშიც გაიმართა. მანჩესტერში თეორიულ მეცადინეობასთან ერთად პრაქტიკული ვარჯიშებიც გვიტარდება. თითოეული ქვეყნის წარმომადგენელს გადმოგვეცა ინსტრუქტაჟი, რომლის მიხედვითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მომავალშიც — გვითხრა პეტრიაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ თეორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობებს ისეთი ცნობილი სპეციალისტები ატარებდნენ, როგორებიც არიან: ალექს ფერგიუსონი, რინუს მიხელსი, გაბრიელ უმბერტო კალდერონი, ანდონი სუბისარეტა და ენდი როქსბურგი. ალბათ გახსოვთ, როქსბურგი ოცი დღის წინ კოვერჩანოში გამართულ მწვრთნელთა სემინარებს ხელმძღვანელობდა, ახლა კი მანჩესტერში ჩასვლაც არ დაიზარა.

ამ განხრის ლექცია-სემინარები ტრადიციულია და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. წლევანდელი კურსი რიგით მეორეა. პირველი ორი წლის წინ ბრიუსელში გაიმართა და მასში საქართველოდან ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის წევრი ბადრი ქარქაშაძე იყო წარგზავნილი.

**ვანო ოქროპირიძე**





სოსო ფრუიძე და ნუგზარ ნიკოლაიშვილი

# სამტრედიაში კვირას იწყებენ

ამას წინათ სამტრედიის „იბერიის" პრეზიდენტმა, ნუგზარ ნიკოლაიშვილმა გვითხრა, გუნდი მზადებას 5 ივლისიდან შეუდგება, რა თქმა უნდა, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდაო. როგორც ჩანს, სამტრედიულ კლუბში არც ისე კარგადაა საქმე. გუნდი გარკვეული მიზეზების გამო ვარჯიშებს ჯერ არ შესდგომია, თუმცა მზადების დაწყებას კვირის ბოლოსთვის რომ აპირებენ, ფაქტია.

— „იბერია" კვირას, 11 ივნისს, დაიწყებს მზადებას ჯიხაიშის ბაზაზე — გვითხრა გუშინ სამტრედიელთა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ. ინტენსიურ ვარჯიშებსაც მაშინ შევუდგებით. გუნდიდან ჯერჯერობით მხოლოდ ძმები გიგიაძეები წავიდნენ. მოგეხსენებათ, ტყუპები ბოსკამპმა „დინამოში" წაიყვანა. ფოთში, ინტერტოტოზე „კოლხეთის" დასახმარებლად წასული დავით ხუჭუას საქმე გაურკვეველია, რომელიც უახლოეს ხანში გადაწყდება. გუნდში არიან ჯერჯერობით მეკარე გუბაზ დოლიძე და მცველი გივი ქველაძე. რაც შეეხება შოთა ჩომახიძეს, რომელიც „დინამოში" გვყავდა განათხოვრებული, ახლა მურთაზ ხურცილავასთან ვარჯიშობს „ლოკომოტივში", თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია.

დღესდღეობით „იბერიაში" 25-28 ფეხბურთელი ვარჯიშობს. გვყავს ძალიან ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე — ქუთაისიდან, თბილისიდან, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ბიჭებიც. სამი-ოთხი გამოცდილი ფეხბურთელის დამატება არ გვაწყენდა და იმედი მაქვს, ნუგზარ ნიკოლაიშვილი მოგვიგვარებს ამ საკითხს. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ესაა. იბერიელები კვირის მოლოდინში არიან.

**გიორგი ვაშაკიძე**

# პრეზიდენტის სტუმრობაო...

## ახლა ფოთს ფეხბურთისთვის არ სცხელა

გუშინ ფოთში ძალიან ბევრი რამ უნდა გარკვეულიყო. საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" კრებაზე აქტუალურ საკითხებზე გლობალურად უნდა ემსჯელათ, გადასაწყვეტი უნდა გადაეწყვიტათ. საბოლოოდ უნდა დაზუსტებულიყო წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობაც. რაც ყველაზე მთავარია, მწვრთნელ-უფროსობას სტრატეგიული გეგმა უნდა ჩამოეყალიბებინათ და პრეზიდენტ ჯემალ ინაიშვილისთვის მოეხსენებინათ, მაგრამ კრება არ შედგა, გვითხრეს, კვირისთვის გადავდეთ, მაშინ კი აუცილებლად დავსხდებით და კლუბის მომავალზეც დავილაპარაკებთო.

გუნდის კრების გადადების მიზეზი კი ფრიად საპატიო ყოფილა. რა დროს ფეხბურთია, სიმართლე გითხრათ, ამ საქმისთვის ახლა არ გვცალია, ფოთში თვით ქვეყნის პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე უნდა გვეწვიოს და ყველანი მის შესახვედრად ვემზადებითო, გვითხრა „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ სატელეფონო საუბრისას.

ამავე დროს ზღვისპირელთა კლუბის ხაზინა საკმაოდ სოლიდური თანხით შეივსო — ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ 80 000 შვეიცარიული ფრანკი ფოთელებს უეფას თასზე შარშანდელი მონაწილეობისთვის გადმოურიცხა, გეკუთვნით და ხომ არ დაგიკავებდითო.

როგორ ფიქრობთ, სად წავა ზემოხსენებული თანხა? მისი უდიდესი ნაწილი ფეხბურთელებისთვის დარჩენილი საკონტრაქტო ვალების გასტუმრებას მოხმარდება, დანარჩენი კი... ისე, იქნებ დიდი არაფერი, მაგრამ ჩვენს კვალობაზე 80 000 ფრანკი, ღმერთმანი, კაი გვარიანი თანხაა.

**გიორგი ვაშაკიძე**





„კოლხეთის" უფროსობა: ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა და ვიცე-პრეზიდენტი თენგიზ ქოიავა

# ქართველთგადაცვენა მეზობელ სომხეთში

დანამდვილებით ვერ გეტყვით, ფულის გარდა რითი დააინტერესა სომხეთის შარშანდელი ჩემპიონატის მესამეადგილოსანი „ერევნის" პრეზიდენტმა კარენ არუთუნიანმა ქართველი ფეხბურთელები, მაგრამ ფაქტია, ამ გუნდში დღესდღეობით არც მეტი, არც ნაკლები, 5 ქართველი იმყოფება. მამუკა აფციაურმა, ელდარ გვასალიამ, კახა გოგოლაძემ, დიმიტრი პარამონოვმა და თენგიზ დოლიძემ სომხეთის ჩემპიონატის მე-14 ტურის მატჩიც ითამაშეს „ზვარტნოცის" წინააღმდეგ. ეს შეხვედრა კახა გოგოლაძის კინკილა გოლით მოიგეს.

— გუნდის ქართველებით გაძლიერება თბილისში ჩვენი სტუმრიანობისას გადავწყვიტეთ, როდესაც საქართველოს ჩემპიონს, თბილისის „დინამოს" ამხანაგურად შევხვდით. მოწვეულ ქართველ ლეგიონერთა ჯგუფი „ერევანში" ჯერჯერობით გასინჯვაზე იმყოფება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა გამოცდილია, გუნდში ორ ან სამ ფეხბურთელს დავიტოვებთ. ძირითადი მიზანი კი უეფას თასზე ღირსეულად გამოსვლაა. ისრაელის თელ ავივის „ჰაპოელთან" მატჩისთვის, იმედი მაქვს, ქართველი ლეგიონერები დიდად დაგვეხმარებიან — განუცხადებია საფეხბურთო კლუბ „ერევნის" პრეზიდენტ კარენ არუთუნიანს.

მოგეხსენებათ, „ერევანი" ამ ცოტა ხნის წინ მართლა იყო თბილისში. იოჰან ბოსკამპმა მის წინააღმდეგ „დინამოს" მესამე შემადგენლობა გაიყვანა. ეს მატჩი ფრედ დამთავრდა. მაშინ ამ მატჩში ითამაშეს აფციაურმა და პარამონოვმა და ჩვენი სამხრეთელი მეზობელიც დააინტერესეს. მერე კიდევ გაუკითხგამოუკითხავთ და ფედერაციის დახმარებით სხვა სასურველი სამი კანდიდატურაც შეუგულებიათ. „ერევანში" ქართველებს, ალბათ, მართლაც აიყვანენ და ამ შემთხვევაში გუნდში ლეგიონერები მომრავლდებიან. მანამდე ამ სომხურ კლუბში ორი უცხოელი იყო, რუსი მეკარე სერგეი კუზნეცოვი და არგენტინელი თავდამსხმელი მარსელო.

ზუსტად ვერ გეტყვით, მარამ „ერევანი", ალბათ, აფციაურს, გვასალიას და გოგოლაძეს დაიტოვებს. სომხებს გვასალიას ყოფილი კლუბისთვის, ფოთის „კოლხეთისთვის" მიუმართავთ, ეს ბიჭი ორი თვით გვათხოვეთ, რათა უეფაზე დაგვეხმაროსო. ფოთელებსაც უარი არ უთქვამთ და...

**გიორგი ვაშაკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საზაფხულო მიდი-მოდი

აუ, რამდენი თეთრი ლაქაა! ქვემდებარე „მიდი-მოდის“ ხილვისას კაცი პირველად ამას გაიფიქრებს. სითეთრე წასულთა სვეტში ან დიდი გაურკვევლობის, ანაც სტაბილურობის შედეგია. მაგალითად, თასის მფლობელ და ვიცე-ჩემპიონ „ტორპედოს“ თავკაც დავით ყიფიანს შარშანდელი შემადგენლობიდან ჯერ არავინ დაუთხოვია. ტორპედოელთა მეზობელი სამტრედიის „იბერია“ კი ჯერ არც შეკრებილა და წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობაც, ცხადია, არ დაუდგენია. თუმცა, ერთი კი იცის, „იბერიის“ ქუთაისელი ტყუპები, ვასილ და სოსო გოგიაძეები ახალ სეზონში „დინამოში“ ითამაშებენ.

სიცარიელე ახალწვეულთა გრაფაში ასევე შეიძლება სტაბილური შემადგენლობის ყოლას დავაბრალოთ, თუმცა უმეტეს შემთხვევაში რომ უფულობის ბრალია, სადავო არც ესაა.

პირველი, რაც აუცილებლად უნდა ითქვას, ისაა, რომ შიდაქართულ ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით არ შემდგარია. კი, ბატონო, წავიდა ესა თუ ის ფეხბურთელი ერთი გუნდიდან, მივიდა მეორეში, მაგრამ ჯერჯერობით არც ისაა ცნობილი, ახალ გუნდში ფეხს მოიკიდებს თუ არა და არც ის, რომ გაწბილებული ძველ გუნდს არ დაუბრუნდება.

წლეულს უცხოეთში ცოტა თუ წავიდა, უფრო მეტი მოძრაობა შინაურ ბაზარზეა. ბაზარს პირობითად ვამბობთ, თორემ ფინანსური ანგარიშსწორება ძირითადად კლუბსა და ფეხბურთელებს შორის მიმდინარეობს და არა კლუბებს შორის. იმის გამო, რომ ბევრი უფულო გუნდი ფეხბურთელს კონტრაქტის პირობებს ვერ უსრულებს, ფედერაცია ჩაგრულ მოთამაშეებს ახალ კლუბში უსასყიდლოდ გადასვლის ნებას რთავს.

დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ასეთი სიტუაცია გასაგებია. საქართველოში, როგორც არაევროკავშირელ ქვეყანაში, ბოსმანის წესი არ მოქმედებს, მაგრამ არც უამისობაა და თავისუფალ აგენტთა სიმრავლის ბრალიცაა შიდაქართული სატრანსფერო ბაზარზე საფინანსო ბრუნვის შემაშფოთებელი სისხლწასულობა.

ამ ცხელი ზაფხულის სიხალვათეში თვალში საცემი ერთი საერთაშორისო ტრანსფერია — აკაკი დევაძის საქართველოში დაბრუნება. დევაძე ებრაული აშდოდის „ირონისგან“ ამ ცოტა ხნის წინ „დინამომ“ გამოისყიდა.




„ტორპედოს“ ახალწვეული სიდამონიძე (№23) და დინამოელი ქებაძე სუპერ-ფინალის ტოლ საკონტროლო მატჩში

[illegible] ფოტო

რაც შეეხება საქართველოდან მეტნაკლებად ღირებულ კლუბში მოთამაშის გადასვლას, ასეთად თურქული უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ვანსფორში“ სამგურალელი ალექსანდრე ბურნაძის გადაბარგებაა. თუმცა ამით წყალტუბოელებს არაფერი უხეირიათ, რადგან ბურნაძეზე მათი უფლებები მხოლოდ 4 თვეს ვრცელდებოდა.

საკონტროლო მატჩთა გრაფაშიც გვარიანი სიმწირეა და ესეც ქართული კლუბების არცთუ სახარბიელო სიტუაციის გამოა. კი შეიძლება, ამასაც სხვა მიზეზი თუ ახსნა ჰქონდეს, მაგრამ სინამდვილეში რაცაა, ხომ მოგეხსენებათ.

ზოგი მწვრთნელი მოსამზადებელ პერიოდში საკონტროლო მატჩებს უგულვებელყოფს, ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე. ზოგი, პირიქით, თამაშ-თამაშ ცდილობს გუნდი სასურველად მოამზადოს. მაგრამ როცა ზოგმა გუნდმა ვარჯიში ახლახან დაიწყო, მეტიც ზოგს არც დაუწყია, რომელ სამწვრთნელო მიმართულების მიმდევრობაზეა ლაპარაკი.

ასე აქამდე იყო, სამომავლოდ კი საკმაოდ მჭიდრო კალენდარი აქვთ გუნდებს შედგენილი. ჩვენც მივყვებით ამ მატჩებს ფეხდაფეხ და დროდადრო მათ შედეგებთან ერთად ახალ-ახალი ტრანსფერების თაობაზეც ოპერატიულად გაცნობებთ.

ვახტანგ ბზიკაძე

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *იოჰან ბოსკამპი* | ლ. მიქაძე (ბილიში, ალბანეთი), ა. მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), შ. ჩომახიძე (ლოკომოტივი), კვარაცხელია (თბილისი), მ. მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი (?) | ს. გიგაძე, ვ. გიგიაძე (იბერია), გ. შენგელია (დინამო), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (ბათუმი), ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი (თბილისი), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), დევაძე (ირონი, აშდოდი, ისრაელი) | ერევანი 0:0, ქიაფაზი 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდემი (ჰოლანდია) 10:0 |
| **ლოკომოტივი** *მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვეთი), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), შ. ხუჯაძე (ტორპედო), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), დოლაბერიძე, დაუშვილი, ქოიავა, ლუდუშაური, ვ. კილასონია (?) | შ. ჩომახიძე (დინამო), ტრაპაიძე, კალანდაძე, მ. ქობულაძე (კოლხეთი), დავითნიძე (მერანი), ასლანაძე, გლუნჩაძე (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, გოლეთიანი (ლარნყალი), ოდიშარია (ცხუმი) | დილა 0:3, თბილისი 2:1, ცხუმი 5:0 |
| **ბათუმი** *ჟანი კარნევალე* | თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (დინამო) | ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო) | |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ. მაისურაძე (ტორპედო), ვ. ქუთათელაძე, გვირჯიშვილი (თსუ) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი) | დილა 2:1 |
| **არსენალი** *დავით ჩახავა* | ზირაქიშვილი (ტორპედო), ჩლაიძე, ყოლბაია (ყარაბაღი, აზერბაიჯანი), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი), ტარიელაშვილი, მ. მაისურაძე (?) | | |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), ბურნაძე (ვანსფორი, თურქეთი), მახვილაძე (ტორპედო), ასლანაძე, გლუნჩაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), გ. კილასონია (?) | | |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ლ. გაგუა (კოლხეთი), გუგუნავა, ძნელაძე, კ. გოდერძიშვილი, დ. ბერიძე, ტყავაძე (?) | | |
| **თბილისი** *ოთარ კორღალიძე* | შაშიაშვილი, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი (დინამო) | კვარაცხელია (დინამო), ხუციშვილი, ბაჯელიძე (მერანი) | ლოკომოტივი 1:2, გორდა 0:4 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), ზირაქიშვილი (არსენალი), შ. ხუჯაძე (ლოკომოტივი), სიდამონიძე (გორდა), მახვილაძე (სამგურალი), გ. კვეტენაძე (მერანი) | დინამო 1:3 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | მ. ქობულაძე, კალანდაძე, ტრაპაიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი) | ლ. გაგუა (სიონი) | ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ხუციშვილი, ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი) | | |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე (დინამო) | | |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | ბ. ჩიტაია (ვიტ ჯორჯია), მდივანი (?) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშილი (ლოკომოტივი) | ვიტ ჯორჯია 1:2, ლოკომოტივი 3:0 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | რ. მახარაძე (მერცხალი), სიდამონიძე (ტორპედო), ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | | თბილისი 4:0 |
| **თსუ** *კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო) | ახალაძე (სამგურალი), ვ. ქუთათელაძე, გვირჯიშვილი (ვიტ ჯორჯია) | |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | ონიანი (ნისტრუ, ოტაჩი, მოლდოვა), ლ. გვაზავა (?) | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლინფილდელებმა — ლოკომოტივს მოვუგებთო



კრის მორგანი (მარჯვნივ) და გლენ ფერგიუსონი

ბელფასტის „ლინფილდის" 23 წლის თავდამსხმელის, კრის მორგანის გვარი ჩვენს გულშემატკივრებს, ალბათ, არც არაფერსეუბნება, მაგრამ თავად კი კარგად იცნობს ქართულ ფეხბურთს. ამ ორი წლის წინათ მორგანი თბილისს სტუმრობდა. მაშინ ის „კრუზეიდერსში" თამაშობდა და „პაიჭაძის" მინდორზე მატჩის 71-ე წუთზე გამოჩნდა. გამოვიდა და დიდიც არაფერი გაუკეთებია. ის თამაში „კრუზეიდერსმა" 1:5 წააგო „დინამოსთან". მერე მორგანი „ლინფილდში" გადავიდა და გლენ ფერგიუსონთან ერთად გუნდის მთავარი მეგოლეც გახდა. მაგრამ მალე „უინძორ პარკზე" ლივერპულის სკოლაგამოვლილი ჭაბუკი დეივი ლერმური გამოჩნდა, რომელმაც ორივე დაჩრდილა. გასულ სეზონში მწვრთნელები ლერმურ-ფერგიუსონის წყვილს ანიჭებდნენ უპირატესობას. მათ საერთო ჯამში 47 ბურთი გაიტანეს, მორგანმა კი სეზონში 16 გოლი იკმარა. მიუხედავად ამისა, მორგანი „უინძორ პარკის" ქომაგთა საყვარელ მოთამაშედ რჩება. როცა მან თბილისის „ლოკომოტივის" მეტოქეობის ამბავი შეიტყო, დიდად არ დამწუხრებულა: „კენჭისყრის მოლოდინისას გუნდელები შესაძლო მოწინაალმდეგის ვარიანტებს ვასახელებდით, „ანდერლეხტისა" და „სელტიკის" სახელები ყველაზე ხშირად ჟღერდა, მაგრამ თბილისში დაბრუნება მოგვიწევს — ამბობს მორგანი — კარგად მახსოვს, იქაურმა „დინამომ" როგორ მოუგო „ლინფილდს", მერე კი მსაჯთან დაკავშირებული რაღაც პრობლემის გამო წაგება ჩაუთვალეს. მაშინ „ლინფილდში" არ ვთამაშობდი, თუმცა ორი წლის წინათ მეც მომიწია თბილისში ჩასვლა. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო წრეში „დინამომ" „კრუზეიდერსიც" დაამარცხა. „დინამო" მართლაც კარგი გუნდი იყო. იქ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებიც მრავლად თამაშობდნენ. აი, „ლოკომოტივზე" კი წარმოდგენა არ გვაქვს, მხოლოდ ვიცით, რომ „დინამოს" ჩამოუვარდება. ამიტომ, იმედი გვაქვს, შემდეგ წრეში „ლინფილდი" გავა. თანაც, არც ქართველი ფეხბურთელების თამაშის სტილია ჩვენთვის „უცხო".

აი, ასე აფასებს შანსებს ბელფასტელთა თავდამსხმელი. მის აზრს სხვებიც იზიარებენ და მართალია, დაბეჯითებით არა, მაგრამ მაინც ამბობენ, ამჯერად ქართულ ბარიერს დავძლევთო. ამისათვის „უინძორ პარკის" ბინადრებს მოტივაციაც გააჩნიათ. ჩრდილოირლანდიური კლუბები („ლინფილდი", „კრუზეიდერსი") ქართველებს (თბილისის „დინამოს") ორჯერ გადაეყარნენ, ოთხ მატჩში სამი წააგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს, 4 ბურთი გაიტანეს და 11 გაუშვეს. რევანშის წყურვილიც ბუნებრივია...

ახლა ლინფილდელებს „კრუზეიდერსის" 33 წლის მცველის — ტრევორ „როკი" მაკმულანის გადაბირება სურთ, რომელიც თურმე დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე კარგად თამაშობს და არც ლიბეროობა დაეწუნება. მაკმულანსაც უთამაშია თბილისში, „კრუზეიდერსისთვის" იმ არცთუ ტკბილად მოსაგონარ მატჩში.

გაირკვა, რომ დღევანდელ „ლინფილდში" ოთხი ფეხბურთელია იმათგან, რომლებიც 1993-ში „დინამოს" დაუპირისპირდნენ, ახლანდელი კაპიტანი 27 წლის ნოელ ბეილი, 29 წლის მარცხენა მცველი ჯონ ისტონი, მარცხენა ნახევარმცველი სტეფენ ბითი (29) და შუამარბი იან მაკუში (26).

„ლინფილდი" სეზონის პირველ საკონტროლო-ამხანაგურ მატჩს 19 ივლისს ითამაშებს „გრიმსბისთან" და „ლოკომოტივთან" შეხვედრამდე კიდევ ოთხჯერ გაეჯიბრება მეტოქეებს.

**სოლომონ გულისაშვილი**

## ლინფილდის კალენდარი ივლის-აგვისტოში

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 ივლისი | ამხანაგური მატჩი | გრიმსბი | შინ |
| 22 ივლისი | ოთხთა ტურნირი | ლივერპული | შინ |
| 24 ივლისი | ოთხთა ტურნირი | გლენტორანი | შინ |
| 27 ივლისი | ამხანაგური მატჩი | დანდალკი | შინ |
| 29 ივლისი | ამხანაგური მატჩი | დრომარა ვილიჯი | გასვლა |
| 12 აგვისტო | უეფას თასი | ლოკომოტივი | გასვლა |
| 14 აგვისტო | ჩემპიონატი | კრუზეიდერსი | გასვლა |
| 21 აგვისტო | ჩემპიონატი | კოლრეინი | შინ |
| 26 აგვისტო | უეფას თასი | ლოკომოტივი | შინ |
| 28 აგვისტო | ჩემპიონატი | გლენავონი | გასვლა |
| 31 აგვისტო | ჩემპიონატი | გლენტორანი | გასვლა |

## ლინფილდი 1999




## ექვსი წლის წინათ...



თბილისური მატჩის დაწყების წინ. ლინფილდელი ალან დორნანი (№2) და დინამოელი მიხეილ ყაველაშვილი

თბილისი. 18 აგვისტო. ეროვნული სტადიონი. 56 800 მაყურებელი

**დინამო (თბილისი) 2:1 ლინფილდი**

1:0 შ. არველაძე (7), 1:1 ჯონსტონი (56), 2:1 ინალიშვილი (66)

დინამო: ზოიძე, ნემსაძე, ლობჟანიძე, შელია, ინალიშვილი, ყაველაშვილი (ანჩაბაძე 81), ა. არველაძე, ჯამარაული, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე

ლინფილდი: ლემონტი, დორნანი, ისტონი, დოჰერტი, მაკონელი, პიბლსი, მაკუში, გორმანი, ჯონსტონი, ჰეილოკი (ბითი 52), ბეილი

გაფრთხილება: ჯონსტონი, ლემონტი

მსაჯი: ერმან თოროღლუ (თურქეთი)




ბელფასტი. 1 სექტემბერი. „უინძორ პარკი". 4 348 მაყურებელი

**ლინფილდი 1:1 დინამო**

0:1 შ. არველაძე (46), 1:1 ჰეილოკი (70)

ლინფილდი: ლემონტი, დორნანი, ისტონი, დოჰერტი, მაკონელი, ბითი (ანდერსონი 81), კნილი (გორმანი 47), ჯონსტონი, ჰეილოკი, პიბლსი, ბეილი

დინამო: ზოიძე, ნემსაძე, ჩიქოვანი, შელია, ინალიშვილი, ყაველაშვილი, ა. არველაძე (ანჩაბაძე 85), ჯამარაული (ბერაძე 89), რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე

გაფრთხილება: პიბლსი, დოჰერტი

მსაჯი: როი ჰელგ ოლსენი (დანია)

სარბიელის არქივიდან



დინამო — ცსკა 1:0. არმიელთა შეფი, რუსეთის თავდაცვის მინისტრი ეგორ სერგეევი (მარცხნივ) აშკარად ნერვიულობდა, ქვეყნის პრემიერი სერგეი სტეპაშინი (შუაში) კი საბჭოური ფეხბურთის ამაგდარის კონსტანტინ ბესკოვის ლაზღანდარობით ერთობოდა

REUTERS

## რუსეთი

### XV ტური

**ალანია 2:2 ზენიტი**

1:0 დემეტრაძე (18პ), 1:1 მაქსიმიუკი (42), 2:1 დემეტრაძე (79), 2:2 კობელევი (90)

**ლოკომოტივი 5:1 როტორი**

1:0 ლოსკოვი (16), 2:0 სარქისიანი (20), 3:0 ჯანაშია (31), 3:1 ზუბკო (63), 4:1 პაშინინი (80), 5:1 ბულიკინი (89)

**კრილია 3:1 სპარტაკი**

1:0 მიქაელიანი (58), 2:0 ბულატოვი (65ს.კ.), 2:1 ტიხონოვი (75პ), 3:1 წიკლაური (82)

**დინამო 1:0 ცსკა**

1:0 ტერიოხინი (30)

**ურალანი 1:0 შინიკი**

1:0 ვიშნევსკი (67)

**ჟემჩუჟინა 1:1 როსტსელმაში**

1:0 ზაცეპინი (48), 1:1 მაციგურა (74)

**სატურნი 2:2 ტორპედო**

0:1 დაევი (39), 1:1 მენშჩიკოვი (49), 2:1 ბუზნიკინი (87), 2:2 დურნევი (89)

**ჩერნომორეცი 0:1 ნ. ნოვგოროდი**

0:1 ავაქოვი (55)

მეთხუთმეტე ტურში კვლავ გამოიჩინა თავი „ალანიას" ლიდერმა გიორგი დემეტრაძემ. ქართველი ლეგიონერის პენალტები კი ყოველი მატჩისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ათ მილიონ დოლარად შეფასებული ფორვარდი, არგენტინელი მარტინ პალერმოსგან განსხვავებით, უზადოდ ასრულებს თერთმეტმეტრიანებს. როცა რუსი ჟურნალისტები ბომბარდირ დემეტრაძეს შესახებ წერენ, იქვე ორაზროვნად უთითებენ, რომ 13 გატანილიდან 8 პენალტზე მოდის. ისე, ზოგიერთი რუსი კოლეგის შეშფოთება გასაგებია. ბომბარდირთა დავაში ქართველმა სპარტაკელ ტიხონოვს გადაასწრო. თუმც დემეტრაძე, ალბათ, სულ მალე დატოვებს რუსეთს და უფრო ძლიერ ჩემპიონატში გადაბარგდება. ჰოდა, მოისვენებენ რუსები...

დიდი შესვენების შემდეგ ზაზა ჯანაშიამ მოახერხა გატანა. მისმა „ლოკომოტივმა" კი გაანადგურა მგლოვიარე „როტორი". მათი პრეზიდენტის შვილი ხომ ტრაგიკულად დაიღუპა. ვლადიმერ გორიუნოვი ერთი კვირის წინათ თავის მეგობართან ერთად მანქანაში სადისტურად ნაცემი იპოვეს. კომაში მყოფს ექიმებმა მხოლოდ რამდენიმე დღით გაუხანგრძლივეს სიცოცხლე. ამ ფაქტმა ფსიქოლოგიურად იმოქმედა „როტორის" ფეხბურთელებზე, რომლებიც შავი სამკლაურებით გავიდნენ მოედანზე. გუშინწინ ვოლგოგრადელებს ფეხბურთი არ უთამაშიათ. ზაზა ჯანაშია ნელ-ნელა იბრუნებს ფორმას. მართალია, მინდორზე მხოლოდ 65 წუთი დაჰყო, მაგრამ გასაკეთებელი გააკეთა. გოლთან ერთად საგოლე პასიც მიითვალა. დაკარგული ქულების მიხედვით „ლოკომოტივი" კვლავ გალიდერდა, რაშიც რკინიგზელები „კრილიას" უნდა უმადლოდენ.

სამარაში „სპარტაკს" ცივი წყალი გადაასხეს. მასპინძელთა ქართული დუეტი — ფოფხაძე და წიკლაური თანდათან შლიან ფრთებს. „კრილიას" კაპიტან ფოფხაძეს დაცვაში ერთი შეცდომა არ დაუშვია — ასე შეაფასეს ჩვენებურის თამაში „სპორტ-ექსპრესის" თანამშრომლებმა. რაც შეეხება თავდამსხმელ წიკლაურს, იგი მეორე ტაიმში ჩაერთო საქმეში და თუ შეხვედრის ოქმს გადაავლებთ თვალს, კარგად დაინახავთ მისი გარჯის ნაყოფს. 82-ე წუთზე წიკლაური სპარტაკელ ანანკოს დაუსხლტდა და სტუმრებს ქულის გადარჩენის იმედიც წარკვეთა.

დიდ ინტერესს იწვევდა მოსკოვური დერბი „დინამოს" და ცსკა-ს მონაწილეობით. ამ შეხვედრას ბევრი ცნობილი სპეციალისტი დაესწრო. არმიელები ხომ მალე ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან და, ბუნებრივია, გუნდს ყურადღებას არ აკლებენ. ცსკა-ს მთავარი მწვრთნელი დიდი პრობლემის წინაშე იდგა. დაცვის ბურჯი ვარლამოვი ტრავმის გამო ტოვებდა „დინამოსთან" შეხვედრას და ოლეგ დოლმატოვმა იძულებით გადაადგილებებს მიმართა. სათამაშო პრაქტიკას მოკლებულნი — ბოროდკინი და აკსიონოვი გაამწესა უკანა ხაზში, მინკოს კი მარჯვენა ნახევარცმველის ფუნქცია დააკისრა. სწორედ ამ ფლანგიდან შეუტიეს დინამოელებმა 30-ე წუთზე და ტერიოხინმა მატჩის ერთადერთი გოლიც გაიტანა.

„შინიკისა" და „კრილიას" ექსდამრიგებელმა ალექსანდრ ავერიანოვმა კარგად უწყოდა ყოფილ შეგირდთა სუსტი მხარეები და ელისტაში იაროსლაველებს დასანანი მარცხი აწვნია.

სწორედ იმ დროს, როცა გათამაშების ლიდერი სამარაში აგებდა, „სატურნში" განათხოვრებულმა სპარტაკელმა მაქსიმ ბუზნიკინმა ტორპედოელებს გოლი გაუტანა, თუმცა მასპინძელთა გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

და კიდევ. უცნაურად ბევრი დრო დაამატა „ალანია" — „ზენიტის" შეხვედრის მსაჯმა 90 წუთს. სტუმართა გუნდის მეკარის გაძევებაში კი ივანოველ არბიტრ ტიხომიროვს საყვედურს ვერ ვაკადრებთ. „ზენიტის" მეკარე ბერეზოვსკიმ ვლადიკავკაზის სტადიონიდან „მოიკითხა" ტიხომიროვის ივანოველი დედა...

უკვე 15 ტურის ბატალიებმა ჩაიარა და ყველას, ჟურნალისტიდან დაწყებული ტოტალიზატორის მოყვარულით დამთავრებული, ერთი კითხვა აწუხებს — ბოლოს და ბოლოს, როდის მოიგებს პირველ მატჩს წყალწაღებული „ჟემჩუჟინა"? იქნებ 14 ივლისს სტუმრად „ნიჟნი ნოვგოროდთან"... რა მოხდა, რატომ გეცინებათ?..

**ხვიჩა სანიკიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| დემეტრაძე (ალანია) | 13 |
| ტიხონოვი (სპარტაკი) | 12 |
| ვერეტენიკოვი (როტორი) | 8 |
| ტერიოხინი (დინამო) | 8 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 18 | 12 | 4 | 2 | 36:14 | 40 |
| ლოკომოტივი | 15 | 10 | 2 | 3 | 33:15 | 32 |
| ცსკა | 15 | 8 | 5 | 2 | 25:11 | 29 |
| ტორპედო | 16 | 7 | 8 | 1 | 18:11 | 29 |
| ალანია | 15 | 7 | 4 | 4 | 30:19 | 25 |
| როსტსელმაში | 15 | 7 | 4 | 4 | 19:16 | 25 |
| დინამო | 15 | 7 | 3 | 5 | 26:23 | 24 |
| ზენიტი | 15 | 5 | 6 | 4 | 20:16 | 21 |
| ნ. ნოვგოროდი | 15 | 5 | 4 | 6 | 18:20 | 19 |
| ურალანი | 15 | 4 | 3 | 8 | 10:17 | 15 |
| როტორი | 15 | 4 | 3 | 8 | 19:27 | 15 |
| კრილია | 16 | 4 | 3 | 9 | 21:29 | 15 |
| ჩერნომორეცი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:26 | 13 |
| სატურნი | 16 | 3 | 4 | 9 | 14:27 | 13 |
| შინიკი | 15 | 2 | 6 | 7 | 9:21 | 12 |
| ჟემჩუჟინა | 15 | 0 | 7 | 8 | 8:29 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მან აუცილებლად უნდა გაიტანოს

— როგორ ითამაშებს „რეალი“ მომავალ სეზონში?

ეს კითხვა არათუ მადრიდელ, არამედ მავან ქართველ გულშემატკივარსაც აწუხებს.

როგორ ითამაშებს „რეალი“, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი კი ცხადია, სამეფო კლუბის თამაშის ხარისხი მის მოთამაშეებზეა დამოკიდებული. ახლა კი სწორედ ის დროა, როცა კლუბები ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებას ლამობენ.

გასული სეზონის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მადრიდული გუნდი, რომელმაც 7-ჯერ მოახერხა ჩემპიონთა თასის მოგება, ახლა კრიზისშია, ამას კლუბის დირექტორატში მომხდარი აურზაურიც დავუმატოთ და დასკვნა ნათელია: „რეალს“ შველა სჭირდება!

სამეფო კლუბის კრიზისიდან გამოყვანა ვისი, ვისი და უელსელი ჯონ ბენჯამენ ტოშაკის საქმეა. ტოშაკს კი თურმე შუკერ-მიატოვიჩს, სხვა ექსიუგოსლაველი, ამჟამად უკვე ბოსნიელი 24 წლის ელვირ ბალიჩი ურჩევნია.



REUTERS მადრიდიდან

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ლორენცო სანსი (მარცხნივ) და სამეფო კლუბის ახალი შენაძენი ელვირ ბალიჩი

გარიგება გასულ ოთხშაბათს შედგა. თურქულმა „ფენერბაჰჩემ“ ბოსნიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი 15 მილიონ დოლარად სამეფო კლუბს მიჰყიდა. აღსანიშნავია, რომ ბალიჩში, რომელმაც ახალ გუნდთან ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა, „რეალმა“ კლუბის ისტორიაში სარეკორდო თანხა გადაიხადა.

„ფენერბაჰჩემდე“ ბალიჩი სხვა თურქული კლუბის — „ბურსასფორის“ ღირსებას იცავდა, საიდანაც გასულ სეზონში 12,8 მილიონ დოლარად სტამბოლურ გუნდში გადაბარგდა.

ბალიჩი თავდამსხმელია და, ბუნებრივია, მადრიდული კლუბის გულშემატკივრები მას გოლების გატანას მოსთხოვენ.

— ესპანეთში თამაში გაცილებით რთულია თურქეთზე, მაგრამ ვიცი, ჩემს ირგვლივ მრავალი კარგი მოთამაშე იქნება, რომლებიც გამიიოლებენ ცხოვრებას. მათი იმედიც მაქვს — განაცხადა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულ პრესკონფერენციაზე ბალიჩმა, რომელმაც გასულ სეზონში „ფენერბაჰჩეს“ შემადგენლობაში 18-ჯერ დაამწუხრა მეტოქეთა მეკარეები.

„რეალის“ პრეზიდენტი ლორენცო სანსი, როგორც ჩანს, არ არის ახალი შენაძენით აღფრთოვანებული, თუმცა აღნიშნავს, რომ წინასწარ არვინ იცის, ვინ როგორ ითამაშებს. კლუბის ახალი მოთამაშეებით შევსება ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული: არასოდეს ხარ დარწმუნებული, ფეხბურთელი ან გაგიმართლებს ან — არა. ბალიჩთან დაკავშირებით მე მთლიანად ტოშაკს მივენდე.

— ნურავის ჰგონია, თითქოს ბოსნიელში გადახდილი 15 მილიონი ქარს გავატანეთ. ვიცი, დაახლოებით ეს თანხა „რეალმა“ სამი წლის წინ შუკერის და მიატოვიჩის სანაცვლოდ გაიღო, მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, შესაბამისად დროც შეიცვალა. ელვირი ძლიერი მოთამაშეა, ის დიდ ფეხბურთს ითამაშებს — განაცხადა სამეფო კლუბის უელსელმა თავკაცმა.

ბალიჩი „რეალის“ მეექვსე ახალი შენაძენია. კამერუნელი ჟერემი ნჯიტაპის, ინგლისელი სტივ მაკმანამანის, კოლუმბიელი ედვინ კონგოსა და ორი ესპანელის — მიჩელ სალგადოს და ივან ელგერას შემდეგ, რომლებიც გაისად მადრიდული გუნდის ღირსებას დაიცავენ.

სამეფო კლუბის გულშემატკივრები ახალ სეზონს მოუთმენლად ელიან. მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მოუტანს „რეალს“ გამარჯვებას — რაული თუ ბალიჩი, მაკმანამანი თუ მორიენტესი, მთავარია, მათ გაიტანონ, გაიტანონ და დაამხონ მოსისხლე მტრის — „ბარსელონას“ ჰეგემონია ესპანეთში, რომელიც უკვე ორი წელია, გრძელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი...

**ზვიად ბაჩეჩილაძე**

## შვეიცარია

I ტური

**დელემონი 1:3 სერვეტი**

0:1 პეტროვი (14), 1:1 ნაჰიმანა (29), 1:2, 1:3 პეტროვი (46, 62)

**გრასჰოპერი 1:1 ლოზანა**

0:1 შაჰგელდიანი (53), 1:1 კაბანასი (89)

**ლუგანო 1:1 ბაზელი**

1:0 კროიცერი (12), 1:1 მანინი (89)

**ქსამაქსი 1:1 აარაუ**

1:0 ნდიაე (43), 1:1 ალექსანდროვი (62)

**სტ. გალენი 2:0 ლუცერნი**

1:0 ჟაირო (74პ), 2:0 ამოა (89)

**ივერდონი 1:1 ციურიხი**

0:1 ლიმა (35), 1:1 რენფერი (67)

**ციურიხი:** პასკოლო, ანდრეოლი, ფიშერი, შტოკლასა, ჯანინი, ლიმა, კებე (კასტილიო 46, იოდისე 84), **ჯამარაული** (შასო 74), კვენტინი, ბარტლეტი, ფრიკი

ოთხშაბათს შვეიცარიის მორიგი ჩემპიონატი დაიწყო. წლეულს ქართველი ქომაგების ყურადღების ცენტრში „ციურიხი“ იქნება. გოჩა ჯამარაულის გუნდმა ამ სეზონში დიდი მიზანი დაისახა. „ციურიხის“ მთავარმა მწვრთნელმა რაიმონდ პონტემ ცოტა ხნის წინ განაცხადა, ჩემპიონობა რეალურად შეგვიძლია და ვიბრძოლებთ კიდეცო. ამისათვის კლუბმა სეზონთაშორისი შესვენების დროს რვა ახალი ფეხბურთელი შეიძინა.

დებიუტანტ „ივერდონთან“ გასვლით მატჩში „ციურიხის“ ფორმა ერთბაშად ექვსმა ახალმა მოთამაშემ მოირგო — პასკოლომ, ანდრეოლიმ, შტოკლასამ, ჯანინიმ, კებემ და ფრიკმა. ალბათ, ამის ბრალიც იყო ის უამრავი ხარვეზი, რომელიც ოთხშაბათს „ციურიხის“ თამაშში შეიმჩნეოდა.

მასპინძლებმა მთელი მატჩი დიდი მონდომებით ჩაატარეს და პირველი ქულაც მოიპოვეს. „ივერდონის“ თავდადება არც პონტეს გამორჩენია: „მეტოქემ დღევანდელ თამაშში მთელი სული და გული ჩააქსოვა, თანაც თავის შესაძლებლობებშიც დარწმუნებული იყო. ვფიქრობ, „ივერდონი“ ქულას იმსახურებდა“.

პირველ ტაიმში მასპინძლებს ნერვიულობა ეტყობოდათ, „ციურიხმაც“ ისარგებლა ამით და 1:0 მოიგო. გოლი ფრანჩესკო ლიმამ გაიტანა, რომელიც დღე-დღეზე იტალიის სერია A-ში აღზევებულ „ლეჩეში“ გადადის. ამ ბურთამდე ფრიკსა და ბარტლეტსაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა. მეორე ნახევარში „ივერდონმა“ მნიშვნელოვნად გამოასწორა თამაში: 61-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა რენფერიმ სულ მალე გაუმართლა მწვრთნელს ბედობა, როდესაც ახლოდან ზუსტი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. 74-ე წუთზე პონტემ შეტევა გააძლიერა — ჯამარაულის ნაცვლად შასო ჩართო თამაშში, მაგრამ „ციურიხს“ ამ ცვლილებამ ვერ უშველა და ბოლოს ფრეს დასჯერდა.

საკუთარ მინდორზე ვერ მოიგო „ციურიხის“ თანაქალაქელმა „გრასჰოპერმა“. ყაველაშვილის გარეშე დარჩენილმა „კალიებმა“, მოგებას ვინ ჩივის, ბოლო წუთებზეღა მოახერხეს „ლოზანასთან“ მატჩის ხსნა. არადა, თავიდან მასპინძლებმა ისე დაიწყეს, ბევრს თასის ფინალი გაახსენდა. ივნისში შვეიცარიის თასის გადამწყვეტ მატჩში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ „ლოზანამ“ 2:0 იმარჯვა და საპატიო ჯილდოსაც დაეუფლა. ახლა კი ყველას ეგონა, „გრასჰოპერი“ რევანშს აიღებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ციურიხელებმა მატჩის დასაწყისში შექმნეს რამდენიმე მომენტი და შემდეგ ღრმა ძილს მიეცნენ, რომლიდანაც 62-ე წუთზე გამოფხიზლდნენ, როცა ტიკვამ ჯარიმიდან ბურთი ძელს გაარტყა. ამ დროს ანგარიში 1:0 იყო სტუმრების სასარგებლოდ. ტიკვას მალე მეორე მომენტიც მიეცა, მაგრამ თავით ოდნავ ააცილა ბურთი მიზანს. წონასწორობა 89-ე წუთზე აღსდგა. კაბანასმა სერმეტერის დარტყმულს ზუსტად დაამატა — 1:1.

ამავე ანგარიშით კიდევ ორი შეხვედრა დასრულდა. ლუგანოელმა მანინიმ კაბანასის მსგავსად ბოლო წუთებზე გადაარჩინა თავისიანები მარცხს, ხოლო არაუელმა ალექსანდროვმა 64-ე წუთზე გაუთანაბრა მასპინძელ „ქსამაქსს“.

ღირსეულად დაიწყო გასული სეზონის ჩემპიონმა „სერვეტმა“, რომელიც სტუმრად მეორე დებიუტანტ „დელემონს“ ხვდებოდა. „სერვეტის“ გამარჯვებაში ლომის წილი პეტროვმა შეიტანა, რომელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| სენტ გალენი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ციურიხი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლოზანა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბაზელი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აარაუ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| გრასჰოპერი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლუგანო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ქსამაქსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ივერდონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| დელემონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ლუცერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## ნორვეგია

ვალერენგა — ტრომსო 1:3; ლილესტრიომი — კონგსვინგერი 6:2; სტაბეკი — სტრომსგოდსეტი 2:1; ვიკინგი — მოლდე 4:1; რუსენბორგი — ბრანი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 14 | 10 | 2 | 2 | 39:12 | 32 |
| სტაბეკი | 14 | 9 | 2 | 3 | 33:18 | 29 |
| მოლდე | 14 | 9 | 2 | 3 | 23:13 | 29 |
| ბრანი | 13 | 9 | 0 | 4 | 25:21 | 27 |
| ლილესტრიომი | 13 | 8 | 2 | 3 | 32:21 | 26 |
| ტრომსო | 14 | 7 | 2 | .5 | 36:24 | 23 |
| ვიკინგი | 14 | 6 | 1 | 7 | 24:20 | 19 |
| გრელანდი | 14 | 5 | 2 | 7 | 16:29 | 17 |
| ბოდო გლიმტი | 14 | 4 | 3 | 7 | 25:32 | 15 |
| ვალერენგა | 13 | 4 | 2 | 7 | 17:23 | 14 |
| სტრომსგოდ. | 14 | 4 | 1 | 9 | 22:34 | 13 |
| სკეიდი | 14 | 4 | 1 | 9 | 15:33 | 13 |
| მოსი | 14 | 4 | 0 | 10 | 20:32 | 12 |
| კონგსვინგერი | 13 | 3 | 0 | 10 | 18:33 | 9 |

# ფიქრობს იუჰანსონი

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა განაცხადა, რომ ევროპის წარმომადგენელმა კლუბმა შესაძლოა არ ითამაშოს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში, თუ ტურნირი ნელინადზე მეტხანს გაგრძელდება.

იუჰანსონმა ასევე თქვა, მართალია, ევროპული გუნდები პირველ საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებენ, მაგრამ შემდგომში ამის გარანტიას უეფა ვერ გასცემს. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი იანვარში გაიმართება ბრაზილიაში.

უეფას პრეზიდენტის თქმით, სანამ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია თავის კლუბებს მსოფლიოს საკლუბო პირველობაზე მონაწილეობას აუკრძალავს, მანამდე გუნდებს მოუსმენს, ისევე, როგორც ეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემთხვევაში გააკეთა. „თავდაპირველად ჩვენი კლუბების ინტერესებს გავითვალისწინებთ. ამჯერად ბრაზილიაში ევროპული გუნდები ითამაშებენ, რადგან, რაც უნდა იყოს, პირველი ტურნირია და გვერდზე გადგომა არ ივარგებს. თუმცა მერე რა იქნება, ვერ გეტყვით. პირველ ყოვლისა, ევროპულმა კლუბებმა თავიანთი კონტინენტის გათამაშებას უნდა სცენ პატივი და მერე ყველა სხვას“.

ლენარტ იუჰანსონმა, რომელიც დღეს-დღეობით ლოს ანჯელესშია და ფიფას რამდენიმედღიან შეხვედრებში მონაწილეობს, ასევე უარყო ხმები, თითქოსდა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მიუნხენის „ბაიერნის“ უთამაშებლობის სანაცვლოდ უეფამ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესაძლო მასპინძლის არჩევნებში ინგლისის მაგივრად გერმანიას დაუჭირა მხარი. პრეზიდენტის თქმით, ორივე ქვეყანას ტურნირის მასპინძლობის ერთნაირი შანსი აქვთ.

პრეზიდენტისავე თქმით, იგი ძალიან უარყოფითად შეხვდა მანჩესტერელთა გადაწყვეტილებას, რომელთაც ინგლისის ასოციაციის თასზე თამაშს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობა ამჯობინა. „ვშიშობთ, სხვა კლუბების შემთხვევაშიც იგივე არ განმეორდეს. „მანჩესტერ იუნაიტედი“ შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ გადატვირთულია საფეხბურთო კალენდარი გუნდებისთვის“.

— ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებისთვის მებრძოლმა ამა თუ იმ ქვეყანამ ფიფას თვალში ქულები დაიწეროს საკლუბო ჩემპიონატში წარმომადგენლის მონაწილეობით — განაცხადა იუჰანსონმა.

უეფას პრეზიდენტმა ასევე თქვა, რომ მისი ორგანიზაცია მხარს უჭერს ფიფას იდეას, რომ ევროპამ მსოფლიოს ჩემპიონატში ერთი ადგილი სანახევროდ დაუთმოს აზიას. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს პირველობის ევროპის ზონის შესარჩევ ტურნირში საუკეთესოთაგან ბოლო ადგილზე გასულს აზიის ზონის ერთ გუნდთან მოუწევს პაექრობა.

# ლუბოსლავ პენევი: მორჩა, პრეზიდენტობა მინდა!

ფეხბურთელთა უმეტესობა კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას ამჯობინებს. ახლო წარსულში ბულგარეთის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ლუბოსლავ პენევი კი ამას არ ყაბულდება და თავისი ყოფილი კლუბის, სოფიის ცსკა-ს პრეზიდენტობას აპირებს.

პრაქტიკულად ყველაფერი მოგვარებულია. 23 ივლისიდან პენევი ცსკა-ს პრეზიდენტის თანამდებობაზე ილია პავლოვს შეცვლის. აღსანიშნავია, რომ პავლოვი ბულგარეთის ერთ-ერთი უმსხვილესი კორპორაციის მფლობელია, რომელიც სოფიური კლუბის მთავარი სპონსორია. სწორედ სპონსორთა და ბულგარეთის თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოახერხა პენევმა დასახული მიზნის მიღწევა. თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, რომელიც კომუნისტების დროიდან მოყოლებული ცსკა-ს ერთ-ერთი მფლობელია, ლუბოსლავის პრეზიდენტობა უეჭველად გაზრდის გუნდის პოპულარობას არა მარტო ბულგარეთში, არამედ ევროპაშიც.

ლუბოსლავ პენევის საფეხბურთო მოღვაწეობა ძირითადად ესპანეთს უკავშირდება. გასულ შემოდგომაზე ის 2,3 მილიონ დოლარად ვიგოს „სელტას“ შეუერთდა, რაც ბულგარელისთვის მეოთხე ესპანური კლუბი იყო. მანამდე კი ის მადრიდის „ატლეტიკოში“, „ვალენსიასა“ და „კომპოსტელაში“ თამაშობდა.

ლუბოსლავ პენევის სანაკრებო კარიერა საკმაოდ უჩვეულოა. ის რამდენჯერმე გააგდეს ეროვნული გუნდიდან, თუმცა იმდენჯერვე უკან დააბრუნეს.

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პენევი ავადმყოფობის გამო ვერ მოხვდა, არადა, ბულგარელებს მისი ბიძა, დიმიტარ პენევი წვრთნიდა. „ეს ჩემს კარიერაში ყველაზე ავადმოსაგონარი რამაა“ — აღნიშნა მოგვიანებით ფეხბურთელმა. ეს არცაა გასაკვირი, 1994 წელს ხომ ბულგარელებმა მათთვის სარეკორდო მეოთხე ადგილი დაიკავეს.

ამის შემდეგ ეროვნულ გუნდში დაბრუნებული პენევი 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დამთავრებისთანავე ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ კვლავ დაითხოვა, რადგან მან მასმედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ნაკრების მესვეურები გააკრიტიკა.

ლუბოსლავმა ბულგარეთის უპირველესი გუნდის შემადგენლობაში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც და ფინალურ ეტაპზეც იასპარეზა.

საბოლოოდ ლუბოსლავმა სანაკრებო კარიერა შარშან ოქტომბერს დაასრულა და ადგილი ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაუთმო.



ლუბოსლავ პენევი

ბულგარეთის ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში 32 წლის პენევმა თქვა: „დასრულდა ჩემი ცხოვრების ერთი ეტაპი, რომელსაც ფეხბურთელობა ერქვა. ახლა მსურს, დავუბრუნდე ცსკა-ს, კლუბს, სადაც პროფესიონალად ჩამოვყალიბდი“.

აღსანიშნავია, რომ სოფიის ცსკა ბულგარეთის ყველაზე ტიტულიანი კლუბია — იგი 28-ჯერ ყოფილა ქვეყნის ჩემპიონი. გუნდის პოპულარობას ისიც განაპირობებს, რომ მისი ღირსება ბულგარეთის ყველა დროის უძლიერეს ფეხბურთელს, ხრისტო სტოიჩკოვს დაუცავს.

**კოკა ჭკადუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



არგენტინა — ურუგვაი 2:0. გონსალესმა (№21) ანგარიში გახსნა

# აი, მეოთხედფინალი!

39a. Copa América Paraguay '99

### C ჯგუფი

**არგენტინა 2:0 ურუგვაი**

1:0 გონსალესი (1), 2:0 პალერმო (56)
არგენტინა: ბურგოსი, ვივასი, აიალა, სამუელი, სორინი, სიმეონე, კანია (უსაინი 85), რიკელმე, გონსალესი, ბაროს შელოტო (პოჩეტინიო 76), პალერმო (ლოპესი 78)
ურუგვაი: კარინო, დელ კამპო, ლემბო, პიკუნი, ბერგარა (რომერო 58), ვესპა, ფლეურკინი (პაჩეკო 46), კოელიო, მაგალიანესი, ალვესი (გიგოუ 46), სალაიეტა
გაფრთხილება: პალერმო (35), სორინი (36), კოელიო (37)
გაძევება: ვივასი (74)
მსაჯი: ხილბერტო იდალგო (პერუ)

ამ შეხვედრამდე ამავე მოედანზე კოლუმბიამ ეკვადორი დაამარცხა 2:1, ასეთმა შედეგმა კი არგენტინაც და ურუგვაიც მეოთხედფინალში გაიყვანა. მერე ერთმანეთს არგენტინელები და ურუგვაელებიც დაუპირისპირდნენ და ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს.

დღესდღეობით სიტუაცია ასეთია — ჯგუფის გამარჯვებული კოლუმბია 11 ივლისს ლუკეში ჩილეს შეხვდება. მეორე ადგილზე გასული არგენტინა „კოპა ამერიკის" უპირველეს ფავორიტ ბრაზილიას, ხოლო მესამე ადგილზე გასული ურუგვაი მასპინძელ პარაგვაის ასუნსიონში დამარცხებას შეეცდება.

C ჯგუფში კოლუმბიელთა მიერ არგენტინელების განადგურებამ „კოპა ამერიკას" დიდი ინტრიგა შემატა — ხუმრობა ხომ არაა? არგენტინა და ბრაზილია, კონტინენტის ორი უძლიერესი ნაკრები ერთმანეთს მეოთხედფინალში ხვდება. ეს შეხვედრა ბევრ რამეს გაარკვევს.

უცნაური კაცია მარტინ პალერმო, არგენტინელთა უპირველესი თავდამსხმელი და კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელი — წინა შეხვედრაში კოლუმბიელებთან მატჩში სამი პენალტი ვერ გაიტანა და ისტორიაში შევიდა, ახლა კი გოლი თამაშიდან შეაგდო და ტურნირის თანაბომბარდირი შეიქნა. პალერმოს დარად სამ-სამი გოლი აქვთ გატანილი ბრაზილიელ რონალდოს და ამოროზოს, ასევე პარაგვაელ როკე სანტა კრუსს.

კრისტიან გონსალესმა ურუგვაელთა იმედები უკვე პირველსავე წუთზე დაასამარა — მარცხენა ფეხით ბურთი ზუსტად მეკარისგან დაუცველ კარის კუთხეში გაგზავნა. დასაწყისშივე ჩამორჩენამ ურუგვაელებზე ცუდად იმოქმედა და მათ შეხვედრის გადარჩენა ველარ შეძლეს, ეგ კი არა, მეორე გოლიც გაუშვეს.

„კოპა ამერიკას" თოთხმეტ-თოთხმეტგზის გამარჯვებულთა დაპირისპირება არგენტინელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მოსალოდნელი შედეგითაც დასრულდა.

— არ მჯერა, რომ კოლუმბიელებთან სამი პენალტი ვერ გავიტანე. არ ვიცი, რა დამემართა. ვერ წარმომიდგენია, რა მოხდა. ახლა ვაცნობიერებ, რომ რაც დამემართა, საშინელებაა. ყველაფრის მიუხედავად, ამ შეხვედრაში გატანილმა გოლმა ძალა დამიბრუნა. ახლა ბრაზილიელებს ვხვდებით. ვეცდები, მათთან დავამტკიცო, რომ ძლიერი მოთამაშე და კარგი თავდამსხმელი ვარ — თქვა პალერმომ, რომელმაც გატანილი ბურთი არაადამიანური ღმუილითა და გახეთქილი წარბით აღნიშნა.

ბრაზ...ლია — არგენტინა მართლაც საინტერესო შეხვედრაა და, ალბათ, ეს მატჩი გათამაშების მშვენებადაც იქცევა.

**კოლუმბია 2:1 ეკვადორი**

1:0 მორანტესი (36), 2:0 რიკარდი (39), 2:1 გრასიანი (49)
კოლუმბია: იგიტა, გონსალესი, პორტოკარერო, იეპესი, კორტესი, ვივეროსი, რამირესი, გრისალესი, მორანტესი (ბონილია 67), სამბრანო (მონტანიო 58), რიკარდი (კონგო 62)
ეკვადორი: სევალოსი, დე ლა კრუსი, ანანგონო, ურტადო, მონტანიო, ბლანდონი, კარაბალი (აიოვი 46), აგინაგა (სანჩესი 69), კორონელი, გრასიანი, კავიედესი (ასენსიო 85)
გაფრთხილება: ანანგონო (54)
მსაჯი: მასაიოში ოკადა (იაპონია)

ახლა კი ველარ გაიტანა გოლი ეკვადორელთა ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელმა ივან კავიედესმა — თუ იტალიური „პერუჯას" ფორვარდს პირველ ორ შეხვედრაში გოლები გაჰქონდა, ამჯერად ხელი მოეცარა.

იცით, ვინ ითამაშა კოლუმბიელთა შემადგენლობაში? ვინ და რენე იგიტამ, ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა კოლუმბიელმა ფეხბურთელმა. ამჯერად მას თავისი ხუშტურები არ გამოუვლენია, თუმც გოლი მაინც გაუშვა. სხვათა შორის, იგიტასთვის ეს პირველი „კოპა ამერიკაა" 1995 წლის შემდეგ.

— რაც მთავარია, მოვიგეთ. შესანიშნავად ვთამაშობთ და, იმედია, ასეც გავაგრძელებთ. კოლუმბია ძლიერი გუნდია და შესწევს ძალა ტურნირი მოიგოს — განაცხადა კოლუმბიელთა მწვრთნელმა, ხავიერ ალვარესმა.

მეოთხედფინალში კოლუმბია ჩილეს ხვდება.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| არგენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ეკვადორი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| რონალდო (ბრაზილია) | 3 |
| ამოროზო (ბრაზილია) | 3 |
| მარტინ პალერმო (არგენტინა) | 3 |
| როკე სანტა კრუსი (პარაგვაი) | 3 |

| მეოთხედფინალები | |
|---|---|
| | 10 ივლისი |
| კაბალიერო | მექსიკა — პერუ |
| ასუნსიონი | პარაგვაი — ურუგვაი |
| | 11 ივლისი |
| ლუკე | კოლუმბია — ჩილე |
| ესტე | ბრაზილია — არგენტინა |



კოლუმბია — ეკვადორი 2:1. მოიგო იმან, ვისაც უნდა მოეგო

# როგორ საღდება არგენტინაში სიგარეტი?



მარტინ პალერმო

**ზაფხულში**, თუ ძალიან ცხელა, რაგინდ საინტერესო ამბავი მოხდეს, კაცს ბევრი ლაპარაკი დაეზარება. ერთ-ორ სიტყვას იტყვის და ზანტად მოწრუპავს ცივ ლუდს, რომელიც უარესად მოთენთავს და მიაძინებს.

ზამთარი სხვა საქმეა.

მერე, სად ის, საინტერესო ამბავი შენიანს რომ შეემთხვევა და სად უცხოების თავს, ოკეანის გაღმა და ეკვატორს ქვევით გადახდენილი ისტორია.

არგენტინელ მარტინ პალერმოზე მოგახსენებთ, „კოპა ამერიკაზე", კოლუმბიასთან შეხვედრაში სამი პენალტიდან ერთიც რომ ვერ გაიტანა, მაგრამ, აგერ, ურუგვაის შეუგდო გოლი. ტურნირის სულ პირველ შეხვედრაში პალერმომ ეკვადორსაც გაუტანა ორჯერ და ახლა სამი გოლით ბომბარდირთა თანალიდერია.

საინტერესოა არა? კაცი შეჯიბრებას ორი გოლით იწყებს, მერე ერთ შეხვედრაში სამ თერთმეტმეტრიანს ქარს ატანს, მომდევნოში კი მორიგი გოლის გასატანად პოულობს ძალას. კიდევ უფრო საინტერესოა მომავალში რა მოხდება.

იქ, სადაც „კოპა ამერიკა" ტარდება, ზამთარია, ხალხს არ სცხელა და მთელი ეს ისტორიაც მათია. ამიტომაც ღელავენ.

პალერმომ სამი პენალტი რომ გააფუჭა, ბუენოს აირესი ორად გაიყო. თუმცა, ბუენოს აირესი ორად ყოველთვის იყო გაყოფილი, მაგრამ ახლა ბანაკებს შორის დაპირისპირებამ ახალი ელფერი შეიძინა: „ბოკა ხუნიორსის" გულშემატკივრები თავიანთი ბიჭის დაცვას ლამობდნენ, ვაპატიოთ, ხდება ხოლმეო, „რივერ პლეიტის" მხარდამჭერნი კი თავდამსხმელის გაქრობას და ნაკრებიდან გაძევებას ითხოვდნენ.

„ბოკას" ყოფილმა ვარსკვლავმა, დიეგო მარადონამ საჯაროდ განაცხადა სიკვდილამდე პალერმოს გვერდით მივდგებიო. სხვათაშორის, იმავე შეხვედრაში პენალტი გამარჯვებული გუნდის, კოლუმბიის ნაკრების მოთამაშემ, ამილტონ რიკარდმაც გააფუჭა, მაგრამ თამაშის შედეგიდან გამომდინარე ჟურნალისტებთან საუბრის ხასიათზე იდგა:

„პალერმოს უნდა ენდონ. მერე რა, რომ სამი პენალტი ვერ გაიტანა, კიდევ უნდა დაარტყმევინონ" — თქვა მან.

მაგრამ რიკარდის ნათქვამს ბუენოს აირესის მაცხოვრებელთათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამ დღეებში, არგენტინაში მცხოვრებმა ერთმა ქართველმა კაცმა ბიძაშვილს წერილი მოსწერა. უნდა გენახა, რა ხდებოდაო — იწერებოდა ის — ქალაქის ქუჩებში ხალხმა პალერმოს ფოტოები გამოიტანა და ცეცხლს მისცა, ხოლო სიგარეტი, რომლის სახელწოდებაც უიღბლო თავდამსხმელის გვარს ემთხვევა, რამდენიმე დღის განმავლობაში საერთოდ არ გაყიდულაო.

სააგენტოები იტყობინებიან, რომ არგენტინული ტელევიზიის ყველაზე პოპულარული კომედიური შოუ, „ვიდეომატჩი", მთლიანად მარტინ პალერმოს გაშარჟებაზე ყოფილა აგებული.

„ეკვადორთან თამაშის შემდეგ ყველაფერი ნათელ ფერებში მესახებოდა, მაგრამ საუბედუროდ საუკეთესო ვიყავი და უარესად ვიქეცი. მე გავხდი არავინ. დღეს წერენ, რომ ბომბარდირობას ვაპირებდი, ტურნირის გმირი უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ ყველაფერი დასრულდა. მერწმუნეთ, თავად ასე არ ვფიქრობ. საკუთარ შესაძლებლობებში კვლავაც დარწმუნებული გახლავართ. უარესი დღეებიც გადამიტანია, ცხოვრებას რთულ მდგომარეობაში ჩავუგდივარ, მაგრამ მყოფნია ძალა და გაჭირვება დამიძლევია. ურუგვაის ნაკრებთან შეხვედრაში ბედზე შურს ვიძიებ" — ამბობდა პალერმო ნავსიანი მატჩის მესამე დღეს.

იძია კიდეც შური.

იმ დღეს, მატჩის შემდეგ, პალერმომ ჟურნალისტებთან საუბარს თავი აარიდა. სადღაც, უკანა კარიდან გაძვრა. თვითმხილველებმა თქვეს, რომ თვალები ტირილისგან ჰქონდა ჩაწითლებული.

მეორე დღეს მთელი ნაკრები ჩაიკეტა. ფეხბურთელებს ვერავინ მოჰკრა თვალი.

მესამე დღეს კი...

მერე არგენტინა ურუგვაის შეხვდა. ამ მატჩის დაწყებამდე კოლუმბიამ ეკვადორს 2:1 მოუგო და ნათელი გახდა, რომ არგენტინისა და ურუგვაის შეხვედრა როგორც უნდა დამთავრებულიყო ეს ორი გუნდი მაინც გავიდოდა მეოთხედფინალში. ერთადერთი, რაც არგენტინელებს შეეძლოთ, თამაშის ფრედ დამთავრება და ამით, მეოთხედფინალში, ბრაზილიასთან შეხვედრის თავიდან აცილება გახლდათ. მაგრამ მარტინ პალერმოს და მის მეგობრებს ამაზე არც უფიქრიათ. მათ ალალი, ძლიერთა საკადრისი გზა აირჩიეს.

და არ აქვს მნიშვნელობა მავანთა ჭორაობას, რომ პალერმო ნაკრებში მხოლოდ გაბრიელ ბატისტუტას და ერნან კრესპოს არყოფნის გამო მოხვდა.

მნიშვნელობა 35 თამაშში გატანილ იმ 32 გოლს აქვს, ფორვარდმა „ბოკა ხუნიორსის" შემადგენლობაში აპერტურასა და კლაუსურას ჩემპიონატებში რომ გაიტანა.

ოთხშაბათს ურუგვაელებმა მარტინ პალერმოს სახეში იდაყვი მიარტყეს. იგი შესაცვლელი შეიქნა, მაგრამ არგენტინის ნაკრების მწვრთნელი მარსელო ბიელსა ამბობს, რომ ყველაფრის მიუხედავად თავდამსხმელი, კვირას, ბრაზილიის წინააღმდეგ ითამაშებს.

რაც მთავარია მას პენალტის დარტყმის მაინც არ ეშინია.

**პაპუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაცვა გვერდით მდგომის შეცდომის ლოდინია

*ენერგიული, უშეღავათო, მებრძოლი კაცია ლონდონის „არსენალის“ მცველი მარტინ კიოუნი. მისი თამაშის შემყურე იფიქრებ ეს გლადიატორი ხეირიანად, ალბათ, ვერც მეტყველებსო, მაგრამ აი, დამშვიდებულ-დავარცხნილი კიოუნი ჟურნალისტის პირისპირ ჩამოჯდა და...*



მარტინ კიოუნი (მარცხნივ) ყოველთვის ბრძოლაშია

**— „არსენალი“ ძლიერი დაცვით გამოირჩევა, მაგრამ თავდასხმაში თამაში და ფორვარდებისთვის განკუთვნილი დიდება სულ სხვა რამ არის. წარმოგიდგენიათ თავდამსხმელი რომ ყოფილიყავით?**

— როდესაც ფეხბურთის თამაშს იწყებ, ბევრი გოლის გატანა გსურს. ეს ჩვეულებრივი ამბავია და ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. მერე გადის დრო და გოლების გატანა კი არა, თამაშის მოგება გინდება. ამიტომაც იცვლი პოზიციას და ასრულებ იმ საქმეს, რაც შენთვის ყველაზე მოხერხებულია. მიდიხარ იქ, სადაც საკუთარ თავს მაქსიმალურად გამოხატავ. კარგა ხნის განმავლობაში ნახევარმცველი გახლდით, რადგან შემეძლო მთელს მოედანზე, მის ნებისმიერ წერტილში ვყოფილიყავი. შემდეგ, როდესაც ლიგაში სულ უფრო და უფრო მაღლა მივიწევდი, დაცვისკენ დავიხიე, რადგან ჩემი თამაში მოხერხებული სწორედ იქ გახდა. ისე, დღესაც შემიძლია ჩემს ყოფილ გუნდებში, „სვინდონსა“ და „ოქსფორდში“ ცენტრფორვარდად ვითამაშო, მაგრამ, აკი გეუბნებით, იმ კლუბებში სადაც ყველაფერი მოწესრიგებულია, მცველი უნდა ვიყო. სწორედ ამიტომ მთხოვდნენ მათთან ყოფნას „არსენალი“, „ასტონ ვილა“ და კიდევ რამდენიმე. მოკლედ, საქმე ასარჩევად მქონდა და მე „არსენალზე“ შევჩერდი, ვინაიდან ვიგრძენი, რომ აქ ყველაზე კარგ სკოლას გავივლიდი. საბოლოოდ შემიძლია ვთქვა, რომ შაბათის ფეხბურთში მცველი ვარ, საკვირაო ლიგაში კი ფორვარდი ვიყავი. ერთი შეხედვით, უცნაურია, მაგრამ ასეთი რამ ძალიან ბევრი ფეხბურთელისთვის ნაცნობია.

**— „ევერტონიდან“ ექვსი წლის წინ „ჰაიბერიზე“ დაბრუნდით. გაგიჭირდათ ამ გადაწყვეტილების მიღება?**

— არ გამჭირვებია. დღეს რომ ვაკვირდები, ჩემს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან საუკეთესო სწორედ ეს იყო, თუმცა, ისიც ვიცოდი, რომ დიდძალი სირთულეების წინაშე მომიწევდა დადგომა. მახსოვს, პირველი ექვსი თვის განმავლობაში გამიჭირდა. შესაგუებლად და გონზე მოსასვლელად დრო იყო საჭირო. ცხადი გახლდათ, თითის თითზე გადაჯვარედინება და იმის ფიქრი, რომ ახლა ყველაფერი ჩემს ფერხთ დაეცემოდა, გულუბრყვილობა იქნებოდა. ფანებს ვერ გაეგოთ, რატომ დავბრუნდი. გუნდს ხომ იმ პერიოდში ცენტრალური მცველები მრავლად ჰყავდა. ვერც ერთ შეჯიბრებაში ვერ ვითამაშებდი და შესაბამისი დონის მოთამაშის სახელიც მომეკერა. არადა, ამ ტიპის ფეხბურთელი არასდროს ვყოფილვარ. ბოლო სამი წლის განმავლობაში დავიბრუნე ჩემი მდგომარეობა, არადა ეს იოლი საქმე არ იყო.

**— რა განაპირობებს „არსენალის“ დაცვის ასეთ შეუვალობას?**

— დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ ყველანი სათითაოდ ვართ განსაკუთრებულნი და განსაკუთრებულია ის გარემოებაც, რომ ძალიან დიდი ხანია ერთად ვთამაშობთ. ასეთი რამ ხშირად როდი ხდება. მე რომ კლუბი შუალედში არ დამეტოვებინა, დღეს აქ, სულ მცირე, 17 წელიწადი მექნებოდა გატარებული. ასეა თუ ისე, ჯამში ათი წელიწადი გამოდის, რაც „არსენალში“ ვთამაშობ და ამიტომაც ვამბობ, რომ ფეხბურთელთა ჯგუფს, ამდენი ხნის განმავლობაში ერთად რომ იყოს, სხვაგან, იოლად, ვერ იპოვნით. თითოეულმა ჩვენთაგანმა ზედმიწევნით იცის გვერდზე მდგომის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამრიგად, ამდენი ხნის ნაცნობებისთვის კარგად თამაში მხოლოდ დროის ამბადლა რჩება.

**— მე სხვას გეკითხებით. რას აკეთებთ თქვენ, „არსენალი“ ისეთს, რასაც სხვა გუნდები არ აკეთებენ?**

— დაცვის ხელოვნება გვერდზე მდგომის შეცდომის ლოდინია. ჩვენ ერთმანეთს ვენდობით, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ნებისმიერ წამს მზად ვართ ერთმანეთის დასაზღვევად. ჩვენ თავს მხოლოდ ბოლო ოთხი კაცით არ ვიცავთ. ხშირად ავიწყდებათ, რომ ჩვენთან თავდაცვაში მთელი გუნდი მონაწილეობს. წინ ემანუელ პეტისა და პატრიკ ვიეირას ყოლა ერთიორად გვიადვილებს საქმეს. ისინი მოწინააღმდეგეზე ისეთ ზეწოლას ახდენენ, რომ ჩვენს გარშემო სივრცე მნიშვნელოვნად განმუხტულია.

**— გასაგებია, მაგრამ განა ეს შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს?**

— ბუნებრივია, ადრე თუ გვიან ვილაც ბუცებს ჩამოკიდებს და იგი შეიძლება აღმოჩნდეს კაცი, ვის წასვლასაც ყველაზე ნაკლებად ელი. ხომ ნახეთ, 37 წლის სტივ ბოულდი „სანდერლენდში“ წავიდა, რათა ისევ უმაღლეს დონეზე ითამაშოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთისთვის თავის დანებებასთან ასაკი ყოველთვის არ არის კავშირში. ფეხბურთი ხომ ძალიან უცნაური რამ არის და კაცმა არ იცის, როდის რა მოულოდნელობას შემოგვთავაზებს.

**— ღიზიანდებით იმ ხალხზე, ვინც ასაკის გამო ჩამოწერილად გთვლით?**

— წელიწადი ისე არ გავა, რომ ვილაცამ არ თქვას, ამ ბიჭებისთვის ერთად ყოფნის ბოლო წელიწადი დადგაო. ეს კარგი ოთხი-ხუთი სეზონი გრძელდება. იცით, მას მერე, რაც 30 წლისა გავხდი, მიუხედავად იმისა, რომ სხვები 34-35 წლისანი იყვნენ, ყველაზე ასაკოვნად მე მიმიჩნევდნენ. არადა, მხოლოდ 32 წლის ვარ და თავი ახალგაზრდა მეთოფედ მიმაჩნია. ბუნებრივია, როდესაც შენს ირგვლივ უფროსები თამაშობენ, გრძნობ, რომ ახალგაზრდა ხარ. მე და ტონი ადამსი სხვებზე სამი წლით უმცროსები ვართ და თუ მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ ბურთაობა, ჩვენ რაღამ უნდა შეგვიშალოს ხელი? კიდევ გვსურს ჯილდოების მოგება და თავის გამოჩენა. წარმატებები გვწყურია და ვგრძნობ, რომ მათ ვიმსახურებთ.

**— ძნელად შეეგუეთ იმ ფაქტს, რომ თასიცა და ჩემპიონის ტიტულიც „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაატანეთ?**

— მართალი გითხრათ, არ დაგვიწყია თავის წვალება და იმაზე ფიქრი, რა მოხდებოდა ჯილდოები ჩვენ რომ მოგვეგო. საქმე ისედაც თავსაყრელად გვაქვს და წინ ვიყურებით. კაცი თავს კარგად თუ გრძნობ გუნდურ სულისკვეთებას ვერაფერს ავნებ. ბოლოს და ბოლოს ეს ფეხბურთი მხოლოდ და მხოლოდ თამაშია, მეტი არაფერი.

**365-დან თარგმნა**
**პაპუნა ბედიამ**

# ანელკა ცასა და მიწას შორის



ნიკოლა ანელკა

ნიკოლა ანელკას საგა გრძელდება. „არსენალიდან“ წასვლას დაშურებული 20 წლის ფრანგი ფორვარდის ისტორიამ ახალი განვითარება ჰპოვა — ის ლონდონური კლუბის წინააღმდეგ ევროსასამართლოში აპირებს ჩივილს. კაცი, რომელიც მეთოფეებმა 1996 წელს „პარი სენ ჟერმენის“ სერეზერვო გუნდისგან 500 ათას გირვანქად იყიდეს, ახლა აცხადებს, რომ ჩრდილო ლონდონელები ევროკავშირში გადაადგილების თავისუფლებას უსპობენ.

გასულ წელს ანელკამ „არსენალთან“ ახალი, მდიდრული, ოთხწლიანი კონტრაქტიც გააფორმა, მაგრამ დღეს ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ახლა, ფეხბურთელი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციასაც დახმარებას სთხოვს, რათა „ჰაიბერის“ კონტრაქტს თავი დააღწიოს და იტალიურ „ლაციოში“ გადავიდეს.

ანელკას მსჯელობაში იგნორირებულია ერთი გარემოება: ფეხბურთელების კონტრაქტებში, როგორც წესი, არ არის მოთხოვნილი კარიერის სხვაგან გაგრძელების სურვილის შემთხვევაში საკუთარი დამქირავებლის ერთი თვით ადრე გაფრთხილება. ამრიგად, გამოდის, რომ მათი გრძელვადიანი ხელშეკრულებები „ჩვეულებრივ“ ადამიანთა ხელშეკრულებებთან შედარებით, პრივილეგირებულია. თუ ანელკას დანარჩენ მოქალაქეთა მსგავსი თავისუფლება სურს, მაშინ მათნაირი კონტრაქტიც უნდა მოითხოვოს და ხელი მოაწეროს პუნქტს, რომლის თანახმადაც კლუბსაც შეეძლება გაშვების წინ ერთი თვით ადრე შეატყობინოს ამ განზრახვის შესახებ.

ანელკა ამბობს, რომ მეთოფეები უსინდისოდ ექცევიან, რადგან მის რომში გადასვლას დაბრკოლებებს უქმნიან. მისი ძმა დიდიე აცხადებს: „ლონდონელები მხოლოდ ფასის მომატებით არიან დაინტერესებული. აქ ნიკოლა არაფერ შუაშია, მაგრამ განა ადამიანივით არ უნდა მოექცნენ? მას შეუძლია ითამაშოს საფრანგეთში ან ესპანეთშიც, მაგრამ საუკეთესო ვარიანტად „ლაციო“ მიგვაჩნია“.

ბუნებრივია, ფრანგ ფეხბურთელს საქმე ასარჩევად აქვს და შესაბამისად ხვალ შეიძლება აზრი იცვალოს. ახლახანს არ იყო, რომ იფიცებდა ერთადერთი კლუბი, სადაც გადავალ მადრიდის „რეალიაო“, ახლა კი „ლაციოსთან“ კონტრაქტი აქვს ამოჩემებული. იქამდეც მივიდა, რომ პირადად გაუგზავნა ფაქსები კიდევ ორ დაინტერესებულ კლუბს, „იუვენტუსსა“ და „პარმას“, რათა განეცხადებინა თქვენთან გადმოსვლა არ მინდაო.

თვით მოთმინებით ცნობილმა არსენ ვენგერმაც კი ჩაიქნია ხელი ბიჭზე, რომელიც უბრალო მოთამაშისგან სუპერვარსკვლავად აქცია, მაგრამ „არსენალის“ ბოსი ტრანსფერის დაჩქარებას მაინც არ ცდილობს. როგორც ჩანს იგი კმაყოფილია თავდამსხმელის მიუსაფრობით და გრძნობს, რომ დროთა განმავლობაში ანელკას მდგომარეობა მეტად და მეტად გაუარესდება.

ბევრი გულშემატკივარიც მიესალმება „არსენალის“ მომავალ გამარჯვებას მოთამაშეზე. ქომაგები ხომ ფულს იხდიან და ხვდებიან, რომ დროა თავგასულმა ფეხბურთელებმა იგრძნონ თავისი წილი პასუხისმგებლობა მათი დამქირავებელი კლუბების წინაშე.

**ჰოვარდ ჯონსონი,**
**ინგლისელი ჟურნალისტი**

## დიდი დაპირისპირება

იტალიური გაზეთების ცნობით, ტურინის „იუვენტუსმა“ სერიოზულად მოიწადინა ლონდონის „არსენალიდან“ ფრანგი თავდამსხმელის, ნიკოლა ანელკას შეძენა.

აპენინური პრესის თქმით, ტურინელებმა „არსენალს“ 32-დან 53 მილიონ დოლარამდე შესთავაზეს ანელკას სანაცვლოდ, პლუს ფრანგი თავდამსხმელი ტიერი ანრი.

„გაძეტა დელო სპორტი“ აცხადებს, რომ „იუვენტუსსა“ და „ლაციოს“ შორის ანელკას თაობაზე დიდი დაპირისპირებაა. იგივე გაზეთი იტყობინება, რომის კლუბი „არსენალს“ ანელკას სანაცვლოდ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის გარდა ხორვატ ფეხბურთელ ალენ ბოკშიჩს აძლევსო.

## ფეხბურთის რუკასთან



იტალიური სერია B-ს ბინადარ „ნაპოლის“ მფლობელმა კორადო ფერლაინომ განაცხადა, რომ გაისად ნეაპოლიტანური კლუბის თამაშებზე დასასწრები ბილეთების ფასი საგრძნობლად დაეცემა. „მართალია, ამ ნაბიჯით სავარაუდოდ 10 მილიარდ ლირას (5,28 მილიონი დოლარი) დავკარგავთ, მაგრამ მთავარი გუნდის პოპულარობაა და ჩვენ სწორედ ამას შევუწყობთ ხელს“ — თქვა ფერლაინომ. მისი აზრით, ბილეთებზე ფასის დაკლება „ნაპოლის“ მატჩებზე გულშემატკივართა რაოდენობის ზრდას გამოიწვევს. ეს კი კლუბის სერია A-ში დაბრუნების საუკეთესო საშუალებაა.

**ფრანგული „მონაკოს“ მცველი კაბა დიავარა სერია A-ში წლეულს აღზევებულ „ტორინოში“ გადავიდა. წარმოშობით სენეგალელმა ფეხბურთელმა ახალ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.**

მაროკოს ეროვნული ნაკრებისა და ესპანური „დეპორტივოს“ მოთამაშე მუსტაფა ჰაჯი შესაძლოა ინგლისურ „ქოვენთრიში“ გადავიდეს. ეს ინფორმაცია აფრიკის 1998 წლის საუკეთესო ფეხბურთელის აგენტმა, ლუჩიანო რიბეირომ გაავრცელა. „მე შევხვდი ინგლისურ მხარეს, გავესაუბრე და კონკრეტულ გადაწყვეტილებამდეც მივედით. სავარაუდოა, რომ მუსტაფა „ქოვენთრისთან“ ხელშეკრულებას უახლოეს მომავალში მოაწერს ხელს“ — განაცხადა რიბეირომ. ესპანური გაზეთების ცნობით კი „ქოვენთრი“ მაროკოელის გარდა ხორვატი დავორ შუკერითაა დაინტერესებული, რომელსაც „რეალთან“ კონტრაქტის ვადა გაუვიდა და ახლა დროებით უმუშევარია.

**ბულგარეთის დედაქალაქის კლუბის „ლევსკის“ ფეხბურთელებმა ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადეს. ამ საქციელით მათ პროტესტი გამოუცხადეს ბულგარეთის საფეხბურთო პრეზიდენტ ივან სლავკოვს, რომელმაც „ლევსკის“ მოთამაშეებს „ხეიბარი ცხენები“ უწოდა.**

გერმანული ლევერკუზენის „ბაიერის“ მთავარი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი კლუბის ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხშიშველი გამოცხადდა. „მინდა, მოთამაშეებმა თავი თავისუფლად იგრძნონ და არავითარმა კომპლექსმა არ შეაწუხოთ. ამის მაგალითი კი მათ თავად უნდა მივცე“ — ასე ახსნა თავისი საქციელი ქართველ გულშემატკივართათვის კარგად ცნობილმა დაუმმა.

**ბელგიის ეროვნული ნაკრების ლეგენდარულმა მეკარემ, მიშელ პრიუდომმა განაცხადა, რომ თავისი საფეხბურთო კარიერა დაამთავრა. 40 წლის პრიუდომი ლისაბონის „ბენფიკას“ ერთ-ერთ დირექტორად დაინიშნა. 10 აგვისტოს კი გაიმართება ამხანაგური შეხვედრა „ბენფიკას“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის, სადაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო გოლკიპერი მიშელ პრიუდომი ბოლოჯერ ითამაშებს მწვანე მინდორზე, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი.**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი

☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### ინტერტოტო. მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.07 | ნიური (ჩრდ. ირლანდია) — დუისბურგი (გერმანია) | (15,0 - —) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | როსტსელმაში (რუსეთი) — ცემენტარნიცა (მაკედონია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | ვარტექსი (ხორვატია) — ბრანი (ნორვეგია) | (4,0-1,15) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ლუსტენაუ (ავსტრია) — რუდარი (სლოვენია) | (1,1-5,0) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | პოლონია (პოლონეთი) — კოპენჰაგენი (დანია) | (— - 15,0) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | მონპელიე (საფრანგეთი) — ყარაბაღი (აზერბაიჯანი) | (— - 25,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | სტ. ტრუიდენი (ბელგია) — არარატი (სომხეთი) | (— - 25,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | ვაშაში (უნგრეთი) — ქსამაქსი (შვეიცარია) | (1,05-7,5) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ფლორიანა (მალტა) — იოკერიტი (ფინეთი) | (2,5-1,35) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | იედინსტვო (ბოსნია) — ჩაჰლაული (რუმინეთი) | (2,3-1,4) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 11.07 | პობედა (მაკედონია) — პერუჯა (იტალია) | (5,0-1,1) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | ბობი (ჩეხეთი) — ბაზელი (შვეიცარია) | (1,5-2,0) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | აკრანესი (ისლანდია) — ლოკერენი (ბელგია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | მეცი (საფრანგეთი) — ჟილინა (სლოვაკეთი) | (1,25-3,1) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | გომელი (ბელარუსი) — ჰამარბი (შვედეთი) | (25,0 - —) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ქოჯაელი (თურქეთი) — ვენტსპილსი (ლატვია) | (1,1-5,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.07 | აარაუ — ივერდონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ლოზანა — სტ. გალენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ლუცერნი — დელემონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | სერვეტი — ლუგანო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 11.07 | ციურიხი — გრასჰოპერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### რუსეთის ჩემპიონატი. გადადებული მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.07 | ზენიტი — ცსკა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| | სპარტაკი — როტორი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### შვედეთის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.07 | ჰალმსტადი — ჰელსინგბორგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | მალმიო — დიურგარდენი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### ნორვეგიის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.07 | მოლდე — კონგსვინგერი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | რუსენბორგი — ლილესტრიომი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | სტაბეკი — ოდ გრენლანდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | სტრომგოდსეტი — ბოდო გლიმტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | ვიკინგი — მოსი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ვალერენგა — სკეიდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### გერმანიის ლიგის თასი (ნეიტრალურზე)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.07 | ლევერკუზენი — კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 11.07 | ჰერტა — დორტმუნდი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### კოპა ამერიკა. მეოთხედფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.07 | პერუ — მექსიკა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | პარაგვაი — ურუგვაი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 11.07 | კოლუმბია — ჩილე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ბრაზილია — არგენტინა | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.07 | აშშ — ჩინეთი | 1,5 | 3,5 | 5,6 |
| | მატჩი მესამე ადგილისთვის | | | |
| | ნორვეგია — ბრაზილია | 1,6 | 3,3 | 4,7 |

### ფორმულა 1. VIII ეტაპი. დიდი ბრიტანეთი. სილვერსტოუნი

| პილოტები | პოული | I ადგ. | I-III | I-VI |
|---|---|---|---|---|
| ჰაკინენი (ფინეთი, მაკლარენი) | 1,7 | 1,8 | 1,3 | 1,15 |
| მ. შუმახერი (გერმანია, ფერარი) | 2,0 | 2,0 | 1,4 | 1,2 |
| ირვინი (ირლანდია, ფერარი) | 4,0 | 4,0 | 1,5 | 1,35 |
| კულჰარდი (ბრიტანეთი, მაკლარენი) | 4,0 | 4,0 | 1,5 | 1,35 |
| ფრენცენი (გერმანია, ჯორდანი) | 20,0 | 25,0 | 3,5 | 1,7 |
| რ. შუმახერი (გერმანია, უილიამსი) | 30,0 | 30,0 | 4,0 | 2,0 |
| ფიზიკელა (იტალია, ბენეტონი) | 30,0 | 30,0 | 4,0 | 2,0 |
| ბარიკელო (ბრაზილია, სტიუარტი) | 30,0 | 30,0 | 4,0 | 2,0 |
| ჰილი (ბრიტანეთი, ჯორდანი) | 40,0 | 30,0 | 4,0 | 2,0 |
| ჰერბერტი (ბრიტანეთი, სტიუარტი) | 40,0 | 30,0 | 4,0 | 2,0 |
| ვილნევი (კანადა, BAR) | 40,0 | 40,0 | 5,0 | 2,5 |
| ალეზი (საფრანგეთი, ზაუბერი) | 40,0 | 40,0 | 5,0 | 2,5 |
| ვურცი (ავსტრია, ბენეტონი) | 50,0 | 50,0 | 6,0 | 3,0 |
| პანი (საფრანგეთი, პროსტი) | 50,0 | 50,0 | 6,0 | 3,0 |
| ძანარდი (იტალია, უილიამსი) | 50,0 | 50,0 | 6,0 | 4,0 |
| ტრული (იტალია, პროსტი) | 60,0 | 60,0 | 10,0 | 4,0 |
| დინიცი (ბრაზილია, ზაუბერი) | 60,0 | 60,0 | 10,0 | 4,0 |

პირველი სამეული დაკავებული ადგილების მიხედვით — 10,0

პირველი ექვსეული დაკავებული ადგილების მიხედვით — 100,0

*პოულის კოეფიციენტებზე ფსონები მხოლოდ პარასკევს მიიღება.*

### გუნდდებს შორის გამარჯვებული

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკლარენი | 1,7 | ბენეტონი | 8,0 | ზაუბერი | 15,0 |
| ფერარი | 2,0 | უილიამსი | 8,0 | პროსტი | 15,0 |
| ჯორდანი | 5,0 | სტიუარტი | 10,0 | | |

*ფორმულა I-ის ფსონების გადამრავლება სპორტის სხვა სახეობებზე არ შეიძლება. შეიძლება მხოლოდ სამეულში მოხვედრის (არაუმეტეს სამი პილოტისა) ან ექვსეულში მოხვედრის (არაუმეტეს ექვსი პილოტისა) კოეფიციენტების გადამრავლება.*

*კვირას 11 ივლისს კროკოს ცენტრალური ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე არ იმუშავებს. ყველა დანარჩენ პუნქტში ფსონები მიიღება ჩვეულებრივი განრიგით.*

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

### ჩემპიონთა თასი

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

### უეფას თასი

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტებსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არვიდას საბონისი — ქვეყნის და კლუბის მარადიული მოვალე

## დიდი ლიტველი ერთ დროს დერიუგინს უგდებდა ყურს

*ორიოდ დღის წინ იტალიურმა არხმა RAIDUE-მ ახლახან დასრულებული კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის კადრები აჩვენა. იქ იყო ყველაფერი: მოთამაშეთა მაღალი ოსტატობა, მწვრთნელთა და გულშემატკივართა ზღვარგადასული ემოციები, ქუჩაში მოზეიმე ქომაგების სიხარული. ერთ-ერთი კადრის ხილვისას, ჩემდაუნებურად, ყმაწვილი ქართველი ფეხბურთელი ოთარ ხიზანეიშვილი გამახსენდა. რა კადრი იყო ასეთი, რა კავშირი აქვს ხიზანეიშვილს, გამოუცდელ დინამოელს სახელდაგდებულ ორმეტრიან ევროპელ ჯეელებთან?*

*საქართველო — საბერძნეთის საფეხბურთო მატჩი გახსოვთ? ამ მატჩის შემდეგ ჩვილივით ატირებული ხიზანეიშვილიც გეხსომებათ. იბრძოლა ბიჭმა, თამაშში სული და გული ჩადო, მაგრამ დამარცხდა.*

*ანალოგიური კადრი RAIDUE-ს გადაცემაშიც იყო. ოღონდ ხიზანეიშვილი იქ არაფერ შუაში გახლდათ. იქ ოთარზე გაცილებით სახელმოხვეჭილი, გამოცდილი და დიდი სპორტსმენი ტიროდა. ევროპის ჩემპიონატზე, ესპანეთისგან ლიტვის დამარცხების შემდეგ, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრი, ლიტველი არვიდას საბონისი ბავშვივით ქვითინებდა... დიდმა ლიტველმა ემოციები ვეღარ მოთოკა და გულში დაგროვილ ბოღმას გზა მისცა...*

*არვიდას საბონისი ქარიშხალივით შეიჭრა ჯერ საბჭოთა, მერე ევროპულ, და ბოლოს, მსოფლიო საკალათბურთო სივრცეში. იგი გამოჩენისთანავე ყველამ ერთხმად აღიარა. თანაც, აღიარა უპირობოდ და უეჭველად. ერთი სიტყვით, კოჭებში ეტყობოდა, რაც დადგებოდა.*

*ეს იყო დაახლოებით ოცი წლის წინ. დღეს კი, არვიდას საბონისის სახელი მთელს მსოფლიოში ქუხს. მე კი მოხარული ვარ, რომ ამ სახელოვან კალათბურთელთან სატელეფონო ინტერვიუს საშუალება მომეცა. მაშ ასე, თბილისი — კაუნასი, მეორე მხარეს ტელეფონის ყურმილი „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ და ლიტვის ნაკრების ცენტრს, დიდ არვიდას საბონისს უჭირავს:*



ევროპის 1999 წლის ჩემპიონატი. არვიდას საბონისი (ბურთით) თურქების წინააღმდეგ

**— სულ ახლახანს დასრულდა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. თქვენი შთაბეჭდილებები...**

— შთაბეჭდილებები მართლაც უამრავია. იმდენად ბევრი, რომ ყველაფერს ასე უცებ ვერ დავალაგებ და მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რაც აშკარად თვალშისაცემი იყო.

ჯერ ერთი, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ წინა ევროპის ჩემპიონატთან შედარებით, თამაშების სანახაობრივი მხარე დაკნინდა. ეს არ არის კარგი, რადგან თუ გულშემატკივარმა კალათბურთში მიმზიდველი ვერაფერი დაინახა, საყურებლად საერთოდ აღარ ივლის.

გარდა ამისა, თვალსაჩინო იყო საერთო დონის მატება და გუნდების კლასის გათანაბრება. ხომ ნახეთ, თუ ადრე იუგოსლავიის ნაკრები თითქმის უპირობო ჩემპიონად ცხადდებოდა, ეხლა ასე აღარ მოხდა და ფინალშიც შედარებით ნაკლებსავარაუდო გუნდებმა გააღწიეს. დონის ამაღლება, რა თქმა უნდა, სასიხარულო და მისასალმებელია, მაგრამ ცუდი იქნება, თუ ევროპული კალათბურთი იმ გზით განვითარდება, რომელსაც ოსტატობის ზრდის ხარჯზე სანახაობრივი მხარე ზარალობს. ვფიქრობ, რაც მეტი ევროპელი კალათბურთელი ითამაშებს ამერიკაში და რაც მეტი აქაური მწვრთნელი გაემგზავრება შტატებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მით ნაკლები იქნება ასეთი საფრთხის ალბათობა.

და ერთიც, შეიმჩნეოდა ევროპელთა ამერიკანიზაცია. ძალისმიერი ორთაბრძოლების მომატებას ვგულისხმობ. ვთქვათ, ათი წლის წინ ასეთი თამაშით მოედანზე აღარავინ დარჩებოდა 5-5 პერსონალურის გამო.

**— თუნდაც ლიტვის და ესპანეთის ნაკრები გუნდების შეხვედრაში. ამის თქმა გსურთ?**

— რატომაც არა? თუმცა, არა. იქ აშკარა მიკერძოებას ჰქონდა ადგილი. მე იტალიელი არბიტრის მოქმედებას სხვაგვარად ვერ ავხსნი ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ეს შეხვედრა სხვა, უფრო ნეიტრალურ არბიტრს ემსაჯა. რაც არ უნდა იყოს, ლიტვის ნაკრები ესპანეთისაზე ძლიერია და ჩვენ ჩემპიონობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ პრეტენდენტადაც ვითვლებოდით. გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევაში იტალიელი თავისი ქვეყნისთვის უფრო მისაღებ მეტოქეს დაუჭერდა მხარს.

**— შეიძლება, მაგრამ თქვენი მარცხის მხოლოდ მსაჯზე დაბრალება, ალბათ, გაუმართლებელი იქნება.**

— რა თქმა უნდა, მთავარი დამნაშავეები მაინც ჩვენ ვართ. ჯერ ერთი, არ შეიძლება იმის დაუნახაობა, რომ ჩვენს წინააღმდეგ ესპანელებმა ამ ჩემპიონატში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს. ეს ერთი. გარდა ამისა, ლიტვა ამ შეხვედრისთვის საკმაოდ გადაღლილი იყო. როგორც ჩანს, ჩვენი ძალები სწორად ვერ გავანაწილეთ და ამან უმთავრესი როლი ითამაშა. მხოლოდ თავგანწირვით და ჩემპიონობის კანდიდატის საპატიო ტიტულით შორს ვერ წახვალ.

**— სპეციალისტთა უმრავლესობა იმ აზრზე იყო, რომ ლიტვის გუნდი ზედმეტად არის დამოკიდებული ერთ ადამიანზე — არვიდას საბონისზე. არ გამოუვიდა თამაში საბონისს და არ გამოუვიდა თამაში ლიტვის ნაკრებს. ადრე ასეთივე სტატუსით შარუნას მარჩულიონისიც სარგებლობდა. ცნობილია ფრთოსანი გამოთქმა: ლიტვას სამი გუნდი ჰყავს: საბონისი, მარჩულიონისი და ყველა დანარჩენი. არ იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

— ეს ჩემთვის მეტად მტკივნეული საკითხია იმ თვალსაზრისით, რომ ესპანელებთან შეხვედრაში ჩემს გუნდს ჯეროვნად ვერ დავეხმარე. ძალიან განვიცადე და ღმერთმა იცის, როდის გამოვალ მდგომარეობიდან.

რაც შეეხება მთლიანად გუნდის ჩემზე დამოკიდებულებას, გეტყვით, რომ ლიტვას რამდენიმე ძლიერი კალათბურთელი ჰყავს, რომლებსაც ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ ლიდერის ფუნქციები იტვირთონ. ადრე აშკარად იგრძნობოდა სხვაობა ლიტველთა კლასში, მაგრამ ახლანდელ თაობაზე ამას ვერ ვიტყვი. მეტიც, გარკვეულ ასპექტებში, წელს ლიტვის ნაკრები წინა ევროპის ჩემპიონატთან შედარებით, უფრო ძლიერი იყო.

**— მინდა გკითხოთ, რა არის თქვენთვის ლიტვის ნაკრებში თამაში, თავის გამოჩენის კიდევ ერთ საშუალებას თუ სხვა რამე?**

— რატომ მეკითხებით?

**— იმიტომ, რომ მე პირადად ვნახე კადრები, სადაც ესპანელებთან მარცხის შემდეგ თავშეუკავებლად ტიროდით. ეჭვი მეპარება, რომ უბრალო წაგებას და თქვენს უსახურ თამაშს ასეთი რეაქცია გამოეწვია.**

— როგორ გითხრათ, იცით... აი, თქვენ ქართველი ხართ. მე ვიცი, რომ ქართველები დიდი პატრიოტები არიან და ძალიან უყვართ სამშობლო. ასე არ არის? ჰოდა, მაშინ არ უნდა გაგიჭირდეთ ჩემი რეაქციის გაგება. დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი თქვენიანიც ანალოგიურ სიტუაციაში თავს ვერ შეიკავებდა. სადაც არ უნდა ვთამაშობდე და რა სიმაღლეებზეც არ უნდა ავიდე, ჩემი ქვეყნის ნაკრები, ჩემი ხალხის სიხარული და სევდა ჩემთვის ყოველთვის უპირველესი იქნება და ამისთვის ყველაფერ პირადულს ზედმეტი ფიქრის გარეშე გავწირავ.

**— მოდით, ცოტა უფრო სახალისო თემებისკენ გადავუხვიოთ. როგორ აღიქვით „ჟალგირისის“ მიერ ევროლიგაში გამარჯვება?**

— ამ სეზონში ეს ჩემი უბედნიერესი წუთები იყო. ენით აუწერელია ის აღმაფრენა, რომელიც განვიცადე. საერთოდ, ძალიან ემოციური ადამიანი ვარ და მიჭირს ჩემი გრძნობების დაოკება. კალათბურთი ლიტვაში ყოველთვის ნომერი პირველი სპორტი იყო და ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა.

**— ავი ენები ამბობენ, რომ თითქოს „ჟალგირისში“ მოთამაშე უცხოელების გარეშე, კლუბი ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდაო.**

— ავ ენებს რა გამოლევს. მათ დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. როგორც ამბობენ, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. „ჟალგირისის“ წარმატება ყველას თანაბრად ეკუთვნის და არამც და არამც ვინმეს ზედმეტად.

**— არ გეამაყებათ, რომ კაუნასის „ჟალგირისი“ თქვენი ყოფილი გუნდია?**

— მაშ როგორ! მეამაყება და ძალიანაც მიხარია. კაუნასმა და „ჟალგირისმა“ ჩემს ადამიანად ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში უდიდესი როლი ითამაშა და მე, ასე ვთქვათ, მათი მოვალე ვარ.

**— და ამ ამაგს თქვენც დიდად უფასებთ.**

— ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ. მაგალითად „ჟალგირისს“ უამრავი რამით ვეხმარები. გარდა ამისა, ჩემს მშობლიურ ქალაქში გავხსენი ბავშვთა სკოლა, რომელშიც 8-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები კალათბურთს სწავლობენ. იცით, რამდენი ვარსკვლავი გვეკარგება უბრალო მიუხედაობის და დაუდევრობის გამო? ახლა რამდენიმე ლიტველი მწვრთნელის ამერიკაში სტაჟირებაზე გაგზავნას ვაპირებ. ეს ძალიან სასარგებლო იქნება ლიტვური კალათბურთისთვის. ჩვენი ახალგაზრდებიც უკვე კარგა ხნის განმავლობაში სწავლობენ შტატების სხვადასხვა უნივერსიტეტებში და ადგილობრივ გუნდებშიც თამაშობენ. ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ თავს ვიქებ. არა, უბრალოდ მე ვალდებული ვარ ეს გავაკეთო და ვაკეთებ კიდეც.

**— თქვენ NBA-ში ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრად ითვლებით. თვლით, რომ ამერიკაში გადასვლა ოდნავ შეგაგვიანდათ?**

— კი, ალბათ, ასეა, მაგრამ ადრე წასვლაც არ შემეძლო. განა დაგავიწყდათ, რა ქვეყანაში ვცხოვრობდით? თანაც, ჯანმრთელობის გაუარესებამაც გვარიანად შემიშალა ხელი. თუმცა ისიც საკითხავია, შევძლებდი თუ არა 20 წლის ასაკში NBA-ში თამაშს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას მიმაჩნდა, რომ ამას ადვილად შევძლებდი, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც სიტუაციაში კარგად გავერკვიე, მივხვდი, რომ არც ასე იყო საქმე. NBA სულ სხვა რამ ყოფილა და არა ის, რასაც ადრე ვფიქრობდი.

**— მაინც რა.**

— სრულიად განსხვავებული სამყარო, რომელსაც ვერაფერს შევადარებ და გავუტოლებ. თანაც იქ თავის გადარჩენისათვის მგლის კანონებით მოქმედებენ. ევროპაში სულ სხვაგვარად არის საქმე.

**— როგორ ფიქრობთ, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ბევრი შეძლებდა იმ სამყაროსთან შეგუებას?**

— შესაბამისი პირობების შექმნით, საკმაოდ ბევრი. თუმცა ამერიკაში თამაში სულ რამდენიმე ადამიანმა თუ შეძლო. საერთოდ, კალათბურთის საბჭოთა სკოლა ძალიან ძლიერი იყო. მარჩულიონისი, ვოლკოვი, ტიხონენკო... თანაც ჩვენი ნაკრები ძალიან შეკრული იყო და მისასალმებელია, რომ დღევანდელ დღემდე ერთმანეთთან თბილი ურთიერთობა გვაკავშირებს.

**— თბილისის დინამოელებიდან ვინმესთან თუ მეგობრობდით გამორჩეულად?**

— დერიუგინთან. ის ბრწყინვალე ადამიანი და მშვენიერი კალათბურთელი იყო. თანაც მეტად თავმდაბალიც. ნაკრებშიც გვითამაშია ერთად და კოლიას რჩევებს ყოველთვის ყურადღებით ვისმენდი. იმ პერიოდში იგი ჩემზე ბევრად გამოცდილი გახლდათ.

**— ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდამ, ბევრს მიაღწიეთ. იყავით „ჟალგირისის“ და საბჭოთა ნაკრების უპირობო ლიდერი, მრავალი ტიტულის მფლობელი და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი. თავში ხომ არ აგვარდნიათ?**

— სიმართლე უნდა ითქვას და იყო ასეთი მომენტი. ოღონდ ეს ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა და დედამიწაზე მალევე დავეშვი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არავინ იცის, ვინ ვიქნებოდი ახლა. მსგავსი მომენტი არაერთ ახალგაზრდა სპორტსმენს აქვს და მისი დროულად დაძლევა უაღრესად მნიშვნელოვანია.

**— იმ მწვრთნელთაგან, რომლებთანაც თქვენი კარიერის მანძილზე გიმუშავიათ, ვინ მიგაჩნიათ უძლიერესად?**

— NBA-ში ბევრი ძალიან ძლიერი სპეციალისტია. ბევრი კი არა, აბსოლუტურად ყველა. უძლიერესია ვლადას გარასტასიც — ჩემი პირველი დიდი მწვრთნელი, მაგრამ ალექსანდრ გომელსკი ყველასგან გამორჩეული იყო. გამორჩეული, როგორც სპეციალისტი, როგორც პედაგოგი და როგორც უფროსი მეგობარი. ის საკმაოდ ხშირად ჩამოდის ამერიკაში და ჩვენ ყოველთვის ვხვდებით ერთმანეთს. ვიგონებთ ხოლმე წარსულს და ასე შემდეგ.

**— მრავალი სპორტსმენი კარიერის დასრულების შემდეგ ბიზნესში გადადის და თავის მომავალ საქმიანობას საფუძველს ადრევე უყრის. თქვენ ხომ არ გაქვთ ამგვარი განზრახვა?**

— მაქვს, მაგრამ რა სახის ბიზნესს მივყოფ ხელს, ეს ჯერ საიდუმლოა. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩემი საქმიანობა მხოლოდ ფულის შოვნისკენ და მოხვეჭისკენ არ იქნება მიმართული. მინდა ისეთი კომპანია შევქმნა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ჩემს ხალხს წაადგება და რეალურად მოუტანს სიკეთეს. სხვა მხრივ, ამას აზრი არ ექნება. მე საკმარისად მაქვს ფული და მისი კიდევ უფრო დიდი რაოდენობით შოვნა თვითმიზნად არ დამისახავს.

**— კარგა ხანია ამერიკაში ცხოვრობთ. სიმარტოვეს ხომ არ გრძნობთ? გყავთ მეგობრები?**

— ამხანაგები ბევრი მყავს, მაგრამ რასაც ნამდვილი მეგობარი ჰქვია, ისინი ყველანი ლიტვაში არიან. პრინციპში, ერთადერ მეგობრად აქ ჩემი მეუღლე შეიძლება ჩაითვალოს.

**— როგორია ამჟამად თქვენი ოჯახური მდგომარეობა?**

— მყავს მეუღლე და ოთხი შვილი. მეუღლე ყოფილი ფოტომოდელი და მსახიობია, ბავშვები კი ჯერ პატარები არიან, თუმცა უფროსებს უკვე ძალიან უყვართ კალათბურთი.

**— ამბობენ, საბონისს პოლიგლოტის ნიჭიც აქვსო...**

— პოლიგლოტობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რამდენიმე ენაზე კი ვსაუბრობ. ინგლისური, ესპანური, ჩეხური, პოლონური — სულ ეს არის, არა, დამავიწყდა, კიდევ რუსული და ლიტვური.

**— 34 წლის ბრძანდებით. რამდენ ხანს აპირებთ სარბიელზე დარჩენას?**

— რა ვიცი, მე მგონი კიდევ კარგა ხანს შევძლებ თამაშს.

**— რამე განსაკუთრებული სურვილი თუ გაქვთ?**

— ამერიკაში სამშობლოს და ახლობლების ნოსტალგია მაწუხებს. აი ეს მაბავს მხოლოდ, თორემ სხვა მხრივ წესრიგში ვარ.

ირაკლი ხუციშვილი



ესპანეთთან საბონისმა ცუდად ითამაშა, რაც ლიტვისთვის საბედისწერო იყო

# ბერძენიშვილმა თბილისს სლოვაკეთი ამჯობინა

## საქმეს ასე სჭირდებაო...

ბადრი კეთილაძის ფოტო



დავით ბერძენიშვილი

დავით ბერძენიშვილს ახლა უკვე თბილისში ველოდით. შუაგული ზაფხულისთვის ყველა საქმეს მოვილევ, ახალი კლუბიც მეცოდინება და ყველაფერს გაგიმხელთო, გვითხრა ამას წინათ საქართველოს ნაკრებისა და აწ უკვე სლოვაკეთის „სლოვაკოფარმას" ყოფილმა ცენტრმა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ სლოვაკეთის ორგზის ჩემპიონმა დავით ბერძენიშვილმა „სლოვაკოფარმასთან" გაყრა გადაწყვიტა, აქაოდა თამაში ხშირად არ მიწევსო.

ეს იყო და „ბერძენა" დიდი არჩევანის წინაშე დადგა. ქართველი კალათბურთელით თითქმის ყველა სლოვაკური კლუბი დაინტერესდა.

სამწუხაროდ, ჯერაც არ ვიცით, სად გააგრძელებს თამაშს ბერძენიშვილი, რადგან ეს თავადაც არ უწყის. გუშინ, ჩვენთან საუბრისას, დათომ შემდეგი განაცხადა:

— სლოვაკეთს ისე შევეგუე, რომ აქედან წასვლა ვერც წარმომიდგენია. „სლოვაკოფარმა" ყველაზე შეძლებული და ტიტულიანი გუნდია, მაგრამ... მე თამაში მინდა.

ყოველდღე მიკავშირდებიან დაინტერესებული კლუბები, თავიანთ პირობებს მთავაზობენ, თუმცა ვერ ვიტყვი, იდეალურს-მეთქი.

მე ახლა იმ ასაკში არ ვარ, ვინმემ გამაცუროს... ყველაზე რეალური სლოვაკური „ლევიცეს" წინადადებაა და უახლოეს მომავალში, ალბათ, ამ გუნდს კონტრაქტსაც გავუფორმებ. „ლევიცე" ახლა გერმანიაშია შეკრებაზე, თუმცა მისი მწვრთნელი ყოველდღე მირეკავს, გუნდში გადასვლა სთავაზობს.

ერთი მინდა — ვიყო იქ, სადაც ნორმალურ სავარჯიშო პირობებს შემიქმნიან, ხშირად მათამაშებენ და კარგ გასამრჯელოსაც მომცემენ.

სხვას ვერაფერს გეტყვით, ის კი ვიცი, რომ „ლევიცეს" დღესდღეობით ცენტრი არ ჰყავს და ამ კლუბში თამაში განაღდებული მექნება.

ეგ არის, ამ ზაფხულს შინ ჩამოსვლას ვერ ვახერხებ. გული კი მწყდება, მაგრამ საქმეს ასე სჭირდება.

**გიორგი ბიძაშვილი**

# კლივლენდს ყველაზე პატარა მწვრთნელი ჰყავს

NBA



რენდი უიტმენი NBA-ს ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახდა

„კლივლენდ კავალიერზმა" დაასრულა მწვრთნელის ძებნა და ოთხშაბათს სასურველ კანდიდატურას მიაგნო. ამიერიდან კლივლენდელებს რენდი უიტმენი გაწვრთნის. წინა მწვრთნელი მაიკ ფრატელო კლუბმა 1 ივნისს დაითხოვა.

უიტმენს მუშაობა ჯერ არ დაუწყია, მაგრამ ერთი რეკორდი უკვე მოხსნა. იგი 39 წლისაა, ასე მცირეწლოვანს კი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდი ჯერ არ გაუწვრთნია. უიტმენი კლივლენდში „მინესოტა ტიმბერვულვზიდან" მივიდა, სადაც მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა.

უიტმენი კალათბურთელიც რიგიანი იყო. 1981 წელს ამერიკის სტუდენტური ჩემპიონატი მოიგო ინდიანას უნივერსიტეტის შემადგენლობაში. 1983 წლის დრაფტის პირველსავე წრეში აიყვანა „ვაშინგტონ ბულიტსმა", მაგრამ მაშინვე გაუცვალა „ატლანტა ჰოქსს". უიტმენმა ცხრა სეზონი გაატარა ლიგაში, ატლანტის გარდა „საკრამენტო კინგზსა" და „ინდიანა პეისერზში" უთამაშია. მისი საშუალო შედეგიანობა 7,4 ქულა იყო.

კარიერის დასრულებისთანავე უიტმენმა „დალას მავერიქსის" მწვრთნელის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. შემდეგ იგივე თანამდებობა ინდიანასა და მინესოტაშიც ეჭირა.

უიტმენის კლუბში მოყვანის ინიციატორი კლივლენდის გენერალური მენეჯერი ჯიმ პაქსონი იყო. სწორედ პაქსონი შეხვდა უიტმენს 16 ივნისს და სიტყვა მწვრთნელებზე ჩამოუგდო. ათი დღის შემდეგ ამ ორმა კაცმა ერთად ისადილა, ხოლო ოთხშაბათს, როცა უიტმენი კლივლენდში ჩაფრინდა, პაქსონმა ლიმუზინი გაუგზავნა და კლუბის ოფისში ამ მანქანით მიაგრიალა. ამავდროულად, „კავალიერზი" კიდევ სამ მწვრთნელს ეკურკურებოდა — დეივ კოუენსს, დელ ჰარისს და ჯონ მაკლეოდს.

„უიტმენს მოთამაშისა და მწვრთნელის თანაშემწის დიდი გამოცდილება აქვს. ვთვლით, რომ იგი მთავარი მწვრთნელის თანამდებობისთვის უკვე მზადაა" — თქვა პაქსონმა პრესკონფერენციაზე. უიტმენს დიდი შრომა ელის 1993 წლიდან „კლივლენდ კავალიერზი" პლეი ოფის პირველ წრეს არ გასცდენია. მაყურებელთა საშუალო დასწრებაც 18011-დან (1995 წელს) 14120-მდე (1999 წელს) შემცირდა.

# ჩემპიონმა პოპოვიჩი დაიტოვა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წლევანდელმა ჩემპიონმა „სან ანტონიო სფურზმა" ოთხი წლით გაუგრძელა კონტრაქტი მთავარ მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს. ძველი კონტრაქტით პოპოვიჩს კიდევ ერთი წელი უნდა ემუშავა, მაგრამ ეს ვადა ახალ ხელშეკრულებაში შევიდა. ამავე კონტრაქტის მიხედვით, პოპოვიჩი კვლავინდებურად შეითავსებს „სფურზის" მთავარი მწვრთნელის და გენერალური მენეჯერის თანამდებობებს.

პოპოვიჩმა, როგორც გენერალურმა მენეჯერმა, 1996 წლის დეკემბერში გააგდო მწვრთნელი ბობ ჰილი და მის ნაცვლად საკუთარი თავი დანიშნა. იმავე სეზონის მერე, დრაფტში ამოირჩია ტიმ დანკანი. ხოლო წლეულს, თავის მეორე სრული სამწვრთნელო სეზონი ჩემპიონობით დაასრულა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ივნისის მეორე ნახევარში მოსკოველმა საერთაშორისო არბიტრმა ვლადიმერ დვორკოვიჩმა დაიწყო თავისი ტრადიციული, ტვინსაჭყლეტი, რუტინული, თუმც საკმაოდ სარფიანი სამუშაოს შესრულება, რომელსაც მას წელიწადში 12-ჯერ უკვეთავენ, დამკვეთი კი გარი კასპაროვისა და ესპანელი ბიზნესმენის, ლუის რენტერო სუარესის პირმშო, მსოფლიოს საჭადრაკო საბჭო გახლავთ, მსოფლიოს საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) რადიკალურად ოპოზიციური ორგანიზაცია. დვორკოვიჩის მოვალეობას მსს-ის რეიტინგ-ლისტის შედგენა წარმოადგენს, რასაც პატიოსნად აკეთებს აგერ უკვე მესამე წელია. ამავე საქმისთვის ღვრიან ოფლს ვინმე ტონი აბუნდო და მისი ხელქვეითები, ოღონდ მათი დამკვეთი ჩვენგან უკვე ნახსენები ფიდეა; და აი, შედეგებიც: ივლისის დამდეგს დღის სინათლე იხილა ფიდე-ს ოთხმა (მამაკაცები, ქალები, ჭაბუკები, გოგონები) და მსს-ს ერთმა რეიტინგ-ლისტმა. ამ უკანასკნელში ერთადაა თავმოყრილი დიდი და პატარა, მდედრიც და მამრიც, მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ საუკეთესოთა რამდენიმე ასეული

# დრონი მეფობენ

## ოღონდ მეფეებს ეს არ ანაღვლებთ

დავიწყოთ ქართველებით. აქედანვე გვინდა გაგახაროთ და გითხრათ, რომ კიდევ ერთი პოზიცია მოიგო ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ფიდე-ს რეიტინგ-ლისტში ამჟამად მეთოთხმეტეა; უფრო დიდია მისი წარმატება მსს-ს რეიტინგებით, სადაც აზმაიფარაშვილი სამი ნაბიჯით დაწინაურდა, გაუსწრო რა კარპოვსა და ტოპალოვს, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბატონმა ზურაბმა წლევანდელ სარეიტინგო წარმატებებს მთლიანად სხვათა უხეირობის ხარჯზე მიაღწია, რადგან მის აქტივში ოფიციალურად ნათამაშევი არცერთი პარტია არ დაფიქსირებულა. ასეა თუ ისე, პირველ ათეულამდე ბევრი არაფერი დარჩა და...

საკმაოდ ჩამორჩა გია გიორგაძე, მცირეოდენ — ზურაბ სტურუა და ახლა ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ არიან განლაგებულნი 76-ე და 77-ე პოზიციებზე და, სხვათა შორის, ქულათა ერთნაირი ოდენობით. ეს რაც შეეხება ფიდე-ს სიას; რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა საბჭოს რეიტინგებში, სადაც გიორგაძემ პირიქით, 2 ქულა შეიმატა და 84-დან 78-ე პოზიციაზე გადაინაცვლა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს რეიტინგების შედგენისას ფიდე-სა და საბჭოს მკვეთრად განსხვავებულ კრიტერიუმებზე, თუმცა ამაზე ქვემოთ...

საბჭოს საუკეთესო ასეულში მოხვდნენ აგრეთვე გენადი ზაიჩიკი (92-ე) და გიორგი ყაჭეიშვილი (95-ე), ამ დროს კი ვერ მოხვდა სტურუა, ფიდე-ს სამოცდამეჩვიდმეტეადგილოსანი, რომელსაც საბჭომ მხოლოდ 104-ე პოზიცია არგუნა. ამათ გარდა, 177-ე ადგილი უჭირავს მაია ჩიბურდანიძეს.

ზოგადად მანდილოსნებზე აქვე მოკლედ ვიტყვით: ფიდე-ს რეიტინგებში მათგან მხოლოდ იუდით პოლგარია, რომელმაც 6 სარეიტინგო ქულა დაკარგა და 4 ადგილიც. იგი ამჟამად მეოცეა. საბჭოს ყველასმომცველ სიაში რამდენიმე ქალბატონი ვიხილეთ. ჩვენი ჩიბურდანიძის გარდა აქ არიან იგივე იუდით პოლგარი (მე-18 ადგილზე), მისი უფროსი დაიკო, ფიდესთან ნაჩხუბარი ჟუჟა (49-ე) და ჟუჟასთვის წაგლეჯილი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის ორი პრეტენდენტი, ალისა გალიამოვა-ივანჩუკი და სიე ჟუნი, რომლებიც, სხვათა შორის, ერთობ საგრძნობლად ჩამორჩებიან ჩიბურდანიძეს, თუმცა ფიდე-ს მიერ ცალკე ქალებისთვის შედგენილ რეიტინგ-ლისტში გალიამოვა-ივანჩუკი მაიაზე წინაა და საერთოდაც, მხოლოდ იუდით პოლგარს ჩამორჩება. ჩიბურდანიძეს სიე ჟუნი მოსდევს, შემდეგი კი ნანა იოსელიანი გახლავთ. წლეულს წარმატებული სეზონი ჰქონდა ნინო ხურციძეს, რაც ფიდე-ს სიაში მისგან ოციოდე ადგილის მოგებითა და მე-11 პოზიციაზე დამკვიდრებით გამოიხატა. 21-ე ადგილი ქეთევან არახამია-გრანტის საკუთრებაა და კიდევ ერთი: გოგონათა რეიტინგ-ლისტში მე-8 გახლავთ რუსუდან გოლეთიანი.

ძლიერთა სქესზე საუბრის უმეტეს ნაწილს, ცხადია, კასპაროვი ირგუნებს, ან კი სხვანაირად როგორ იქნება, მით უმეტეს წელს. არ ვიცით, რამდენად მისაღები აზრია გინესის რეკორდებში საჭადრაკო რეიტინგების დაფიქსირება, მაგრამ თუ ეს მოხდება, ხსენებული პატივი, პირველ რიგში, რასაკვირველია, კასპაროვს მიეგება. თავს აღარ გადავიღლით მის მიერ მოგებული სუპერტურნირების ჩამოთვლით, უბრალოდ გეტყვით, რომ წლევანდელი რეიტინგების ფორმირებისას ფიდე-მ მხოლოდ ივლისამდელი მონაცემები გაითვალისწინა და ამდენად კასპაროვის 2841 ქულაში არ აისახა მისი სარაევოში გამარჯვება, რაც ხსენებულ შედეგს კიდევ 10 ქულას შემატებდა და კასპაროვი გახდებოდა პირველი, ვინაც 2850-იან ზღვარს გადააბიჯა. თავად კასპაროვს ფიდესეული შეფასება (ისევე, როგორც ყველაფერი ფიდე-სეული) არასწორად მიაჩნია და აცხადებს, რომ მისი ჭეშმარიტი წარმატება აისახა მსს-ს რეიტინგ-ლისტში, სადაც მას 2838 ქულა აქვს. არ მჭირდება მე ზედმეტი ქულებიო, აცხადებს კასპაროვი გაზეთ „სპორტ-ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში, და საერთოდ, ფიდეს რეიტინგების დათვლის სისტემა მე უსამართლოდ მიმაჩნიაო. აი, მისი საბუთებიც: მოიგებს მოჭადრაკე ერთ სერიოზულ ტურნირს, გაიხედავ და, გუშინ რომ ასეულშიც არ იყო, დღეს ათეულის სიახლოვეს წამოსკუპებულა ანდა პირიქით. მაგალითად კასპაროვი მოროზევიჩს ასახელებს, ნახევარ წელიწადში 49-დან მე-5 ადგილზე რომ აიჭრა. „რეიტინგების დათვლის ჩვენმა სისტემამ, რომელიც ეგრეთ წოდებულ სტაბილურობის კოეფიციენტებს ემყარება" — აცხადებს ჩემპიონი — „მოროზევიჩი უკვე მანამდე, ნაბიჯ-ნაბიჯ აიყვანა მეცამეტე ადგილზე და იგი ახლაც ნელნელა მიიწევს წინ". რეიტინგების დაანგარიშების სისტემების სამართლიანობა-უსამართლობის მეტად სადავო საკითხი გვერდზე გადავდოთ და შევუერთდეთ ჟურნალისტთა იმ მოზრდილ არმიას, კასპაროვის ფენომენის გაგება რომ სწადია. თვითონ კასპაროვს რომ მოუსმინოს კაცმა, არაფერი ფანტასტიკური და გასაიდუმლოებული არაა: მკაცრი რეჟიმი და კარგად დაპროგრამებული ფიზიკური და გონებრივი წვრთნის პროცესი — ესაა და ეს. იმავე „სპორტ-ექსპრესთან" საუბრისას კასპაროვმა განაცხადა, ახლა მკლავებზე უკვე სამოცჯერ ვიწევიო და თუმცა ის აღარ დაუკონკრეტებია, ლერძზე რამდენჯერ იზიდება ან მუცლის კუნთების ვარჯიშში რა ზღვარს უწია, სამაგიეროდ, თავის თავსა და სულ ახლახან დასრულებულ ფრანკფურტის ტურნირში მის მეტოქეებს შორის მეტად მკაფიო პარალელი გაავლო. „ტურნირის ბოლოს ერთადერთი ანანდზე შეიხედებოდა, თუმცა ისიც კარგა წელმოწყვეტილი გამოიყურებოდა, კრამნიკს უკვე კაცის ფერი აღარ ედო, კარპოვი კი საერთოდ ძლივს იდგა ფეხზე" — აღნიშნა მსოფლიოს ჩემპიონმა და, რაკი კარპოვზე ჩამოვარდა სიტყვა, ისე როგორ გაჩერდებოდა, კბილი არ გაეკრა მისთვის. ფრანკფურტის „დევების" ტურნირი ბევრად უფრო საინტერესო იქნებოდაო, ბრძანა ჩემპიონმა, ორგანიზატორებს კარპოვის ნაცვლად შიროვი რომ მოეწვიათო; მაგრამ მაინც კარგია, დაინახა ბოლოს და ბოლოს მსოფლიომ, კარპოვის დრო მართლა რომ წავიდა და მისი თამაში ფაფხურია და სხვა არაფერიო, დაასკვნა ბოლოს გარიმ. აი, ასე, ძვირფასო მკითხველო, ზეიმობს ის, ვინც მწვერვალზეა, ამბობს, რასაც უნდა, იქცევა, როგორც უნდა და სულაც არ აინტერესებს ის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ თავადაც შეიძლება ასეთსავე დღეში ჩავარდეს. სელავი, როგორც იტყვიან!

დავამთავროთ ახლა კასპაროვზე ლაპარაკი, სანამ მკითხველისთვის თავი მოგვიბეზრებია და მოკლედ სხვებიც ვახსენოთ, პირველ რიგში კი ანანდი. ვიშიმ მიმდინარე სეზონი აშკარად ჩააგდო, აწყვეტილ კასპაროვს ხომ ერთხელაც ვერ აჯობა, ორიოდე ისეთი ფიასკოც შეემთხვია, სწორედაც რომ არ შეშვენოდა. მიუხედავად ყველაფრისა, ანანდმა შეინარჩუნა მეორე ადგილი ფიდე-ს რეიტინგ-ლისტში; აი, საბჭომ კი არ აპატია სისუსტე და მეოთხე პოზიციაზე ჩააქვეითა. ვიშის შელახული პრესტიჟი გაამყარა ბოლო ხანებში მიღწეულმა ორმა გამარჯვებამ: ჯერ კარპოვის 5:1 განადგურებამ „დაწინაურებულ ჭადრაკში" (სადაც დიდოსტატები კომპიუტერებს იშველიებდნენ), შემდეგ კი ფრანკფურტის ტურნირის შემდეგ „ოსტატთა" შემმუსრავი გერმანული საჭადრაკო პროგრამის „ფრიცის" 2,5:1,5 ძლევამ; და რაც მთავარია, კასპაროვს ანანდი უწინდებურად მსოფლიოს მეორე მოჭადრაკედ მიაჩნია, უწინდებურად პატივისცემით ლაპარაკობს მასზე, როგორც ყველაზე საშიშ მეტოქეზე და კასპაროვ-ანანდის მომავალი მატჩის გამართვაც ხომ უკვე გადაწყვეტილია, თანაც 3 მილიონ დოლარიანი საპრიზო ფონდით, რაც იმდენივეა, ლას ვეგასში ფიდე-ს ჩემპიონატზე 100 მოჭადრაკეს ერთად რომ ერგება.

აი, ყველაფერი, რაც უნდა გვეთქვა. ბოლოს კი რეიტინგ-ლისტების საუკეთესო ათეულებიც იხილეთ:

### ფიდე-ს ვერსია

1 კასპაროვი — 2841; 2 ანანდი — 2771; 3. კრამნიკი — 2760 4 მოროზევიჩი — 2751; 5 შიროვი — 2722; 6 გელფანდი — 2713; 7 კარპოვი — 2709; 8 ადამსი — 2705; 9 ივანჩუკი — 2702; 10 ლეკო — 2699

### მსს-ს ვერსია

1 კასპაროვი — 2838; 2 შიროვი — 2727; 3 კრამნიკი — 2724; 4 ანანდი — 2724; 5 მოროზევიჩი — 2719; 6 კამსკი — 2701; 7 ლეკო — 2699; 8 გელფანდი — 2697; 9 ადამსი — 2686; 10 ბარეევი — 2677

**დავით გულუა**



ზურაბ აზმაიფარაშვილი



მაია ჩიბურდანიძე



ნინო ხურციძე

ბადრი კეთილაძის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ ქვეყნად მრავალი ხელობა არსებობს. მაგრამ არის ერთი საქმე, რომელსაც, მგონი, სახელი არა აქვს. სწორედ ამ საქმის დიდოსტატია სპეციალობით სამთო ინჟინერ-გეოლოგი, გატაცებით მთამსვლელი, ევერესტის დამპყრობი თბილისელი ბიძინა გუჯაბიძე. ამაში შარშან დავრწმუნდით, როცა მყინვარწვერის ფერდობზე, 4000 მეტრის სიმაღლეზე ტაძარი დავდგით. მაშინ, როცა საქმე თითქმის მოვათავეთ, ბიძინამ აიღო ოქროსფერი, ვეება მძიმე ჯვარი, გულზე მიიხუტა და გვითხრა, ტაძარზე ამ ჯვრის აღმართვას არავის დაგანებებთ, ეს ჩემი საქმეაო. მართლაც, ავიდა ტაძარზე, აიტანა ის 40-კილოგრამიანი ჯვარი, დაამაგრა და მერე დიდხანს ტკბებოდა თავისი დაგვირგვინებული საქმით.

მაშინ, ტაძარზე ჯვარს რომ ამაგრებდა, ქარი თეთრ მოსასხამს უფრიალებდა და ლურჯი ცის ფონზე ჩემს წარმოსახვაში შუასაუკუნეების ჯვაროსანთა რაინდს მივამგვანე. ჰოდა, მეც ჯვაროსანი შევარქვი.

სწორედ ამგვარი ჯვაროსნობა გახლავთ ბიძინა გუჯაბიძის, თუ შეიძლება ითქვას, ვიწრო სპეციალობა. საქართველოს არაერთ ეკლესია-მონასტერზე სწორედ ბიძინა გუჯაბიძეს აღუმართავს ჯვარი. პირველი ჯვარი მას თბილისში, 1987 წელს დაუმაგრებია მეტეხზე, მერე ქვემო ბეთლემზე და ზემო ბეთლემზე, ბეთანიაზე, ჯვრის მონასტერზე, რუისზე, სიონზე და მის სამრეკლოზე, ქაშვეთზე...

მასვე შეურემონტებია ან სულაც გადაუხურავს ტაძართა გუმბათები, მათ სარკმლებზე ჩაუსვამს მინები...

ერთი სიტყვით, ბიძინა გუჯაბიძე აკეთებს იმ საქმეს, რასაც მთამსვლური ჩვევები და გამოცდილებაც სჭირდება.

ამას წინათ, როცა ბიძინამ და მისმა მეგობრებმა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი დალაშქრეს, ჩვენი ჯვაროსნის ოჯახში მისალოცად დიდ დილომში გავვარდით. სადარბაზოსთან ბიძინას ქალიშვილი, 12 წლის ბაისო დაგვხვდა. ბაისომ საცხოვრებელ კორპუსზე აგვახედა და გვითხრა, მამაჩემი ზოგჯერ აი აქ, ამ კედელზე ვარჯიშობსო. ბიძინას კედელზე თითების ჩასაჭიდი, ხელოვნური საყრდენები დაემაგრებინა და წარმოვიდგინე გაკვირვებისგან პირდაღებული მეზობლები თუ გამვლელ-გამომვლელნი, როცა ისინი კედელზე კატასავით მცოცავ ჩვენი წერილის გმირს დაინახავდნენ.

— მეზობლები ამგვარ სანახაობას უკვე მიეჩვივნენ, თავიდან კი ბლომად ხალხი გროვდებოდა, ზოგიც შიშით ვერც უყურებდა მამაჩემს — გვითხრა ბაისომ.

— კაცმა რომ თქვას, კედელზე ჩემი „ლაშქრობები" მეზობლებისთვის არც ისე მოულოდნელი იყო, — გვიამბობს ბიძინა. — მათ იცოდნენ ჩემი გატაცება და შესაძლებლობები. ამიტომ, როცა გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდნენ, ხშირად კორპუსების კედლებზე ასვლას თავადვე მთხოვდნენ, მაგალითად მაშინ, როცა კარები ჩაეკეტებოდათ და გარედან ველარაფრით აღებდნენ ან ვთქვათ თუ ვინმეს ონკანი დარჩებოდა და წყალი მეზობლებს კედლებს ჩამოურეცხავდა. მეც მეტი რა გზა მქონდა, ავდიოდი კედლებზე და ბინებში ფანჯრიდან გადავდიოდი. ამ საქმეში ისე გამივარდა სახელი, რომ დახმარებას არა მხოლოდ მეზობლების, არამედ სხვა რაიონებიდან მოსული უცნობებიც მთხოვენ.

ზოგჯერ კორპუსების კედლებზე ჩემს „ლაშქრობას" კურიოზები ახლავს: ერთ მშვენიერ დღეს მოდიან და მეუბნებიან, წამოდი, თუ ძმა ხარ, მეზობლად მარტოხელა მოხუცი კაცი ცხოვრობდა. რამდენიმე დღეა აღარ გამოჩენილა, ეტყობა უბედურმა წერილი წაიღო, კარებს კი ვერ ვაღებთ და ხომ არ შევამტვრევთო. მეც გავყევი, ავედი და ფანჯრიდან გადავედი. ვხედავ ის უბედური საწოლზე გულხელდაკრეფილი გაშოტილა. თავზე რომ წამოვადექი, ღმერთო, დიდებულო, ელდანაკრავი წამოხტა და რაღაც არაადამიანურად იღრიალა. ახლა, წარმოიდგინეთ, მე რაღა დამემართებოდა, იმას კი შიშით ლამის გული გაუსკდა და მართლაც გაღმა გავიდა.

იყო ერთი ისტორიაც, რომელსაც ვერ დავივიწყებ — წამიყვანეს და მეუბნებიან, მერვე სართულზე აი, იმ ფანჯარაში უნდა გადახვიდე და კარი გააღოო. ქვემოდან ფანჯრები არევიათ და სულ სხვა ბინაზე მიმითითეს. მეც ავედი და მინის ამოღება დავიწყე თუ არა, ფანჯარას უშველებელი კავკასიური ნაგაზი მოახტა. ელდანაკრავი ინსტინქტურად უკან გადავხტი, საბედნიეროდ ჩამოვარდნისაგან თოკით კარგად ვიყავი დაცული, მაგრამ ჩემი შეშინება რა იყო იმასთან შედარებით, რაც იქ ატყდა — თურმე მთელი ოჯახი მაგიდას მისხდომოდა და მშვიდად სადილობდა. ჩემს დანახვაზე აქეთ ის ქოფაკი გადაირია, იქით კი ოჯახის წევრთა გულის გამგმირავი წივილ-კივილი, ღრიალი და ჭურჭლის ლაწალუწი ატყდა.

ყველაფერი კი 1979 წელს დაიწყო. მაშინ ბიძინა გუჯაბიძემ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა. ერთ მშვენიერ დღეს ინსტიტუტში განცხადება წაუკითხავს, ყაზბეგის რაიონში, მწვერვალ გორზე ალპინიადა ტარდებაო. გურიაში დაბადებულს და გაზრდილს გული თურმე ისედაც მთებისკენ მიუწევდა. იქაურ მთებში საქონელს მწყემსავდა და ხშირად რამდენიმე დღით გადაიკარგებოდა ხოლმე და როცა მწვერვალ გორიდან გადმოიხედა, როგორც მთამსვლელები იტყვიან, საბოლოოდ მოიწამლა მთების სიყვარულით.

— თავი ზღაპარში მეგონა, — იხსენებს ბიძინა. — გურიის მთებში მაინც დახშული სივრცეა, გორიდან კი თვალუწვდენელი ჰორიზონტი გადამეშალა. ჩემს ქვემოთ ღრუბლები გაწოლილიყო, იქიდან კი თოვლ-ყინულოვანი მწვერვალები კუნძულებივით ამოზიდულიყვნენ. მოჩანდა მყინვარწვერიც, რომელმაც მთლად გადამრია. გორზე მდგომი უკვე მყინვარწვერზე ვფიქრობდი...

მერე ბიძინა მყინვარწვერზეც ავიდა, ყაზბეგის რაიონის სხვა მწვერვალებზეც. სვანეთის მთებიდანაც გადმოიხედა და შორეული პამირის, ტიან-შანის, კუნკუნის, ალიასკის, ალპებისა და ჰიმალაის ცათამბჯენებიდანაც.

ამ ასვლებიდან ყველაზე მეტად დამახსოვრებია უშბაზე ლაშქრობა.

— ის ასვლა უშბაზე დაღუპული ჩვენი მეგობრების ხსოვნას მივუძღვენით. მაშინ მწვერვალზე 31 იანვარს ავედით. ეს ჩემი პირველი ზამთრის ასვლა იყო. ასვლა ძალიან რთული გამოდგა. თითების პატარ-პატარა მოყინულობებით გადავრჩით, ყოველივე ამის გამო ის ასვლა ჩემთვის ყველაზე გამორჩეულია...

ყველაზე გამორჩეულიაო, რომ ამბობს ბიძინა, ამაში ყველაზე რთულ ასვლას როდი გულისხმობს. ასეთად მას 4600 მეტრის სიმაღლის ჩატინჩე ჩრდილოეთის კედელზე ლაშქრობა მიაჩნია. არც არის გასაკვირი, რადგან ჩატინზე გამავალი ოთხივე მარშრუტი მთამსვლელთა მიერ ურთულესადაა აღიარებული. ისინი, ვინც ურთულესი გზებით ასულან ალპების სახელგანთქმულ მწვერვალებზე ეიგერზე, გრანდ კაპუცინზე, პტი დრუზე, გრანდ ჟორასზე, აღიარებენ ჩატინის უპირატესობას.

ჩატინი უშბის გვერდით მდებარეობს. მის ჩრდილოეთ მხარეს მთამსვლელები გზას მიიკვლევენ ჯერ დიდი დახრილობის 200-მეტრიან ყინულოვან ფერდობზე, მერე 450-მეტრიან მთლად ვერტიკალურ პიტალო კლდეზე, ბოლოს კი მწვერვალის „სახურავზე" ასევე დიდი დახრილობის 500-მეტრიანი თოვლიანი ფერდობით გადიან. მთელი მარშრუტის საშუალო დახრილობა 83 გრადუსია. სავალს განსაკუთრებით ართულებს ისიც, რომ მას მთელი დღის განმავლობაში მზე სულ რაღაც 15-20 წუთით ადგება. ამიტომ მარშრუტი მთლად ჩაყინულია.

ბიძინა გუჯაბიძე თანაგუნდელებთან გავლილი მარშრუტებიდან ტექნიკური სირთულით ასევე გამოარჩევს შარშან ამერიკაში, ელ კაპიტანზე 1200 მეტრი სიმაღლის კლდის მონოლითურ მასივზე ასვლას, რამაც მას დიდი სიხარული და კმაყოფილება მიანიჭა.

მაგრამ ალბათ ვერ მოიძებნება მთამსვლელი, რომელსაც არ დადგომოდეს წუთი, როცა ეფიქროს, ოღონდ ახლა გადამარჩინა და მთისკენ აღარასოდეს გავიხედავო, თუმცა, სამშვიდობოს გამოღწეულს პირობა ავიწყდება და გული ისევ მიუწევს ჯოჯოხეთისაკენ, სადაც სამოთხეც ელოდება.

— რა თქმა უნდა, რაღაც ამდაგვარი გრძნობა მეც დამუფლებია. მაგრამ მთლად მასეც არ მითქვამს, ღმერთო, ოღონდ ახლა გადამარჩინე-მეთქი. გაჭირვებისას მიფიქრია, კარგი იქნებოდა, არ წამოვსულიყავი-მეთქი. ასე იყო, მაგალითად, შარშან უშბაზე ასვლის ცდის დროს. ამ მწვერვალზე შვიდი მარშრუტი გამივლია, მათ შორის ისიც, გაბრიელ ხერგიანის სახელს რომ ატარებს. ამ მარშრუტით მარტოდმარტო წავედი. სოლო ასვლის განხორციელება ძალიან მინდოდა, მაგრამ ნახევარზე მეტი რომ გავიარე, იძულებული გავხდი დავბრუნებულიყავი, მაგრამ ესეც ძნელი გამოდგა. საქმე ისაა, რომ უშბაზე, ისე როგორც მთელს კავკასიონზე და სხვაგანაც, გლობალური დათბობაა, მყინვარები უკან იხევენ და ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ საუკუნეების განმავლობაში თოვლით დაფარული კლდეები შიშვლდება, რაც მარშრუტს სრულიად ცვლის და ქვათაცვენის საშიშროებას ზრდის. ამიტომ უშბაზე ის მარშრუტი ველარც ვიცანი. სწრაფად და მსუბუქად რომ მევლო, არც წერაყინი წავიღე, არც წრიაპი, არც კარავი და საძილე ტომარა მხოლოდ ძირითადი თოკი მქონდა და რაკი მარტო ვიყავი, საკუთარ თავს თავადვე ვიცავდი ვარდნისაგან. ამიტომ ერთი და იმავე მონაკვეთის გავლა სამჯერ მიხდებოდა. ნახევარზე მეტი რომ გავიარე, საშინლად გაავდრდა. თოვა დაიწყო, ღამით საშინელი ყინვა იყო, დღისით ფრიალო კლდეზე აკრულს საშინელი ქვათაცვენა დამატყდა თავს. ისეთი ჯოჯოხეთი იყო, თითქოს იქაურობა ინგრევაო. თავი კლდის ნაპრალში სირაქლემასავით შევმალე, მაგრამ ტანი ხომ გარეთ დამრჩა. ერთი ქვა წამოკიდებულ ზურგჩანთაზე დამეცა და ლამის თან გადამიტანა. სიმწრისგან ავბლავლდი...

ბიძინას ნაამბობზე მამამისის ნათქვამი გამახსენდა, შვილისთვის მთაში სიარული არასოდეს დამიშლიაო. არა, იმიტომ კი არა, რომ არ იცის, თუ რა სახიფათო გზას ადგას შვილი, პირიქით, მაგრამ...

— ბიძინა ჯერ საპლანერო სპორტმა გაიტაცა, მაგრამ დავუშალე, მერე პარაშუტისტობა დაიწყო და ისიც დავუშალე. თავად მფრინავი გახლდით. ცხადია, პარაშუტითაც გადმოვმხტარვარ და ვიცი, რა ხათაბალა სპორტიცაა. მერე, მთაში რომ წავიდა, ხმა ველარ ამოვიღე, აბა, ყველაფერს ხომ არ დავუშლიდი? — გვიამბო ბიძინას მამამ, სერგო გუჯაბიძემ.

მაგრამ...

— მამაჩემს ჰგონია, რაკიღა საპლანერო სპორტსა და პარაშუტისტობას შევეშვი, მის ნებას დავყევი. ეს საქმე ახლაც მიტაცებს და ზოგჯერ პარაპლანით დავფრინავ, ენით აუწერელი სიამოვნებაა, მაგრამ ძვირი სიამოვნება გახლავთ. ამიტომაც ამ საქმეს ბოლომდე ველარ გავყევი, მთაში სიარულზე კი ბავშვობიდან ვოცნებობდი, თუმცა ალპინისტობაც კარგი ძვირი სიამოვნება გამოდგა...

მშობლის გულის ამბავი მოგეხსენებათ და, ვიფიქრე, ბიძინა თავის შვილებს ამგვარ სიამოვნებას მოაკლებს, ყოველმხრივ ეცდება, ისინი მთის სახიფათო ბილიკებს აცილოს-მეთქი, მაგრამ პირიქით — თურმე აიკრავს გუდა-ნაბადს, როგორც იტყვიან, დედაწულიანად აიყრება ხოლმე და ცოლთან და ოთხ შვილთან ერთად ტყე-ღრეში თუ მთაში საცალფეხო ბილიკებზე დადის. უფროსი შვილი, გიორგი ცამეტი წლისაა, უმცროსი, ალექსანდრე კი ხუთისა, თუმცა ერთისა იყო, როცა თავის პირველ ლაშქრობაში მამის მხრებზე შემოსკუპული წავიდა. ბიძინა შვილებს მთამსვლურ ტექნიკაში თურმე თავისივე კორპუსის კედელზეც ავარჯიშებს. ამ საქმეში მეზობელთა ბავშვებიც აუყოლებია და შეჯიბრებებსაც უმართავს. მეზობელთა ბავშვების მშობლები თავიანთ შვილებს რომ კედელზე აკრულებს ხედავდნენ, თავდაპირველად თურმე შიშით თვალებზე ხელს იფარავდნენ, ახლა კი ისე შეჩვევიან ამგვარ სანახაობას და ისე გათვითცნობიერებულან მეკლდეკრობის ტექნიკაში, რომ თავიანთ პირმშოებს ქვემოდან ამხნევებენ და კარნახობენ, ასე და ასე მოიქეცითო.

ბიძინას უბნის ბავშვები ლელვთახევის კლდეებზეც აუბლოტებია და ყაზბეგშიც წაუსხამს. ამბობს, უდროობასა და უსახსრობას რა ვუთხარა, თორემ ამ ბავშვებს გვერდიდან არსად მოვიშორებდიო. მთამსვლელები თუ არ დადგებიან, თავიანთ ქვეყანას უკეთ გაიცნობენ, შეიყვარებენ და ბუნების ზღაპრულ სილამაზეს იხილავენო.

ბიძინა გუჯაბიძე ცდილობს ამგარი მშვენიერება სხვებსაც დაანახოს ეკრანზე თუ ფოტოსურათებით — ის ხომ ფოტომოყვარულიც გახლავთ და მთებს ვიდეოფირზეც აღბეჭდავს. ამ საქმეში კი ისე დახელოვნებულა, ტიან-შანზე, ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე შვიდიათასიან მწვერვალ პობედაზე თანაგუნდელებთან ერთად ასვლა რომ გადაიღო, იმ ფილმმა წლეულს მოსკოვში გამართულ სამთო ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის განკუთვნილი პრიზი დაიმსახურა.

აი, ასეთია ბიძინა გუჯაბიძე რამდენიმე შტრიხით.

**ავთანდილ გურასაშვილი**

## ევერესტელები

**ამ რუბრიკით შემოგთავაზებთ წერილებს ჩვენს მთამსვლელებზე, რომლებმაც ჰიმალაიზე აღმართული დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (ჯომოლუნგმა, საგარმატხა) ორთავ მხრიდან წლეულს გაზაფხულზე დალაშქრეს.**

**12 მაისს მასზე ავიდნენ „კავკასია 99"-ის წევრი მთამსვლელები, 26-ში კი ევერესტზე პირველი ქართული ექსპედიციის მონაწილენი. ჩვენც ამ თანმიმდევრობით გაგაცნობთ იქ ამსვლელებს.**

# ჯვაროსანი



### ბიძინა გუჯაბიძე

დაიბადა 1959 წლის 17 დეკემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში. 1980 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპეციალობა — სამთო ინჟინერ-გეოლოგი. არის სამთო მეგზური.

მშობლიური კავკასიონის გარდა დალაშქრული აქვს ტიან-შანის, პამირის, კონკუნის, ჰიმალაის (აზია), ალპების (ევროპა) და ალიასკის (ჩრდილოეთ ამერიკა) მწვერვალები. დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტის გარდა დალაშქრული აქვს კიდევ ერთი რვაათასიანი დჰაულაგირი (1995 წ); დალაშქრული აქვს აგრეთვე ყოფილი სსრ კავშირის ყველა შვიდიათასიანი მწვერვალი: ლენინის (1987წ), კორჟენევსკაიას (1989-90წ), კომუნიზმის (1989წ ორჯერ), პობედასა და (1997წ), ხანთენგრის (ხუთჯერ. მათ შორის განახორციელა ჩქაროსნული ასვლა 4300 მეტრზე მდებარე საბაზო ბანაკიდან მწვერვალზე და უკან 15 საათში, რაც მსოფლიოში მეხუთე შედეგია) პიკები. ამ ასვლებისთვის მიენიჭა „თოვლის ჯიქის" ტიტული;

სხვა სასიმაღლო ასვლებიდან აღსანიშნავია ლაშქრობები მუსტაკატაზე (1994წ ორჯერ), მარქსის პიკზე (1984წ), ენგელსის პიკზე (1989წ), მწვერვალ რევოლუციაზე (1990წ) და მაკ კინლიზე (1996წ).

ამას გარდა განხორციელებული აქვს ოცამდე უმაღლესი კატეგორიის სირთულის ასვლა ტექნიკურ კლასში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩატინზე ჩრდილოეთის კედლით ასვლა, ლაშქრობა ელ კაპიტანზე და შვიდი სხვადასხვა გზით ასვლა უშბაზე.



ბიძინამ ვიდეოკამერა ევერესტზეც აიტანა



ბიძინა ხშირად თავს ანატრებს ოჯახს



ქვემოთ ბიძინაა, ზემოთ კი მისი ქალიშვილი ბაისო, რომელიც მამის კვალს მიუყვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიყვარული ტაბუს გარეშე

**20 წლის ამელი მორესმო წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი და მთელი საჩოგბურთო საფრანგეთის იმედია. თუმცა სპორტული მიღწევების გარდა დაკუნთული გოგო იმითაც გამოირჩევა, რომ თავის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციასა და გულის მურაზს — 31 წლის სანტროპელ რესტორნის მფლობელ სილვი ბურდონს არავის უმალავს.**

**ჟურნალ „პარი მატჩში“ გამოქვეყნებული ეს ინტერვიუც თავიდან ბოლომდე ამ ტაბუდადებულ და მტრისკარსსამყოფ თემას ეხება**



სიყვარული ამათაც უნდათ... ოჯახური იდილია: ამელი მორესმო (მარცხნივ), სილვი ბურდონი და დედამისი

**— ამელი, მატჩის დროს პირად ცხოვრებაზე თუ ფიქრობთ?**

*ამელი.* თითქმის არა. კორტზე, კომპენსაციის სახით, სილვის ყოფნას ყოველთვის ვგრძნობ.

**— ამ დროს კავშირი გაქვთ ერთმანეთთან?**

*სილვი.* ეს უფრო მზერით ხდება.

*ამელი.* და ჟესტებით, რომლებიც მე მეორე სუნთქვას მიხსნის. მძიმე სიტუაციაში მწვრთნელზე მეტად სილვის ვეძებ.

*სილვი.* იცით, ამ დროს მე ამელის რიტმით ვსუნთქავ, ყველა ქულაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური დატვირთვა ჩემზე სულაც არ მოდის, მატჩის შემდეგ გასავათებული ვარ-ხოლმე.

*ამელი.* სწორედ ამიტომ, მოგვიანებით ერთად ვთამაშობთ, რათა ცოტა სული მოითქვას.

*სილვი.* ეს მე სტრესისგან მათავისუფლებს. როდესაც მის თამაშს ვუყურებ, ძალიან ვღელავ და მეშინია.

**— რისი გეშინიათ?**

*სილვი.* წაგების. ეს სისულელეა, მხოლოდ ჩოგბურთის მატჩია, მაგრამ ძალიან მინდა, რომ მოიგოს.

**— ამელი, ლესბოსელობის საჯაროდ გაცხადებამ თქვენს თამაშზე რა გავლენა იქონია?**

*ამელი.* როგორც იქნა, გავთავისუფლდი. თუ ამჟამად კარგად ვთამაშობ, ეს სილვის დამსახურებაა. უკვე აღარ ვცრუობ, აღარავის ვემალები.

**— როგორ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?**

*ამელი.* ეს უფრო სილვის აზრი იყო.

*სილვი.* ჰო, უფრო მე მინდოდა, რომ ეს გაეკეთებინა. ვფიქრობდი, რომ უსიამოვნო ყურადღებასთან ერთად ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. ეს სხვებისგან გამოსარჩევად კი არა, სხვებივით ყოფნისთვის იყო საჭირო.

*ამელი.* ჩვეულებრივად ცხოვრება რომ შეგვძლებოდა.

**— სილვი, თქვენთვის ეს ჩრდილიდან გამოსვლის ერთგვარი საშუალება იყო, არა?**

*სილვი.* მართალია, მაგრამ მე შეიძლება ფსიქოლოგად, ან ამელის მასაჟისტად გამესაღებინა თავი და მაინც ყურადღების ცენტრში ვყოფილიყავი. მთავარი ის არის, რომ ჭეშმარიტება დაიკარგებოდა. ამელის ვუთხარი, რომ 31 წლის ასაკში ტყუილს არ დავიწყებდი. ამას ნურც ულტიმატუმად ჩათვლით და ნურც შანტაჟად, მაგრამ ეს რომ არ გაგვეკეთებინა, ურთიერთობის გაგრძელება გამიჭირდებოდა.

*ამელი.* სილვიმ ამის გაკეთება არ მიაძულა, თავადაც მსურდა და არც მიყოყმანია. ცოტა ძნელი კი იყო, თავს ვუთხარი, ყველაფერი სარისკიპოს დაემსგავსება-მეთქი. ვიფიქრე, რომ გაცხადება სხვებსაც დაეხმარებოდა. რა თქმა უნდა, არ მინდა, ვინმეთა ლოზუნგის მატარებელი ვიყო, გარდა შემწყნარებლობის მოთხოვნისა.

**— ადრე როგორ ცხოვრობდით, ამელი?**

*ამელი.* ამის შესახებ ახლობლების, მეგობრების გარდა არავინ იცოდა, ისიც მხოლოდ პარიზში.

**— თქვენს ინტერვიუებში ოჯახზე თითქმის არაფერს ამბობთ.**

*ამელი.* სხვა შემთხვევაში არც სილვიზე ვიტყოდი რამეს. მე არ მსურს, წარსულზე ვისაუბრო, მაგრამ ჩემმა ოჯახმა თავიდანვე იცოდა ყველაფერი.

*სილვი.* და მე სულაც არ ვყოფილვარ პირველი ქალი ამელის ცხოვრებაში, ეს უნდა აღვნიშნოთ.

**— როგორი იყო თქვენი მშობლების რეაქცია, რომლებიც ჩოგბურთის აკადემიაში სასწავლებლად წასულმა 11 წლისამ დატოვეთ?**

*ამელი.* არცთუ დადებითი. ისინი მორალურად შეზღუდულები არიან. მათ ჩოგბურთის თამაში დამანებეს, მაგრამ სხვა არაფრის გაგონება არ სურდათ.

**— მელბურნში წარმატებამ არაფერი შეცვალა?**

*ამელი.* არა. მხოლოდ ბებიამ დამირეკა. მას უკვე ერთი წელია, შვილიშვილის ამბის გაგება უნდოდა.

**— თქვენი შეხვედრა, როგორც გავიგეთ, საგანგებოდ ჩაფიქრებულ სადილზე მოხდა.**

*სილვი.* მე ჩვენს საერთო ნაცნობს, იზაბელ დემონჟოს ვთხოვე, ჩემთვის ამელი გაეცნო.

**— ამ დროს ორივენი თავისუფალი იყავით?**

*ამელი.* სრულიად. მაშინ არავისთან გვქონდა ურთიერთობა.

*სილვი.* ამელი პირველად ტელევიზიით დავინახე და მაშინვე მოვიხიბლე, რა ლამაზია-მეთქი.

**— რა იცოდით, რომ ამელი დაგთანხმდებოდათ?**

*სილვი.* ეჭვი კი მეპარებოდა, მაგრამ ასეთ რამეებს გული წინასწარ გრძნობს-ხოლმე.

*ამელი.* მან მერე მითხრა, რომ ჩემი ქარიზმით, აურით მოიხიბლა.

*სილვი.* მისი თამაშით მივხვდი, რომ დიდი შინაგანი ძალითა და იუმორით გამოირჩეოდა. მაგრამ როდესაც ერთმანეთს გაგვაცნეს, თვალი ავარიდე, რაც იშვიათად მემართება.

*ამელი.* მე კი მოგვიანებით ვკითხე, რატომ არ შემხედე-მეთქი. ეს ერთი ნახვით შეყვარება იყო, მის გარდა ვერავის ვამჩნევდი. სადილის შემდეგ ხალხი სწრაფად დაიშალა, ჩვენ კი დილის 7 საათამდე ვსაუბრობდით.

**— რაზე?**

*ამელი.* ყველაფერზე. მე საერთოდ საკუთარ თავში ჩაკეტილი პიროვნება ვარ და ხალხს იშვიათად თუ ვენდობი, მაგრამ ამჯერად ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო — მე მივეცი ამის საბაბი. ჩემი ძველი ურთიერთობები იმდენად სერიოზული არ ყოფილა, რომ მათზე საჯაროდ ვისაუბრო. სილვიმდე ძალიან მარტოსული ვიყავი, სპორტულ ინტერნატში მეგობრებიც კი არ მყავდა, რომლებსაც ყველაფერს გავანდობდი.

**— რამ გაგაძლებინათ?**

*ამელი.* ჩოგბურთმა, ოცნებამ. მაგრამ ახლა, როდესაც ყველაფერს ვიხსენებ, ვფიქრობ, რომ ბევრ რამეს სხვაგვარად გავაკეთებდი. მაგალითად, შინიდან ასე ადრე არ წავიდოდი. მშობლებმა მკითხეს, თავად მსურდა თუ არა გამგზავრება, მაგრამ, აბა, მაშინ რა ჭკუა მეკითხებოდა.

**— თქვენი შეხვედრის მეორე დღეს რა გეგმებით დაშორდით?**

*ამელი.* კონკრეტულად არაფერი დაგვითქვამს. ბერსიში უნდა მივსულიყავი, სადაც სილვი იყო.

*სილვი.* მაგრამ არ მოვიდა, დავურეკე და ცოტა მახვეწნინა, სანამ დამთანხმდებოდა.

**— სენ ტროპეში დასახლება როდის გადაწყვიტეთ?**

*ამელი.* ათ დღეში. მე პარიზში ვვარჯიშობდი, ამიტომ ერთმანეთს მხოლოდ თვითმფრინავით მგზავრობის შემდეგ რომ არ შევხვედროდით, არჩევანი უნდა გამეკეთებინა.

**— ჯერჯერობით ერთმანეთისთვის თეფშები არ გისვრიათ?**

*სილვი.* ჯერჯერობით არა.

*ამელი.* ო, არა. დილით ერთად ვდგებით, მე სავარჯიშოდ მივდივარ, შუადღით სილვის ბარ „გორილაში“ ერთად ვსადილობთ და ისევ ვშორდებით.

*სილვი.* საღამოობით „გორილას“ ვკეტავ და შინ ვსადილობთ, ანაც სადმე სხვაგან. ნორმალური ცხოვრებაა.

**— სილვის მშობლებთან შეხვედრამ როგორ ჩაიარა?**

*ამელი.* ძალიან კარგად. სასიამოვნოა, რომ ის, რაც ჩემს ოჯახში ვერ ვპოვე, მასთან მაინც არის.

**— სილვი, ამელის როგორ დაახასიათებდით?**

*სილვი.* ამას წინათ მას ვუთხარი, 31 წლის ვარ, ამდენივე დამჭირდა შენს სანახავად-მეთქი. ამელი ძალიან ერთგული ადამიანია, თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით. დარწმუნებული ვარ, ის ქვეყნის დასალიერშიც წამომყვება.

*ამელი.* ისევე, როგორც შენ. მე უფრო მშვიდი ვარ, სილვი — იმპულსური. სილვის ადრენალინი სჭირდება, რუტინა არ უყვარს. მე უფრო ნაკლებს გავცემ და მხოლოდ ჩოგბურთის კორტზე ვიხარჯები. დღეს ჩემს თამაშში მისი ზეგავლენაც იგრძნობა, სილვი ჩემი გამარჯვების 50 პროცენტია. კლასიფიკაციის მე-80 ადგილამდე ნიჭით ავწიე, მერე კი ყველაფერი ფსიქოლოგიაზეა დამოკიდებული, ცხოვრებაზე, სილვიზე. იგი მე მეხმარება, მხარს მიჭერს. ახლა არაფრის მეშინია, ადრე კი წინააღმდეგობებს, კომპლექსებს ვერიდებოდი.

**— მამაკაცების გვერდით თუ წარმოგიდგენიათ თავი?**

*ამელი და სილვი.* ჰეტეროსექსუალები რომ ვიყოთ, ამას შეგვეკითხებოდით?

**თარგმნა ავთანდილ სვანიძემ**

# გულის გამხარებლები

**საუკეთესოთა და ბევრის მომხვეჭთა ყოველთვიური ნუსხების გამოქვეყნება უკვე დიდი ხანია, ტრადიციად იქცა, მაგრამ დღევანდელ კლასიფიკაციასთან ყოველივე ამას არანაირი კავშირი არა აქვს**

არავისთვისაა საიდუმლო, რომ ჩოგბურთში ფორჰენდ-ბექჰენდის დარტყმისა და სწრაფი სირბილის გარდა, განსაკუთრებით დიაცებს, ლამაზი თვალების გამოც აფასებენ. რამდენი დიდი სლემის ტურნირიც უნდა მოიგოს ლინდსი დევენპორტმა და პირველი ჩოგნობაც არავის დაუთმოს, გაზეთების გარეკანზე მოხვედრისა და რეკლამისგან მიღებული მილიონების რაოდენობაში ანა კურნიკოვას ვერასოდეს გაეჯიბრება.

სწორედ ამიტომ ლამაზმანთა ჩვენებურ კლასიფიკაციას ჭიისა და თვალის გახარების გარდა ვინძლო ისედაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ქვემორე ნუსხა საფუძვლიანი სოციალური გამოკვლევისა (ნაცნობ-მეგობრების გემოვნება, სხვადასხვა ჩოგბურთელის თამაშზე რეაქცია) და უცხოური პრესის მასალების ხანგრძლივი შესწავლის შედეგადაა შედგენილი.

მაშ, ასე, „სარბიელის“ საუკეთესო ხუთეული ძველი, კაცური კრიტერიუმით — ხელ-ფეხ-ტან-პირი:

**1 ანა კურნიკოვა**

უნდა გითხრათ, რომ 18 წლის ლამაზმანის საუკეთესოდ მიჩნევას ყველა სულაც არ ეთანხმება. არგუმენტი, როგორც წესი, დაახლოებით ასე ჟღერს: „გადადი რუსეთში, იქ ყველა მეორე კურნიკოვაა“. მაგრამ რადგან 80 მილიონი რუსი ქალიდან ჩოგანს ყველაზე უკეთ სწორედ კურნიკოვა ხმარობს, ჰოკეის, ფეხბურთისა და რბოლის ვარსკვლავებსაც ის ახვევს თავბრუს და ათასგვარი ჟურნალის გარეკანზეც ამაყად იჭიმება, პირველ ადგილსაც სამართლიანად იმსახურებს.

თუ არ გჯერათ, ინგლისელ ბიჭებს ჰკითხეთ, უიმბლდონზე ანას მატჩების სანახავად 4-5 საათით ადრე რომ იკავებდნენ ადგილს და გადამყიდველებისთვის ბოლო ცენტსაც არ იშურებდნენ.

**2 მარტინა ჰინგისი**

სპორტის თვითმარქვია „სპაის გერლს“ აშარი ხასიათის გამო უამრავი კოლეგა ჰყავს მომდურებული, მაგრამ გიორგი დემეტრაძის არ იყოს, ბევრი ჩვენი თანამემამულე არ იტყოდა უარს, მისთვის გვერდი დაემშვენებინა.

**3 შტეფი გრაფი**

შტეფი ქულებს, ძირითადად, უფროსი ასაკის გულშემატკივართა სიმპათიებით იწერს. ჩოგბურთის ბარბარა სტრეიზანდს ცოტა მოზრდილი ცხვირი კი უფუჭებს რეიტინგს, მაგრამ ტანფეხით თავისზე ორჯერ უმცროს კოლეგებსაც არ ჩამოუვარდება. ამაში „სპორტს ილუსტრეიტედიდან“ გადმობეჭდილი სურათიც დაგარწმუნებთ, რომელშიც დიდი გერმანელი ბიკინის კოლექციას უკეთებს რეკლამას.

**4 მარი პირსი**

სამი-ოთხი წლის წინ ტანმშვენიერი მარი ჩვენს სიაში უეჭველად პირველ ადგილზე მოკალათდებოდა, მაგრამ როგორც იტყვიან, დრონი მეფობენ და არა მეფენი. პირსს ჩვენ იმაში მოვდებთ შარს, რომ ბოლო ხანებში კრეატინით ხელ-ფეხზე ლამის მკერდისოდენა კუნთები დაიბერა, სახეზე კი გარდატეხის ასაკის მუწუკები ვერაფრით მოიშორა.

**5 დომინიკ ვან რუსტი და ოლგა ბარაბანშიკოვა**

კლასიფიკაციით მეხუთე დიაცის დასახელება ძალიან გაჭირდა, რაც ამ მხრივ დღევანდელ ქალების ჩოგბურთში სავალალო სიტუაციის საქმეა. დიდი განსჯის შედეგად ჩვენი ყურადღების ღირსად ორნი — ჩია დომინიკ ვან რუსტი და ბელარუსი ოლგა ბარაბანშიკოვა მივიჩნიეთ, თუმცა უფრო უპრიანი იქნებოდა, ბარაბანშიკოვას ტანისთვის ვან რუსტის თავი დაგვედგა.

ბოლოს კი ინგლისურ „სანში“ გამოქვეყნებული ანალოგიური გამოკითხვის შედეგებსაც შემოგთავაზებთ. პირველ ადგილზე უდიდესი უპირატესობით ანა კურნიკოვა გავიდა, მეორეზე — მარი პირსი, მესამეზე კი (აუხსნელად და ულოგიკოდ) — ხორვატი მირიანა ლუჩიჩი.

**ავთანდილ სვანიძე**



ანა კურნიკოვა



მარტინა ჰინგისი



შტეფი გრაფი

# წმინდასისხლიანთა ტური




ტურმა ისტორიას — ვიქტორ ჰიუგოსგან ნაქებ ამიენის საკათედრო ტაძარს ჩაუქროლა

სპრინტების დიდოსტატმა, იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ „ტურ დე ფრანსის" მეხუთე ეტაპიც მოიგო. ფინიშის ხაზზე მან ბელგიელ ტომ სტეელსს აჯობა და ახლა მასავით ორი მოგებული ეტაპით იწონებს თავს, მთლიანად „ტურზე" კი, სადაც მეშვიდედ მონაწილეობს, უკვე ათჯერ გაუმარჯვია ასეთ სპრინტში.

გზის ბოლო 1700 მეტრი სწორი მონაკვეთი იყო. პირველად პეპელათაგან გერმანელმა ერიკ ზაბელმა შეუტია, მაგრამ მოჩქარეს დაუგვიანდესო, ხომ გაგიგიათ და „ტელეკომის" ლიდერიც მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა. საერთო ჩათვლაში ლიდერის ყვითელ მაისურას კი კვლავინდებურად ესტონელი იან კირსიპუუ ჩაიცვამს დღევანდელ ეტაპზე. კაზინოელმა თავისი მესამე ადგილით 8 პრემიალური წამი მოიპოვა.

„კარგი სპრინტი გამოვიდა. ოდნავი აღმართი იყო. ჯერ შირეამ, შემდეგ კი ფანინიმ მშვენივრად გამომაქანეს, თუმცა ზაბელის შეტევამდე თავის შეკავება შევძელი. როცა მან აუჩქარა, მეც იგივე გავაკეთე, ოღონდ გზის მეორე მხარეს" — ახსნა თავისი გამარჯვების მომენტი „ჩიპომ", რომელმაც მეტოქეებს იმდენად აჯობა, რომ სანამ ფინიშის ხაზს გადაკვეთდა, ხელების აწევაც მოასწრო და მოწინააღმდეგეებისკენ მოხედვაც.

ბონევალი ახალი მოტოვებული ჰქონდათ მრბოლელებს, ფრანგი ჟეკი დიურანის და ბელგიელი ტიერი მარიშალის ინიციატივით ათკაციანი ჯგუფი რომ გამოეყო პელოტონს. მათ ექვსწუთიანი უპირატესობის (58-ე კილომეტრზე) მიღწევაც შეძლეს, მაგრამ შემდგომ პოზიციები დათმეს. 169-ე კილომეტრზე კი პელოტონს შეერთების არმსურველმა, „მთის მეფის" კოპლებიანმაისურიანმა მარიანო პიკოლიმ (იტალია) ჰოლანდიელი ლეონ ვან ბონი და მარიშალი აიყოლია და 7 თანალტოლვილი ჩამოიტოვა. მერე კი აქამდე მთავარ ჯგუფში მყოფმა შვედმა მაგნუს ბაკსტედტმა შეუტია ფრანგი კარლოს და კრუზის თანხლებით. სკანდინაველის დაწევა პელოტონმა მხოლოდ ფინიშამდე 6 კმ-ით ადრე შეძლო.

„პროლოგის წინ აღებულ ანალიზებში არც ერთი აღმოჩნდა დოპინგიანი. ასე რომ, შეგვიძლია განვაცხადოთ — ყველა მრბოლმა სტიმულატორების გარეშე დაიწყო „ტური" და იმედია, ასევე დაამთავრებს" — უთხრა ჟურნალისტებს ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა ჰეინ ვერბრუგენმა.

**გაიოზ თალაკვაძე**

### მეხუთე ეტაპი

ბონევალი — ამიენი, 233,5 კმ

1 მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) — 5 სთ 36 წთ 28 წმ
2 ტომ სტეელსი (ბელგია, მაპეი)
3 იან კირსიპუუ (ესტონეთი, კაზინო)
4 რობი მაკიუენი (ავსტრალია, რაბობანკი)
5 ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
6 სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი)
7 ნიკოლა მინალი (იტალია, კანტინა ტოლო)
8 კრისტოფ კაპელი (საფრანგეთი, ბიგ მატი)
9 დამიენ ნაზონი (საფრანგეთი, ფრანსეზ დე ჟო)
10 იან სვორადა (სლოვაკეთი, ლამპრე) — ყველას იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1 იან კირსიპუუ — 22 სთ 47 წთ 00 წმ
2 ტომ სტეელსი — +17 წმ
3 სტიუარტ ოგრედი — +24
4 ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — +32
5 მარიო ჩიპოლინი — +32
6 ერიკ ზაბელი — +40
7 აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +43
8 ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, პოსტალი) — +46
9 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) — +47
10 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, კაზინო) — +53




## ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია

### მეოთხე ეტაპი. ბონევალი — ამიენი



ბონევალი — მშვენიერი ბუნება და ადამიანის ხელით შექმნილი არანაკლებ საუცხოო ქმნილებები გამოარჩევს მას. დიდებული კათედრალები და ულამაზესი ციხესიმაგრე ბონევალის მთავარი სიამაყეა. „საფრანგეთის სხვენის", რაბლესა და მარსელ პრუსტის მშობლიური მხარის ბოსის შუაგულში მდებარე ამ კოხტა ქალაქს შთაუგონებია ემილ ზოლასთვის ჩინებული ნაწარმოები „დედამიწა" შეიქმნა.



ამიენი — ფრანგული ისტორიული რომანების მოყვარულნი ხშირად ამოიკითხავენ ალექსანდრე დიუმას, მორის დრუიონისა და სხვათა წიგნებში სიტყვა „პიკარდიას". სწორედ ამ ფრანგული დეპარტამენტის დედაქალაქში დაამთავრეს ველოსიპედისტებმა გუშინდელი რბოლა. „უბრწყინვალესია" — შესძახა დიდმა ფრანგმა მწერალმა ვიქტორ ჰიუგომ ამიენის კათედრალის დანახვისას. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ეს 112-მეტრიანი (საფრანგეთში ყველაზე მაღალი) ტაძარი, უეჭველად დაეთანხმება „საბრალონის" ავტორს.

## ტურის ლეგენდები

1910 წელი

### გამარჯვებული ოქტავ ლაპიზი




1910 წლის „ტური" პირველი იყო, როცა თანამოაზრის ალფონს სტეინეს დაჟინების შემდეგ „ტურ დე ფრანსის" სულისჩამდგმელმა, გაზეთ „ოტოს" მთავარმა რედაქტორმა ანრი დეგრანჟმა გადაწყვიტა, რამდენიმე ეტაპს პირინეის უღელტეხილზეც გაევლო. წლის დამდეგს, იანვარში გზის „დასაზვერად" საფრანგეთის სამხრეთში მდებარე მთებში თავად სტეინე გაგზავნეს. თოვლიანი მწვერვალების მონახულება მას კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა, მაგრამ ამის შესახებ არც დეგრანჟს და არც სხვა ვინმეს არაფერი გაუგიათ. თუმცა პრესამ, ეტყობა, რაღაც მაინც „იყნოსა" და გაზეთებმა კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს თავს ამ „სახიფათო" და „უაზრო" წამოწყებას.

პირველი პირინეული ეტაპის სტარტის წინ ორგანიზატორები პანიკამ მოიცვა. მრბოლელებს ოთხი უღელტეხილი უნდა დაეძლიათ. დეგრანჟმა, როგორც შემდეგ განაცხადა, იფიქრა, ადამიანის შესაძლებლობებზე ნამდვილად გაზვიადებული წარმოგენა შევიქმენიო, სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდა და „ტურიც" მიატოვა.

ეტაპი ძალიან ცოტა მოსეირისა და გულშემატკივრის თვალწინ ჩატარდა. ხალხის სიმცირე იმან განაპირობა, რომ მთებში ვერც მანქანები ადიოდნენ და იქ ფეხით მოსიარულეებსაც უჭირდათ აღწევა. პირველი შეტევა „ხუჭუჭა" ოქტავ ლაპიზმა განახორციელა. პედლების ტრიალისა და სირბილის მონაცვლეებით მან თითქმის ყველა მოწინააღმდეგე ჩამოიტოვა, მხოლოდ ბეარნელმა ლაფურკადმა, რომელიც მშვენივრად იცნობდა მშობლიურ მთებს, შეძლო მისი გასწრება ბოლო უღელტეხილზე.

„ხუჭუჭა" იმითაც იყო ცნობილი, რომ ცხვირის ჩამოშვება და უიმედოდ ყოფნა არ სჩვეოდა. მწვერვალზე მან „ოტოს" მანქანა შენიშნა და ტუჩზე დორბლმორეულმა გესლიანად ისროლა შიგ მსხდომთა გასაგონად: „მკვლელებო". თუმცა არაქათგამოცლილი ლაპიზი თავდაღმართზე ლაფურკადის დაეწია, გაუსწრო კიდეც და ეს უძნელესი ეტაპი მისი გამარჯვებით დასრულდა პატარა ქალაქ ბეიონში.

საერთო ჩათვლაში კი, რომელიც მაშინ დროის კი არა, ქულების პრინციპზე იყო აგებული, ლიდერობას „გოლიათი" ფრანსუა ფაბერი ინარჩუნებდა. პარიზამდე დარჩენილი ბოლო ოთხ ეტაპზე ამ ორ უძლიერეს მრბოლს შორის ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა, რომელიც ხუჭუჭთმიანი ლაპიზის გამარჯვებით დამთავრდა.

ყველას ეგონა, რომ ამორი ველომრბოლის დამარცხება არავის და არაფერს ძალუძსო, მაგრამ... ოქტავ ლაპიზი, სამხედრო პილოტი, 1916 წელს დაიღუპა საჰაერო ბრძოლაში. ფრანსუა ფაბერი, რომელიც საფრანგეთის „უცხოურ ლეგიონში" ირიცხებოდა (ის ხომ ლუქსემბურგელი იყო), 1915 წელს მტრის ტყვიამ შეიწირა — იგი მაშინ წამოეწია, ფაბერს, როცა მარტოს და უიარაღოს ბრძოლის ველიდან დაჭრილი მეგობარი გამოჰყავდა...

**გაგი გურული**

# ონსე: ეცადნენ და ვერ გასვარეს



ვერმოკვეთილი მანოლო საისი

ესპანური „ონსეს" სპორტული დირექტორი მანოლო საისი იმავდროულად პროფესიონალ ველოსიპედისტთა ჯგუფების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტიცაა. შარშან მისმა გუნდმა სკანდალებით „დახუნძლული" „ტურ დე ფრანსი" მაშინ მიატოვა, როცა მრბოლლები საფრანგეთის მეზობელი შვეიცარიის ტერიტორიაზე იყვნენ გადასულნი (ხანდახან საზღვრის „დარღვევებს" ეტაპთა მარშრუტები იწვევს). თავად საისმა კი უხეში სიტყვებით გამოლანძღა „ტურის" ორგანიზატორები.

წლეულს, 16 ივნისს, „ტურის" ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ მანოლო საისს მათ მიერ გამართულ შეჯიბრზე არ დაუშვებდნენ, ისევ როგორც იტალიური „პოლტის" წევრ ფრანგ რიშარ ვირანკს. თუმცა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტის ჰეინ ვერბრუგენის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ეს აკრძალვა გაუქმდა და მანოლო საისიც ამჟამად თავის გუნდთან ერთად საფრანგეთშია. ახლა კი გთავაზობთ მანოლო საისის ინტერვიუს, რომელიც ფრანგულ გაზეთ „ლე მონდში" დაიბეჭდა.

**— ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სხვა ქვეყნებში, მაგალითად ესპანეთში, დოპინგს ნაკლებად ებრძვიან, ვიდრე საფრანგეთში...**

— ეს არაა მართალი. ესპანეთისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა. უბრალოდ, საფრანგეთში ამაზე გაცილებით ხმამაღლა ლაპარაკობენ. ჩვენთან და თითქმის მთელს მსოფლიოში შედარებით მიზანმიმართულად ვუტევთ დოპინგს. აქ აჩქარება არ შეიძლება. იმას არ უნდა მივცვივდეთ, ვინც პირველი იტყვის, გამოსავალი ვიპოვეო. ვინც ყველაზე მეტს და ყველაზე ხმამაღლა ყვირის, ყოველთვის მართალი როდია.

**— ამ ბრძოლაში რომელ ტაქტიკას ანიჭებთ უპირატესობას, საფრანგეთის თუ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირისას?**

— ვსკ-მ სწორი გზა აირჩია. საფრანგეთს რამდენიმე კარგი იდეა აქვს, მაგრამ სხვებს თავზე არ უნდა მოახვიოს. „ონსე" თერთმეტი წლის წინ შეიქმნა და ამ დროის მანძილზე ბევრი რამ გააკეთა დოპინგის წინააღმდეგ, მაგრამ სხვები არ დაგვივალდებულებია, იგივე გაემეორებინათ. საფრანგეთმა თავი დანარჩენებზე უკეთესად არ უნდა ჩათვალოს, თუნდაც იმიტომ, რომ დოპინგთან დაკავშირებით ყველაზე მეტი პრობლემები სწორედ მას აქვს.

**— რით ახსნით, რომ თქვენი გუნდის წევრი ფრანგი ლორან ჟალაბერი ესპანეთში დოპინგ-კონტროლს გადის, საფრანგეთში კი იგივეს გაკეთებაზე უარს აცხადებს?**

— უბრალოდ, მის სამშობლოში უკვე ყველაფერია მოსალოდნელი, შეიძლება ძალით ჩააფლავებინონ დოპინგ-ტესტი. ხშირად მითქვამს და ვიმეორებ, ფრანგ მრბოლთაგან ყველაზე სუფთა ლორან ჟალაბერია. რაც შეეხება „ონსეს", მისი არსებობის მანძილზე არც ერთი მისი წევრი არ გამოუჭერიათ ამ საქმეში.

**— თქვენმა ყოფილმა წევრმა, შვეიცარიელმა ალექს ცულემ განაცხადა, რომ დოპინგს ონსელებიც იყენებდნენ.**

— არ მაინტერესებს, რა თქვა ცულემ. დოპინგს იყენებო, მაშინ შეუძლიათ გითხრან, როცა გამოგიჭერენ, მანამდე კი სუფთა ხარ. კიდევ გავიმეორებ, „ონსეს" არც ერთი წევრისთვის არ დაუბრალებიათ სტიმულატორების მიღება, სხვები კი ბლომად ჩაცვივდნენ. ცულემ რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს, ჩირქს ვერ მოგვცხებს.

**— საერთოდ, რას ფიქრობთ დოპინგზე?**

— მიმაჩნია, რომ მისი გამოყენება ეთიკური და მორალური ნორმების დარღვევაა.

**— ხომ არ აჯობებდა მისი ლეგალიზება?**

— არავითარ შემთხვევაში, ეს უპასუხისმგებლო ნაბიჯი იქნება. თუმცა ზოგიერთი წამლის ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების უკეთ შესწავლაა საჭირო. მაგალითად, ეფედრინი სტიმულატორად ითვლება, მაგრამ გრიპის საწინააღმდეგო უებარი საშუალებაა. როცა გავცივდებით, ჩვენ მას ვსვამთ, სპორტსმენებს კი აკრძალული აქვთ. მგონი, ეს უსამართლობაა.

**— წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" „სუფთად" ჩათვლა თუ შეიძლება?**

— „ონსე" სუფთაა და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ასეთად დარჩეს. რაც შეეხება დანარჩენ მრბოლებს, ვთვლი, რომ მათი 90 პროცენტი, უფრო სწორად 99 პროცენტიც, ასეთივეა.

**„ლე მონდიდან" თარგმნა გაგი გურულმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მწვანე მილიონი შავ-თეთრი შვიდეულისთვის

IAAF-ის პრეზიდენტ პრიმო ნებიოლოს მიერ „ოქროს ლიგის“ შვიდშეჯიბრა ტურნირისთვის ნაფეშქაშევი მილიონი დოლარისთვის მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნებმა დიდი ბრძოლა გააჩაღეს. გუშინწინ ჯანმაგარი და სწრაფი გოგო-ბიჭები მარადიულ ქალაქ რომში შეიკრიბნენ „ოქროს ლიგის“ მეორე ეტაპზე საასპარეზოდ. თავიდანვე გეტყვით, რომ მილიონისთვის მებრძოლთა რიგებს მხოლოდ შვიდი ათლეტი შემორჩა. ვიდრე მათზე და საერთოდ შეჯიბრზე მოგითხრობდეთ, მანამდე ერთ მძლეოსანზე გამორჩეულად ვთქვათ — მაროკოელ ჰიშამ ელ გურუჯიზე.

ელ გურუჯი რომის ოლიმპიურ სტადიონზე ერთმილიან დისტანციაზე ასპარეზობდა, ეს დისციპლინა „ოქროს ლიგის“ პროგრამაში არ შედის, მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი ამბავი სწორედ აქ და სწორედ ჰიშამ ელ გურუჯს უკავშირდება. საქმე ისაა, რომ მაროკოელმა სახელოვანი ალჟირელის ნურედინ მორსელის მიერ ექვსი წლის წინ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი დაამხო. არადა, თავიდან კენიელმა ნოა ნგუნიმ მეტოქეები და მათ შორის, ელ გურუჯიც უკან მოიტოვა და ნგუნის მაცქერალი კაცი იფიქრებდა — წინ ვინლა დაუდგებაო, მაგრამ ბოლო წრეზე ელ გურუჯიმ ნგუნის კენიური გენიდან ალარაფერი დატოვა. ნოას ზედ ფინიშის ხაზთან გაასწრო და 3.43,13 წუთით მსოფლიოს ახალი რეკორდსმენიც შეიქნა. ნოა ნგუნის კი ისლა დარჩა ნუგეშად, რომ მისი 3.43,40 წუთი მსოფლიოს რეკორდის მერე მეორე შედეგია.



ჰიშამ ელ გურუჯის ამაყი ფინიში

აქვე გეტყვით, რომ ჰიშამ ელ გურუჯისთვის რომის ოლიმპიური სტადიონის ბილიკებზე სარეკორდო გარბენი უცხო ხილი სულაც არ გახლავთ — შარშან 1500 მეტრზე მაროკოელმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ახლა კი თვალი გადავავლოთ ბოლო ათწლეულში ერთ მილზე მორბენალ რეკორდსმენთა ნუსხას:

| | |
|---|---|
| 17.07.79 | სებასტიან კოე (ბრიტანეთი) — 3.48,95 |
| 1.07.80 | სტივ ოვეტი (ბრიტანეთი) — 3.48,80 |
| 19.08.81 | სებასტიან კოე — 3.48,53 |
| 26.08.81 | სტივ ოვეტი — 3.48,40 |
| 28.08.81 | სებასტიან კოე — 3.47,33 |
| 27.07.85 | სტივ გრემი (ბრიტანეთი) — 3.46,32 |
| 5.09.93 | ნურედინ მორსელი (ალჟირი) — 3.44,39 |

ალაჰი შეეწიოს ჰიშამ ელ გურუჯის და მის რეკორდს, ჩვენ კი „ოქროს ლიგის“ რომაულ ტურნირს დავუბრუნდეთ და დონ პრიმოს ფეშქაშის მოცილეებზე დაწვრილებით ვთქვათ.

აკი გითხარით, მილიონის მაძიებელი შვიდი მძლეოსანი შემორჩაო. ამათგან უპირველესი კი ამერიკელი შავი ლამაზმანი მარიონ ჯონსია. მარიონმა ოსლოს „ბიშლეტის“ ბილიკებზე ხომ გაინავარდა, რომშიც იამაიკელ ბევერლი მაკდონალდსა და თვისტომ ინგერ მილერს ჩაურბინა და 22,19 წამი, სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა. ამერიკელი, 110 მეტრზე წინაღობებით მორბენალი ალენ ჯონსონი რომ წლეულს ამბიციურმა და ბევრის შემძლე თანამემამულემ ლარი უეიდმა გააწამა, ამაზე არაერთხელ გაცნობეთ. თუმცა, ვერც ოსლოში, ვერც რომში დაულვინებელმა ლარიმ ძმარდაკარგულ ალენს ვერ აჯობა, ეტყობა, ჯონსონის გამოცდილებაა ყურადსაღები და ამ შემთხვევაში, არც მილიონი თამაშობს ეპიზოდურ როლს.

სკანდინავიელი ზანგი, მალარიამორჩენილი უილსონ კიპკეტერი, რომელსაც კიოლნში 1997 წელს მის მიერვე დამყარებული რეკორდის გაუმჯობესება აქვს გულში ამოჭრილი, მართალია, რომში რეკორდს ვერ შეწვდა, მაგრამ კენიელ იაფეტ კიმუტაის და სამხრეთაფრიკელ ეზიკიელ სეპენგის 800 მეტრზე შანსი არ დაუტოვა და მილიონის მაძიებელთა შორის უპირველეს ფავორიტად რჩება.

ტრავმამოშუშებულმა და ჯანზემოსულმა სვეტლანა მასტერკოვამ რომ დაიქადნა, „ოქროს ლიგას“ აუცილებლად მოვიგებო, ეტყობა, იმედიც აქვს. მასტერკოვამ რომშიც ოსტატურად ირბინა 800 მეტრი, 1.57,63 წუთით იმარჯვა და ჯერჯერობით „ოქროს ლიგის“ ჯეკ-პოტის მოგების რეალური კანდიდატია.

ცისფერთვალება რუმინელი გაბრიელა საბოც ისე აბრიალებს თვალებს, აშკარაა, ამდენ მწვანეს არავის დაუთმობს და 3000 მეტრზეც ისე დარბის, მისი დამწევი ამ ბოლო დროს არავინ ჩანს. გაბრიელამ რომშიც ყველას აჯობა და 8.27,79 წუთით რომაული ოქროც ირგუნა.

კენიელ ბერნარდ ბარმასაის მილიონისკენ სავალ გზაზე არამარტო მეტოქეების წინააღმდეგობის დაძლევა უწევს, არამედ 3000 მეტრ დისტანციაზე განლაგებული წინაღობების გადალახვაც. ბარმასაიც არც მეტოქეს უფრთხის და არც ათასგვარ წინაღობას, თავის კენიურ კანჭებს ისე იქნევს, უბრალო დაბრკოლება რაა, უფრო რთულსაც გადაახტება...

კენიაში პატივცემულმა ბერნარდმა რომშიც რომ იყოჩაღა და 8.04,30 წუთში 3000 მეტრზე დაგებული ყველა „ხაფანგი“ უსაფრთხოდ გადალახა.

შვიდ მაძიებელთაგან ბოლოს ამერიკელ სიგრძეზე მხტომელ ერიკ უალდერზე ვთქვათ. 8.18 მეტრი — მაიკ პოუელი ალბათ სიცილით მოკვდებოდა, მაგრამ ერიკმა მილიონისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ: ოსლოში მოიგო, რომშიც მოიგო, თუ ასე გააგრძელა...

ერთი სიტყვით, მარიონ ჯონსი, ალან ჯონსონი, უილსონ კიპკეტერი, სვეტლანა მასტერკოვა, გაბრიელა საბო, ბერნარდ ბარმასაი, ერიკ უალდერი — სამი ქალი და ოთხი კაცი — მილიონის მაძიებელთა შვიდეული.

**სოსო ძოწორეიშვილი**



მარიონ ჯონსის (8) დამწევი ქალი არ არის

## „ოქროს ლიგა“. II ეტაპი რომი. ოლიმპიური სტადიონი

### ქალები:

200 მ
1. მარიონ ჯონსი (აშშ) 22.19 წმ
2. ბევერლი მაკდონალდი (იამაიკა) 22.41
3. ინგერ მილერი (აშშ) 22.44

400 მ. წინაღობებით
1. ნეზა ბიდოუანე (მაროკო) 53.05 წმ
2. იონელა ტირლეა (რუმინეთი) 53.25
3. ტატიანა ტერეშჩუკი (უკრაინა) 53.95

800 მ
1. სვეტლანა მასტერკოვა (რუსეთი) 1.57,63 წთ
2. ჰაზა ბენჰაზი (მაროკო) 1.58,06
3. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 1.58,31

3000 მ
1. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 8.27,79 წთ
2. სარა გუაზიზი (მაროკო) 8.28,72
3. გეტე ვამი (ეთიოპია) 8.29,72

სიმაღლეზე ხტომა
1. ელენა ელესინა (რუსეთი) 2 მ
2. მონიკა იაგარ-დინესკუ (რუმინეთი) 1.94
3. ტიშა უოლერი (აშშ) 1.94

სამხტომი
1. პარასკევი ციამიტა (საბერძნეთი) 14.77 მ
2. ოლგა-ანასტასია ვასდეკი (საბერძნეთი) 14.47
3. ელენა გოვოროვა (უკრაინა) 14.26

### კაცები:

100 მ
1. მორის გრინი (აშშ) 9.85 წმ
2. დენის მიტჩელი (აშშ) 10.03
3. ბრაიან სურინი (კანადა) 10.04

110 მ. წინაღობებით
1. ალენ ჯონსონი (აშშ) 13.01 წმ
2. მარკ გრირი (აშშ) 13.08
3. ლერი უეიდი (აშშ) 13.11

200 მ
1. მაიკლ ჯონსონი (აშშ) 19.99 წმ
2. ობადელე ტომპსონი (ბარბადოსი) 20.12
3. ატო ბოლდონი (ტრინიდადი) 20.14

800 მ
1. უილსონ კიპკეტერი (დანია) 1.42,79 წთ
2. იაფეტ კიმუტაი (კენია) 1.42,98
3. ეზეკიელ სეპენგი (ს. აფრიკა) 1.44,19

3000 მ. წინაღობებით
1. ბერნარდ ბარმასაი (კენია) 8.03,30 წთ
2. პოლ კოსგეი (კენია) 8.07,95
3. ელარბი ჰატაბი (მაროკო) 8.09,03

5000 მ
1. დანიელ კომენი (კენია) 12.55,16 წთ
2. პოლ ტერგატი (კენია) 12.55,37
3. სალაჰ ჰისოუ (მაროკო) 12.55,39

სიგრძეზე ხტომა
1. ერიკ უალდერი (აშშ) 8.18 მ
2. იუნეს მუდრიკი (მაროკო) 8.03
3. ჯეიმს ბეკფორდი (იამაიკა) 7.99

ბადროს ტყორცნა
1. ენტონი ვაშინგტონი (აშშ) 66.40 მ
2. იურგენ შულტი (გერმანია) 66.34
3. ჯონ გოდინა (აშშ) 66.00

შუბის ტყორცნა
1. კოსტას კატციუდისი (საბერძნეთი) 86.92 მ
2. სერგეი მაკაროვი (რუსეთი) 85.74
3. რაიმონდ ჰეჩტი (გერმანია) 83.95

ჭოკით ხტომა
1. მაქსიმ ტარასოვი (რუსეთი) 5.90 მ
2. დმიტრი მარკოვი (ავსტრალია) 5.80
3. ნიკ ჰუსონგი (აშშ) 5.80



# სნაიპერმა არც ამჯერად ააცილა: პრეზიდენტს დაეჯახა

**ამ დღეებში თავისუფალი აგენტების ბაზარზე ვაჭრობა დაიწყო. მდიდარმა რეინჯერსმა პირველი ტრანსფერიც განახორციელა**

### რეინჯერსი იწყებს: კამენსკი, ქინტალი...

ნიუიორკული კლუბისთვის, რომელიც ზედიზედ ორი სეზონია, პლეი ოფს მიღმა რჩება, ახალი დროება დაიწყო. პირველი ნაბიჯი გადადგმულია. მართალია, „რეინჯერებმა“ ყველაზე სასურველი ჰოკეისტი ვერ გადაიბირეს, მაგრამ ერთბაშად ორ ცნობილ თავისუფალ აგენტთან — კოლორადოელ ფორვარდ ვალერი კამენსკისა და მონრეალელ მცველ სტეფან ქინტალთან გააფორმეს კონტრაქტი.

ხელშეკრულების დეტალები უცნობია. ეს ორი მოთამაშე სააგენტო CBS-ის მიერ შედგენილ შეუზღუდავ აგენტთა საუკეთესო ათეულში შედიოდა. კამენსკის შარშან 1,9 მილიონს, ხოლო ქინტალს 900 000 დოლარს უხდიდნენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რეინჯერსი ლიგაში ერთ-ერთი უმდიდრესი გუნდია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომდევნო სეზონში ორივე ჰოკეისტის ხელფასი დაახლოებით გაორმაგდება. აშკარად კრიზისში მყოფი ნიუიორკული კლუბისთვის ეს ორი მოთამაშე სერიოზულ ძალას წარმოადგენს, განსაკუთრებით კამენსკი. სპეციალისტების აზრით, რეინჯერსს ბოლო ხანებში სწორედ მძლავრი და ათლეტური, გამტანი ფორვარდი აკლდა, რომელიც „დიად“ უეინ გრეცკის გვარიანად დაეხმარებოდა. სამწუხაროდ, გრეცკი წავიდა, თუმც კლუბს კიდევ ერთი მაღალი კლასის გამთამაშებელი ჰყავს — პეტერ ნედველი. მისი და კამენსკის წყვილი შეიძლება მრისხანე ძალად იქცეს. შეგახსენებთ, რომ კამენსკის, რომელმაც ტრავმის გამო ჩემპიონატში მხოლოდ 65 მატჩი ითამაშა და 44 (14+30) ქულა მიითვალა, პლეი ოფის მეორე რაუნდში, დეტროიტთან სერიაში თავისი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის. თავის რვაწლიან ნჰლ-ურ კარიერაში რუსს საშუალოდ სეზონში 27 გოლი გაჰქონდა, რაც საკმაოდ მაღალი შედეგია.

სტეფან ქინტალი, გასულ სეზონში მონრეალის საუკეთესო მცველი, ნიუიორკელთა დაცვის ხაზს უეჭველად გააძლიერებს. თუმც, რეინჯერსი ამით არ დაკმაყოფილდება — მისი მთავარი ამოცანა კოლორადოელი ტეო ფლერის შეძენაა.

### სელიანე გადარჩა?

ანაჰაიმის სუპერფორვარდ ტეემუ სელიანეს კარგი მანქანებისადმი გატაცებას გასული კვირის ბოლოს ლამის საშინელი ტრაგედია მოჰყვა. მშობლიურ ფინეთში დასასვენებლად მყოფი ნჰლ-ის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი 140 კმ/სთ სიჩქარით მიქროდა, როცა წინ მიმავალ ავტომობილს შეეჯახა, რომელშიც ფინეთის პარლამენტის წევრი და ამასთანავე ქვეყნის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი კალევარო კუმოლა იმყოფებოდა.

სელიანე არ დაშავებულა, კუმოლა კი მსუბუქი დაზიანების გამო საავადმყოფოში მოათავსეს.

ჰოკეისტმა აღიარა, რომ დამნაშავე თავად იყო, თუმც ამ განცხადებით პასუხისმგებლობას თავიდან ვერ აიცილებს.

აღსანიშნავია, რომ ავარიის მეორე დღეს მას 29 წელი შეუსრულდა. ახალგაზრდობაში სელიანეს სერიოზულად იტაცებდა ავტორბოლა, ერთხანს ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებშიც ირიცხებოდა.

### მოთამაშე... გენერალურ მენეჯერში გაცვალეს

რას არ გაიგებ კაცი! სეზონი რომ დასრულდა, ოტავას გენერალური მენეჯერი რიკ დადლი ტამპაში გადავიდა ამავე თანამდებობაზე. ამით თითქოს ყველაფერი დასრულდა, მაგრამ, როგორც მერე გაირკვა, ეს არცთუ უანგაროდ მომხდარა, მისი და ფორვარდ ანდრეას იუჰანსონის ნაცვლად „ელვებს“ ოტავასთვის ასევე ფორვარდი რობ ზამუნერი და მომავალ დრაფტზე არჩევის უფლებები გადაუცია. არავინ იცის, მოგებული ვინ დარჩება, თუმც გასულ სეზონში იუჰანსონის (21+16) სტატისტიკური მონაცემები უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ზამუნერის (8+11), მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტამპას კაპიტანმა, ზამუნერმა, ჩემპიონატში 24 მატჩი გამოტოვა და არც მაინცდამაინც გოლების გატანა შეადგენს მის მთავარ ფუნქციას. ოტაველთა უფროსობა დარწმუნებულია, რომ სწორედ რობისდარი მოთამაშე აკლდათ მათ ბუფალოსთან სერიაში. ზამუნერი, რომელიც ნაგანოს ოლიმპიადაზე კანადის ნაკრების ღირსებას იცავდა, ლიგაში მარჯვე დამცველადაა აღიარებული, რომელსაც ჩინებულად ხელეწიფება მეტოქის გაუვნებლება.



ანაჰაიმის სუპერფორვარდი ტეემუ სელიანე

**სამველ ლარიბიანი**

# ალესრულა ფრთოსანი კაცი



REUTERS ოსლოდან

გუშინ ნორვეგიულმა სააგენტოებმა მსოფლიოს მოსდეს ამბავი, რომ დასავლეთ ნორვეგიის კლდეებში დაიღუპა ოცდათორმეტი წლის ტურ ალექს კაპფიელი, მსოფლიოს ყველაზე ცნობილი პარაშუტისტი. კაპფიელმა სახელი დაივდო ეიფელის კოშკისა და ნიუ იორკის ცათამბჯენების კენწეროებიდან ხტომით. მამაცი პარაშუტისტისთვის საბედისწერო აღმოჩნდა სტავანგერის ახლოს კლდიდან გადმოხტომა. ნისლმა დაფარა კლდის შვერილები, კაპფიელმა კი არ დაიშალა და მაინც გადმოეშვა კიერაგის თავიდან.
ამ ფოტოზე კი აღბეჭდილია მისი ნახტომი ჩრდილო-დასავლეთ ნორვეგიაში, ნადას კლდიდან.

## კასპაროვი — [illegible]



1. e2-e4 c7-c5; 2. მg1-f3 d7-d6; 3. კf1-b5+ კc8-d7; 4. კb5:d7+ ლd8:d7; 5. c2-c4 მb8-c6; 6. მb1-c3 მg8-f6; 7. O–O g7-g6; 8. d2-d4 c5:d4; 9. მf3d4 კg7.




# ვარჯიში დიდი ბურთით

უიმბლდონში სახელდაგდებული ავსტრალიელი ბარიშნა ელენა დოკიჩი ახლა სიდნეიშია და კალათბურთის ანბანს ეუფლება. პატარა ელენას გაკვეთილს ოზ კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი ენდრიუ გეიზი უტარებს. გეიზიცა და დოკიჩიც ფიქრობენ, რომ სამაგისოდ სიდნეი-2000-ის ოლიმპიურ გუნდში იქნებიან. ამავდროულად ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა ისინი ოლიმპიურ ელჩებად გაამწესა და ახლა ბილეთების გავრცელების მსოფლიო კამპანიაში ჩაერთვებიან.





REUTERS სიდნეიდან

# სადაც დარტანიანი დაქროდა

„ტურ დე ფრანსის" მეოთხე ეტაპი ლავალსა და ბლუას შორის იყო გაჭიმული. ადრე აქ დარტანიანი დაჭენაობდა, ახლა კი ასსამოცდაჩვიდმეტმა წყვილმა ბორბალმა გაისრიალა. თუმცა, ბელგიელ ტომ სტეელს შეუძლია დარტანიანსაც მიბაძოს — ლავალის მოსახლეობამ მას მშვენიერი ფაშატი, სახელად ლისია ბარბესი აჩუქა. მეორე ადგილზე მყოფი სტეელსი კუდში სდევს საერთო ჩათვლის ლიდერ ესტონელ იან კირსიპუუს და თუ ცხენს მოახტა, ეგებ გაუსწროს კიდეც.



REUTERS ლავალიდან

# დაკრძალვა ევრისტონში

ჩიკაგოსა და სან ანტონიოს გუნდებთან ერთად ენბიეის ჩემპიონი სტივ კერი თავის ცოლ მარგოსთან ერთად ჭირის დღეზე ჩასულა ილინოისში, ევრისტონის სასაფლაოზე. სტივ კერი უკანასკნელ პატივს მიაგებს თავის მასწავლებელს, ჩრდილოდასავლეთის უნივერსიტეტის განთქმულ მწვრთნელ ჰიკი ბერდსონგს. ბერდსონგი ორ ივლისს ერთი გასროლით მოუკლავს თეთრ რასისტ ბენჯამინ სმიტს.



REUTERS ევრისტონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აბულაძე, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli

ეროვნული ბიბლიოთეკა